

652  
1985/2

ISSN 0134 3459



# ՀԱՅՄԱՍԻ

1985



3

# ქოროსი

გ ა მ ო მ ც ე მ ი ს

27-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უშრნალი  
საქართველოს მწერალთა კავშირისა და ავარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა ვვაქვს, აჭარა,  
რა მოშავალი, ძვირფასი ბედით...  
ქალაქი - ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ვ. ტაბიძე

3

1985

მაისი  
ივნისი



ბ ა თ უ მ ი

**ნოემბრში, როგორც მთლიანად  
ვეღვნება გავარჯვების  
40 წლისთავს, დაგვიხდის:**

**ოგადასდელი ვფარლები**

მამია ვარშანიძე. ლექსები 3  
იაკობ მელია. ბალადა ხელმანდილზე 5  
დავით ნაცვალაძე. შენი სიცოცხლე  
გრძელდება, მაიორო! მოთხრობა. 8

**რაც დავიწყებით არ იბინდება**

ჯემალ ქათამაძე. წითელი თოვ-  
ლი. პოემა 16  
გივი ჯონაძე. სიცოცხლის იმედი.  
მოთხრობა 29  
ბორის მეტრეველი. ლექსები 37  
ნური ასანიძე. ერთი დიდი დღე.  
მოთხრობა 39  
ვარლამ ჯინჭარაძე. სამშობლო.  
ლექსი 45  
რაისა შენგელია. წმინდა მიწა.  
ლექსი 45



**შაქრო რომანაძე. ვარსკვლავები.**

მოთხრობა 46

**გაბრიელ ტალახაძე. კეთილი გული.**  
წიგნიდან „ჭრელი ზანდუკი“ 51

**დანიელ კუჭავა. დედენევოსთან**  
ახლოს. ლექსი 56

**ნური ჩხაიძე. ომიდან აღარ**  
დაბრუნებულა. ნარკვევი 57

**ოთარ წულუკიძე. დგას ობელისკი.**  
ლექსი 68

**თამაზ ნიკოლაიშვილი. ლექსები** 69

**ასე იჭიდებოდა გამარჯვება**

**აბელ სურგულაძე. შრომითი და**  
საბრძოლო გამარჯვების ფურც-  
ლები 70

**იასონ ცერცვაძე. გამარჯვების**  
ღროშა რაინსტაგზე 75

**მირზა ქაშუშაძე. მამაცი შევარდენი** 78

**თამაზ გენძეხაძე. გმირი** 80

**მიხეილ მშვიდლობაძე. 139 საბრძოლო**  
გაფრენა 82

**როცა ყვემეხები**  
**ლაკარაკობდნენ**

**ემენ დავითაძე. ფოლკლორი დიდ**  
სამამულო ომში 85

**ალექსანდრე შალაძე. კონცერტები**  
მეომრებისათვის 89

**სსოვნა გულისა**

**ნუნუ სკამკონაიშვილი. ომგადახდი-**  
ლი 92

**გასულ ორ თვეში** 93

**მთავარი რედაქტორი**  
**ალექსანდრე სამსონია**

**სარედაქციო კოლეგია:**

**აზიზ ახვლედიანი,**  
**გიორგი გაჩეჩილაძე,**  
**ჯურაბ გორგბილაძე,**  
**მამია ვარშანიძე**  
(პასუხისმგებელი მდივანი)

**ზოთა ზოიძე,**  
**დავით თედორაძე,**  
**გიორგი სალუქვაძე,**  
**ჯემალ ქათამაძე,**  
**ალექსანდრე ჩხაიძე,**  
**ფრიდონ ხალვაში,**  
**დავით ხახუტაიშვილი,**  
**ჯემალ ჯაყელი.**

**რედაქციის მისამართი: ბათუ-**  
**მი, ენგელსის ქ. № 21. ტელ.**  
**გ-33-71.**

გადაეცა წარმოებას 5. 4. 85, ხელმოწე-  
რილია დასაბეჭდად 19. 4. 85, საბეჭდო  
თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის  
№ 1322, ემ 01420, ქალაქის ზომა  
60x90<sup>1/16</sup>, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-  
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის  
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-  
თანება, ბათუმი ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-  
ской ССР по делам издательств,  
полиграфии и книжной торговли.  
Полиграфическое производственное  
объединение Аджарской АССР,  
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

17.935

ფიქრები ჯანისკაცის მეგლთან

ვინაც მაისს ჩააბარა  
ჩვენი ქვეყნის ბედი,  
ვისაც ჯერ არ შეშრობოდა  
ტუნებზე რქედლის,  
დვას ბრინჯაოს ჯარისკაცად, —  
მრისხანება მტრების,  
მაღალ მხრებზე დაფრენია  
ჩემი გულის მტრედი.  
გარინდებულ მის თვალეში  
ცისკარს უყვარს კრთომა...  
ცისმარე დღე გოგონიას  
მოაქვს ფერთა კონა,  
მკერდზე ეამბორება და  
თრთოლვა-თრთოლვით წავა...

ნუ აღელდი, ნუ აღშფოთდი,  
სულო ჩემო, წყნარად!  
გამეხსნება ჭრილობები, —  
ვაჭმე, როგორ მტკივა!  
მეც სამი ძმა ვანაცვალე  
ჩვენი ქვეყნის ტრფიალს...  
მათ სახებას შენში ვხედავ,  
ჯარისკაცო ძმაო,  
ჩემში თითქოს ძნელ დღეების  
ქარიშხალი ძალობს.  
ეჰ, ვინ იცის, ვის ეტრფოდი,  
გულს ვინ გიხარებდა,  
შენ იდიდე, ჯარისკაცო,  
მტრების მრისხანებავ!

მშვიდობა უნდა

ნეტავ, ვიცოდე: რამდენი ტყვია  
დღემდე კაცმა კაცს მიართვა გულში?  
მიწა ტირის თუ ძვლები ტირიან,  
დიდი წარღვნები რომ ჰქუხდა გუშინ?!  
გახსოვთ?! — დახვრიტეს ბავშვებიც ჩვენი —  
წიგნით, რვეულით, სათამაშოთი,  
იქნებ, მათ შორის იყო რჩეული,  
დიდი პოეტი იყო მათ შორის?  
რამდენი კერას ვერ დაუბრუნდა,  
სად ვინ დაეცა, მათ კვალს ვინ ჰპოვებს!  
დელის ნაზ თვალეშ, მშვიდობა უნდა,  
დედაზე მინდა გალბობა...

თბილისის მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი  
სახ. სახ. რესპუბ.  
აბსტრაქტული

# გ ა ლ ი ნ ა ჯ ა შ ს



„ვიყავი ბერლინში 9.5.45 წ. გალინა ჯაში თბილისიდან...  
წარწერა რაიხსტაგის კედელზე... ჩემი ძმაც ნიკოლოზიც ბერლინის  
ასაღებად იბრძოდა და მას რომ წაეკითხა და გაეგო, რომ აქ ვიყა-  
ვი, იმიტომ დაწერეო...“

შენს სურათს რომ თვალი ვკიდე,  
არ იქნება, არ მეტირა,  
ვით ვალურჩი, ჩემო დაო  
ფაშისტების ოხერ ტყვიას.

ჯარისკაცთა დასტაქარო,  
სული გქონდა დაუძლევი,  
ო, იმ წლების ძნელბედობას  
ვაჟაკაჯურად გაუძელი.

რაიხსტაგზე რომ აწერდი  
შენს ავტოგრაფს ვახარებით,  
თუ იხილა ძმამან შენმან, —  
წაიკითხა დახარბებით,

თუ მოგნახა და ნატრული  
და თუ შეხვდით ნაომარნი?!  
იმ წარღვნის ჟამს ძმის  
ნახვა ხომ  
ცრემლიც არის, ამოც არის.

ვაქებ შენსა სიმამაცეს,  
ვესწრაფები მალე ნახვას,  
თამარი ხარ ვაშლოვნელი,  
და წყნეთელი მაია ხარ.

მეც ვივარგე, მეც ვიომე,  
განა თავს ტყვეს ვაფარებდი,  
ჩემი ძმებიც იქ იბრძოდნენ, —  
არც კი ვიცით საფლავეები.

მოვიგონოთ მარადისად  
ვის შინ მოსვლა არ ეღირსა:  
ან დაეცა სტალინგრადში,  
ან ბერლინის აღებისას.

ნატვრა გაჰყვით გაძარჯვების,  
დარჩნენ ღიმილაუნთები,  
არ მოქსწროთ ცხრა მაისის  
მოსკოვური სალუტები...

შენზე ვფიქრობ... და მე მგოსანს  
აღარ ძალმიძს დამუნჯება:  
ქართველ ქალთა მამაცობა  
საქართველოს საუნჯეა.

ვერაფერი ველარ წაშლის  
რაიხსტაგზე შენს მინაწერს,  
მოვა კიდეუ სხვა მგოსანი,  
სადიდებელს შენსას დასწერს,  
და შენს სახელს — საამაყოს  
დროშასავით მალლა ასწევს.



ბ ა ლ ა დ ა ს ე ლ მ ა ნ დ ი ლ ზ ე

ზეცა თითქოს ისე ბრწყინავს,  
 ცის მეუფე ოქროს აღნობს, —  
 გაუშლია ფრთები ნიავს  
 საალერსოდ, სანავარდოდ.  
 ამოდ ისმის შარი-შური,  
 მოშრიალე არყის ხეთა,  
 თითქოს გაქრა მტრობა, შური,  
 მზემ წალმართით მოიხედა.  
 ძინავთ მებრძოლთ, სიმშვიდეა,  
 თვალი მტრობას დაუდგება,  
 დახვეული მაზარები  
 დაუგიათ სასთუმლებად.  
 ჰა, მედროშეც გაიცანით,  
 ნიკოლოზს რომ ეძახიან,  
 აქ მონათლეს ამ სახელით,  
 თორემ ისე ნიკა ჰქვია.  
 პირტიტველა ბიჭი იყო  
 და ბრძოლებში დაჭაბუკდა,  
 ტანიც აქვე აიყარა,  
 უღვაშები ჩაუშუქდა.  
 მეომარიც ამას ჰქვია,  
 დაცხრილული ქუდი ჰხურავს,  
 გულუშიშარს ეს რა დარდი  
 დარჩენია გულზე მწუხრად!  
 გაბუტული სჩანს ტანდარი,  
 გვერდს რომ უზის ქერა ქალი, —  
 დაწვზე რალაც საგანგებოდ  
 განაბვია თითქოს ხალი.  
 ჭრილობები, ბიჭო გყოფნის,  
 გაუფრთხილდი, რომ არ დაგჭრას,  
 დაგჭრის ისე, განა თოფით,  
 განა შენზე იხმარს დანას?  
 წამწამებით მოისარმა

გამეტებაც იცის მალე,  
 მედიცინის დაა, მაგრამ  
 სიყვარულში შეგიბრალებს?  
 დასვენების ერთი წამი  
 მისთვის უქმად როდი გადის,  
 სტუდენტობის დროის კალმით  
 დაასრულა მან ბარათი.  
 და ბარათში ჩაატია  
 მოწყვეტილი მინდვრის ვარდი,  
 ეს ბარათი ეზას გაიგნებს  
 ნათელი აქვს მას მიზანი,  
 მოდი ჯერ და ეს გაიგე,  
 თავის ბარათს ვისთან ჰგზავნის,  
 იქნებ მამა მოენატრა,  
 დე, შეალოს სახლის კარი,  
 მაგრამ სახლში ვინ დახვდება  
 მამამისიც ფრონტზე არის,  
 მისამართა თუკი არ გაქვს,  
 სად გაგზავნი წერილს ასე,  
 იქნებ ახლა მებრძოლთ იგი  
 მიუძღვება შეტევაზე.  
 იქნებ დედა მოენატრა,  
 მძიმე დარდი დედას ახლავს,  
 შვილზე ჯავრობს, ქმარზეც  
 ჯავრობს,  
 ორთავესთვის იწვის ახლა.  
 იქნებ ფრონტის ფოსტალიონს  
 გაუჩინა კიდეც დარდი, —  
 ცეცხლში უნდა გაატაროს  
 მოწყვეტილი მინდვრის ვარდი.  
 დროზე უნდა მიუტანოს  
 მის მეგობარს ეს ბარათი.  
 ბიჭო, რისთვის ჩაჰკირკიტებ.

ან რად უცქერ აღმაცერად,  
იქნებ ფიქრობ ფრონტზე შენთვის  
მოავლინა ბედისწერამ.

— ეჰ, ატენშიც ნუ ჩავსულვარ,  
თუ ალასგან დავიძრახონ.

ქორწილს გორში გადავიხდი,  
მთავარსარდლის სახლის ახლო.  
სტუმრად ვიხმობ

თანამებრძოლთ,

ჩვენებური ღზინი ნახონ.

სუფრის თავში ჩავამწკრივებ,  
ჩემს მეგობრებს როგორც

მაგრებს,

ატენურს ვინ დამიწუნებს  
ფერშიც უჩანს სიამაყე,  
კიდით კიდე გადავტყორცნი,  
სუფრის თავზე ფრთიან ყანწებს,  
ჩამოივლის მერიქიფე  
სავსე ყანწი არვის აცდეს.

შევთავაზებ ცვრიან მწვადებს,  
შამფურს თვალი გაუსწორონ,  
გაკვირვებით რომ თქვან ასე:  
ძმაო, მართლა ქორწილში ვართ  
თუ მივდივართ შეტევაზე?!

— ბიჭო თუ გწამს სიყვარული,  
რად დაგედო ცოდვა ძალად,  
ნაჩუქარი ხელმანდილი,  
რომ მიუგდე ვიღაც ჯალათს.

— დამიჯერეთ, მეგობრებო!  
დამიჯერეთ, არ მაქვს ბრალი...

აჰა, ნიკამ ახლა ისევ  
წამოიწყო საფიქრალი:

— იცით, გუშინ, შოვნა „ენის“  
დამავალა მეთაურმა

და წავედი განა ღზინში?

მალულად და თითქოს ცურვით, —  
ასი თვალი გამოვისხი,  
ასი ფრთა და ასი ყური.

ვიცქირები იქნებ ტყულად,  
ნაკვალევიც არ სჩანს მტერის, —

ვგრძნობ, ღუმელში ჩაძირულა  
ჩემს წინ თითქოს ყველაფერი,  
მივაღეკი უცნობ ტაფობს,  
საით ახლა? — გულში ვამბობ,  
მტერი ასე როდი ფიქრობს,  
სადაც მე მსურს, გაჩნდეს იქა,  
გულზე ხელი დაიკრიფოს,  
დამიძახოს: — „მოდი, ნიკა“,  
რა ვქნა, ომი არის, ძმაო,  
განსაცდელი უნდა იგრძნო,  
ზოგჯერ ჩირგვშიც დამიძალო,  
თავსაფარი ჰპოვე ვიწრო.  
ნუ გვონია, შენ რომ ფხიზლობ,  
მაშინ მტერი არა ფხიზლობს,  
გზისპირს ვერხვის ხეებს ვუმზერ,  
თითქოს სიო არღვევს ღუმელს,  
ჰა, სანგრიდან ფრიცი უცებ  
ამოვიდა შენიღბული.

ამოვიდა ფრთხილად, მერე  
მსწრაფლ ჭაობში ჩაწვა მძიმედ,  
მივხვდი, ალბათ მასაც ჩემებრ  
დაზვერვაზე აგზავნიდნენ.

მოდის, მოდის, შეუმჩნევლად,  
მოდის რაღაც შიშის მგვრელი,  
ახმახია საკვირველად,  
იზლაზნება როგორც გველი,  
მოდის მწვანე მოსასხამით,  
დაწინწკლული ფორაჯებით, —  
მოდის, ასპიტს მოაქვს შხამი  
კბილებს შორის მომარჯვებით.

აი, ჩემს წინ აღიმართა,  
მსუნაგივით დამზვერავი,  
არ ელოდა მასპინძლობას,  
დაუშძიმე მჩატე თავი.

კვლავ წამოხტა, ვით სჩვევია.  
გაუტეხელ ნების ბანდიტს, —  
მაგრამ ვიდრე მიმუხთლებდა  
თასმა ჩემი ავტომატის,

იცით? — ისევ დასძენს ნიკა, —  
ჯერ ხელები გაუუკარი,

მერე წყეულს (რა გზა მქონდა)  
შივ ჩაჩარი პირში ჩვარი...  
ჩვარი? —  
აღას ხელმანდილი, —  
საჩუქარი სანუკვარი,  
შურისგებამ ასე მწარედ  
ამირია გზა და კვალი.  
ვაგლახ, ზოგჯერ სიყვარულშიც

დაგედება თურმე ბრალი.  
— ნურას ჯავრობ! —  
ესმის ხმები,  
მოწყალეზაც იცის ბედმა, —  
ძმაო, შეგრჩეს, შეგრჩეს ნებით,  
მელაღიც და შურისგებაც,  
ნიკას გულის სანუგეშოდ,  
ქალიშვილსაც ეღიმება.





## შენი სიცოცხლე გრძელდება, მაიორო!

ვუძღვნი ს. ბალიაშვილს

1943 წლის აპრილი იწურებოდა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიის ფრონტის ეროვნულ ფორმირებათა დივიზიები ხელჩართულ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. მესანგრეთა ბატალიონი ფრონტის ხაზიდან მოშორებით, სამოც კილომეტრზე, რეზერვში დადგა და ახალ შევსებას ელოდა.

სოფელ ვესელოვკაში, რომელსაც პატარა მდინარე ჩაუდიოდა, ორივე ნაპირზე მებრძოლთა მიწურები განლაგებულიყო. ერთ მათგანში ბატალიონის შტაბი და ტექნიკური მოწყობილობა იყო.

ბატალიონი ახალმა მეთაურმა მაიორმა შოთა კახიანმა ჩაიბარა, თვითონ და შტაბის უფროსი, კაპიტანი ვასილ მოროზოვი გამოჯანმრთელების შემდეგ ჰოსპიტლიდან იყვნენ გადმოგზავნილნი. ოფიცერთა და უმცროს მეთაურთა კადრებით ბატალიონის დასაკომპლექტებლად მაიორ კახიანს ბევრი თავსატეხი ჰქონდა მოსაგვარებელი. მესანგრეთა ბატალიონი ერთი სამხედრო ფერშლისა და ორი სანინსტრუქტორის შემხედვარე დარჩენილიყო.

ბატალიონის ფერშალს, სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტს მადონა ჯანბერიძეს, სანინსტრუქტორებს — ოქსანა კლიმოვას და ტატიანა გლადსკაიას ერთი წუთით მოსვენება არ ჰქონდათ. მედპუნქტის მოვალეობას მდინარის პირად სახელდახელოდ გათხრილი ძელმიწური სწევდა. მედპუნქტი წამლებითაც ცუდად მარაგდებოდა, რადგან მტრის ავიაცია მოქმედი არმიის ნაწილებსა და ზურგს ხშირად ბომბავდა.

ძელმიწურში ბატალიონის უფროსის შიკრიკი მოვიდა. სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტ მადონა ჯანბერიძეს ბატალიონის მეთაური იბარებდა.

— ამხანაგო მაიორო, შეიძლება შემოვიდე? — მიმართა ფერშალმა ბატალიონის უფროსს, რომელსაც ხის პატარა მაგიდაზე თავი დაეხარა, საველე ჩანთა გვერდზე გადაეღო და წიგნაკში რაღაცას გამალებით იწერდა.

— შემოდით! — მიუგო მაიორმა და ქალს შეხედა.

— ბატალიონის მედპუნქტის ლეიტენანტი ჯანბერიძე თქვენი გამოძახების თანახმად გეახელით!

მაიორმა სკამი გამოსწია და ლეიტენანტს დაჯდომის ნება მისცა.

— ვხედავ, თანამემამულენი ვყოფილვართ, საიდან გაგიწვიეს? —  
ახლა ქართულად ჰკითხა მაიორმა მადონას.

— ქუთაისის მახლობელ სოფელში საექიმო პუნქტში ვმუშაობდი,  
კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მოწოდებით მოხალისედ წამოვე-  
დი ფრონტზე!

— ყოჩაღი ქალი ყოფილხართ, თურმე ფრონტზეც დიდი გამბედაო-  
ბა გამოვიჩინიათ...

— ეჰ, რა ვიცი, მაიორო, ახლა დავრწმუნდი, რომ ქალის გაჩენაში  
ღმერთი არ ურევია! — მიუგო მადონამ და კაეშნით სავსე სიტყვებს  
მძიმე ოხვრა ამოაყოლა.

— გაგიჭირდათ ზომ?

— მერედა როგორ! — მიუგო მადონამ და თვალები დახარა.

— რას იზამთ, რაკი ეს სიმძიმე იტვირთეთ, ბოლომდე უნდა ზილოთ  
და შინ გამარჯვებული დაბრუნდეთ... თქვენი სახელი?

— მადონა, მაიორო!

— ნე შოთა მქვია, პროფესიით ინჟინერი, თბილისში ვცხოვრობ,  
წარმოშობით მაიაკოვსკას რაიონიდან ვარ.

— სესიამონოა, — მიუგო მადონამ და მიაჩერდა შოთას, რომელსაც  
ოდნავ კენიანი ცხვირი, ცისფერი თვალები, წაბლისფერი, შუბლზე ჩა-  
შოღვრილი თმა, სახის ლამაზი ნაკვთები შნოსა და ლაზათს აძლევდნენ.

— იცით, რა მინდა, გთხოვთ? მარცხენა ფეხის წვივში ჭრილობა  
არ მიჩჩება, ჰოსპიტალიდან არ მიშვებდნენ, მაგრამ ჩემს დაჟინებას ექი-  
მები წინ ვერ აღუდგნენ და გამომწერეს, თუ დროს გამონახავთ, ყოველ  
მეორე დღეს შემიხვიეთ.

— არის, ამხანაგო მაიორო, ნება მომეცით წავიდე, ნახევარ საათში  
თქვენთან ვიქნები.

— არა, მხოლოდ საღამოს საათებში, ახლა შტაბის უფროსთან ერ-  
თად გადაუდკიელი საქმე მელოდება.

— კეთილი, საღამოს იყო! — მიუგო მადონამ და წასვლის ნება  
ითხოვა.

\* \* \*

შოთა კახიანმა ვარსკვლავებით მოჭედულ ცას გახედა და როცა და-  
რწმუნდა, სიმშვიდე იყო, იქვე შტაბის ახლოს, თავის ძელმიწურს მია-  
შურა. გაუკვირდა, როცა ბატალიონის ფერშალი ჩანთაგადაკიდებული  
იღმა ჩასასვლელთან და მას ელოდებოდა.

მაიორი ქალს ვიწრო, მონრეშილ საფეხურზე ჩაუძღვა, ფიცრისაგან

შეჭედული კარები გამოაღო, ჯიბიდან ბენზინის სანათი ამოიღო, ლამპა მოძებნა და აანთო.

ლამპის შუქზე გამოჩნდა საწოლზე უწესრიგოდ დაყრილი გაურეცხავი შარვალ-ხალათი, ფეხსახვევები და ფარაჯა.

— როგორ ამბობდა ვაჟა-ფშაველა? „მობრძანდი როგორც მამასთან, ნათლიმამასთან ნათლიაო“, — უთხრა შოთამ მადონას.

— ამხანაგო მაიორო, გაიხადეთ ჩექმა და ვნახოთ ჭრილობა.

— ნუ ჩქარობთ, ლეიტენანტო, ჯერ ვივანშმით.

— მადლობელი ვარ, ვახშამი უკვე გეახელით.

— უფლება არ გაქვთ, ბატალიონის უფროსს უარი უთხრათ.

— ეს ბრძანებაა?

— არა, უბრალოდ, ქალის ხელით მორთმეული საჭმელი მომენატრა.

— მესმის... ალბათ, ცოლ-შვილის უნახაობა გაწუხებთ.

— ცოლ-შვილზე რა მოგახსენოთ, შაბათს რომ უნდა მექორწინა, ოთხშაბათს ფარაჯა ჩამაცვეს და მოზღოკის მისადგომებთან ამოყვავი თავი!

— წერილებს ხომ ღებულობთ ოჯახისა და დანიშნულისაგან?

— კი, ვღებულობდი სამი თვის მანძილზე, შემდეგ შეწყდა, დედაჩემიც და დაც არაფერს მწერენ მასზე, ვფიქრობ, გათხოვდა და გული რომ არ მატკინონ, დუმილი ამჯობინეს.

— დარდობთ?

— არა... ლამაზი ქალია, ჩემს დას მოსწონდა და მეც დავთანხმდი ცოლად შემერთო. შეეყვარებულები რომ ვყოფილიყავით, მაშინ სხვაგვარი განწყობილება დამეუფლებოდა... გთხოვთ, სუფრა გააწყოთ.

— ვასრულებ ბატალიონის უფროსის ბრძანებას! — მადონამ ფარაჯა გაიხადა, ჯებირზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოკიდა და შოთას წინ დადგა ტანლერწამა, მკერდსავსე ქალი. მავალივით შავი თვალები, გრძელი წამწამები, მოშვილდული წარბები და თეთრი სახე ჰქონდა. კონტა ტუჩებზე ბუსუსი ეშხსა და სათნოებას ჰმატებდა.

ერთ ჯამზე საჭმელი დააწყო, ალუმინის ფინჯნებში ჩაი ჩამოსხვა და მასპინძელი მაგიდასთან მიიწვია; მაგიდა ორი უხეში ფიცრისაგან შეკრული დაფის ნაჭერი იყო, ორ ბოძზე ტყავის თასმით მიმაგრებული.

— ღმერთმა აგაშენათ, ეს უკვე სხვა საქმეა... ერთი, დედაჩემის შემზადებული საცივი, ღომი, მჭადი და პარკი ლობიო მაჭამა, სხვა არაფერი მინდა! — ინატრა შოთამ, საწოლიდან წამოიწია და სუფრას მიუჯდა.

— მიირთვით, მადონა, როგორ დარცხვენით მიცქერით.

— გმადლობთ, მაიორო, ნამცხვარსა და ჩაის გეახლებით, სხვა არაფერი მინდა.

— მადონა, ჩვენ ახლა სუფრასთან ვზივართ, უმცროს-უფროსობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ქალისადმი მოკრძალება და პატივისცემა კი არ დამვიწყებია.

— ეჰ, ამ სიტყვებისა ახლა ნაკლებად მჯერა, მაიორო.

— მადონა, კი არ გიბრძანებთ, მაგრამ, გთხოვთ, ჩემთან გულახდილი აყოთ, — უთხრა შოთამ, მიხვდა, ქალის გულს რაღაც დიდი სატკივარი სჭირდა.

— ვხედავ, ვახშამი დაამთავრეთ, გაიხადეთ ჩექმა, ვნახოთ თქვენი ფეხის ჭრილობა! — უთხრა მადონამ შოთას და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

— კარგი, ბატონო, რაკი ასე უცხოდ მიცქერით და არც გასაკვირი არაა, ერთი რამ გჯეროდეთ: ვიდრე ჩემი ხელქვეითი ხართ, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემთ!

— გმადლობთ, მაიორო, ჩექმა გაიხადეთ და წამოწექით საწოლზე.. ასე როგორ შეიძლება, დაუმუშავებელ ჭრილობას სილურჯე შეპარვია, რამდენი ხანია არ შეგიხვევიათ?

— მეათე დღეა. ვერ მოვიცალე მაგისტვის.

— ასეთ მდგომარეობაში ჰოსპიტლიდან არ უნდა გამოეწერეთ!

— ეს უკვე ჩემი ბრალია, ექიმები არაფერ შუაშია!

მადონამ ჭრილობა სათანადო ხსნარით დაამუშავა, მალამო დაადო და ინდივიდუალური პაკეტით შეუხვია.

— სიარული გიჭირთ, არა?

— ცოტათი. ფეხზე დგომას ვერ ვუძლებ!

— ეცადეთ, ნაკლები იაროთ. ხვალ საღამოს კიდევ შეგიხვევთ. უჩემოდ ხელი არ ახლოთ! — უთხრა მადონამ და ფარაჯა გადაიცვა, ჩანთა გადაიკიდა და წასასვლელად მოემზადა.

მაიორი საწოლიდან წამოიწია, ფარაჯის გულის ჯიბიდან სამი ნატეხი შოკოლადი ამოიღო და ფერშალს გაუწოდა.

— როგორ გეკადრებათ...

— გთხოვთ, გამომართვათ. ერთი თქვენ, ორი სანინსტრუქტორებს.

— გმადლობთ, ამხანაგო მაიორო! — მიუგო მადონამ და კიბის საფეხურს შეჰყვა. — რა ჩერჩეტი ვარ, როგორ მოუფიქრებლად დაუუხვავე იმ კაცს ჩემი გულისტკივილი, სხვანაირად ჩამომართმევს! — ფიქრობდა მადონა.

ოქსანასა და ტანიას არ ეძინათ, მბჟუტავი ლამპის სინათლეზე საველე გაზეთს კითხულობდნენ. ლეიტენანტის შესვლისთანავე ფეხზე წამოდგნენ.

— ბატალიონის უფროსმა გამოგიგზავნათ! — უთხრა მადონამ ვოგონებს და შოკოლადი მიაწოდა.

— ღმერთო ჩემო, მართალს ამბობთ, ნება მომეცით, მის მაგივრად თქვენ გააკოცოთ, რა მოკრძალებული ბუნების კაცი ყოფილა! აი, ნამდვილი მეთაური... მაღალი, მხარბეჭებიანი და ლამაზი. მაინც როგორ შვეჩის უღვაშები და გაღიმება! — წამოიძახა ოქსანამ და მადონას ლოყაზე აკოცა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, რა გითხრათ ბატალიონის მეთაურმა, კიდევ რამდენ დღეს ვიქნებით ამ დელის პირად?

— ასეთ რამეს ხელქვეითებს არ ეუბნებიან. — მიუგო მადონამ.

თხუთმეტი დღის მკურნალობის შემდეგ მაიორს ჭრილობა თითქმის მოუჩნა. ქალს აკვირებდა ბატალიონის უფროსის თავაზიანობა, თანდათან გრძნობდა, რომ შოთას უნახავად ყოფნა ერთი დღითაც არ შეეძლო.

— აღარაფერს მეკითხება, ერთ საალერსო სატყვასაც არ მეტყვის, რა დავუშავე ნეტავი? — ფიქრობდა მადონა. მესამე დღე იყო შოთა არ ენახა.

— რა მოგივიდათ? — გაკვირვებით ჰკითხა ქალმა შოთას, როცა იგი სახეწამოწითლებული ლოგინში ნახა ჩაწოლილ

— არ ვიცი, დილიდან სიცხემ ამიწია, მარცხენა გვერდიც მტკივა, მგონი გავცივდი.

მადონამ ავადმყოფს შუბლზე ხელი დაადო, თმის კულულები გადაუწია და ცისფერ თვალებში ჩახედა. შოთას ესიამოვნა ნაზი ხელის შუბლზე შეხება და უსიტყვოდ მიაჩერდა ქალს.

— ნუ გეშინიათ, არაფერს გავიჭირვებთ.

— არა, არ მეშინია, უბრალოდ, მეზარება ლოგინში წოლა, ბატალიონში ბევრი რამ მაქვს მოსაგვარებელი, ამდენ ხანს ერთ ადგილს ვინ გაგვაჩერებს, ქვეყანა სისხლისაგან იცლება.

— აბა, გადაიწიეთ საბანი, გვერდი დაგიზილოთ! — უთხრა მადონამ შოთას, სპირტით ორივე გვერდი დაუზილა, საბანი დაახურა და ზემოდან ოფლის სადენად ფარაჯა გადააფარა.

— მადონა, უკვე გვიანაა, წადი შენს ძელმიწურში და დაიძინე.

რაკი „შენობით“ მიმართა, მადონამაც ასევე უპასუხა.

— არა, შენ შემოგვევლე, ვიდრე სიცხეს არ დაგიგდებ, არსად წამსვლელი არა ვარ!

შოთამ ჩათვლიდა. მადონა თავთან ეჯდა მაიორს და ერთი წამით თვალს არ აშორებდა. შეამჩნია, რომ ავადმყოფს თვალის უპეში ოფლის წინწკლები გაუჩნდა, მერე თანდათან შუბლი ოფლით დაუსველდა და ნიკაპზე ჩამოედინა.

შოთამ თვალები გაახილა და მადონას შეხედა.

— შენი ჭირიმე, არ გადაიხადო საბანი, გაუძელი ცოტა ხანს!

— მადონა, კიდევ არ წასულხარ? გიბრძანებ ახლავე წახვიდე და დაიბინო!

— არა, შენი ჭირიმე, ბრძანებას ახლა მე ვიძლევი!

— კი, მადონა, კარგი ხარ, კარგი, ოფლში ვიზრჩობი, სული მეხუთება...

— ცოტა მოითმინე, გენაცვალე! — დაუყვავა ქალმა და ხელი შუბლზე დაადო.

როგორც იტყვიან, სიყვარულმა მოცდა არ იცის. მალე ისინი დარწმუნდნენ, რომ უერთმანეთოდ გაძლება აღარ შეეძლოთ. არაფერი დაუმალავს მადონას შოთასათვის. ახლა მას შოთას ლანდი აცისკროვნებდა, ლანდივით დასდევდა მისი სახე; შოთა მისი სიყვარულის ჯილდოდ აქცა.

\* \* \*

მადონა ჩექმებგაუხდელი მიწოლილიყო საწოლზე. იგი დილის საყვირის გაგონებაზე ფრთხილად წამოდგა, ქუდი დაიხურა, ფარაჯა გადაიცვა, სანთელი ჩააქრო, ძელმიწურიდან ამოვიდა და მაიორისაკენ გასწია. ძელმიწურის კარი რომ შეაღო, მაგიდაზე ბარათი შენიშნა. შოთა კი არსად ჩანდა.

„ჩემო მადონა, გუშინ, წასვლის წინ რომ ყურში ჩამჩურჩულე, შვილი გვეყოლებაო, მთელი ღამე ძილი არ მომეკარა. ჩვენს სიყვარულს, ჩვენს შვილს ძალიან გაფრთხილება უნდა... რეზერვში ყოფნის ვადა გათავდა. დივიზიის შტაბში გამომიძახეს“.

ტამაზოვკის მისადგომებთან მესანგრეთა ბატალიონი მაიორ შოთა კახიანის მეთაურობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში იყო ჩაბმული. უშიშარი მაიორი მტერს შეუპოვრად ერკინებოდა. ბატალიონის მებრძოლებს უნდა აღმოეჩინათ მტრის ჩაწყობილი ნაღმები და უზრუნველყოთ დივიზიის შეუფერხებელი მოძრაობა. ბატალიონის უფროსს, როგორც პროფესიით ინჟინერს, ევალებოდა სამეთვალყურო პუნქტების მოწყობა. სანგრების გაკეთება და მტრის შემოტევის შეჩერება. ყველაფერი ეს ხდებოდა ფაშისტთა ცხვირწინ, ცეცხლის წვიმასა და ჯოჯოხეთურ პირობებში.

დაღამდა. მტრის შეტევა შეწყდა, რადგან ქართულმა მსროლელმა ლეიონმა, რომელიც კახიანის ბატალიონს მარცხენა ფრთას უმაგრებდა, ფაშისტთა ძალები წელში გასწყვიტა. საუბედუროდ, აღარ იყო შოთა კახიანი და მისი ბატალიონის შტაბის უფროსი ვასილ მოროზოვი... ღამის სიბნელეში მადონა ჯანბერიძე და მისი სანიტრები დაჭრილებს პირველ დახმარებას უწევდნენ და საველე ჰოსპიტალში აგზავნიდნენ.

შოთას სიკვდილმა თავზარი დასცა მადონას, კახიანის ვაცევებულ ცხედარს გულში იხუტებდა და მდუღარე ცრემლით ტიროდა.

ტამაზოკის მისადგომებთან, ამალლებულ ადგილას, კორღზე, აყვავებული აკაციის ძირას დამარხეს მაიორი კახიანი და შტაბის უფროსი მოროზოვი...

\* \* \*

თბილისში, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად ორსართულიანი, მრავალბინიანი სახლის მესამე სადარბაზოს ხშირად ჩაუვლიდა თალხ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში პიჭუნა ეჭირა. იგი დიდხანს ჩერდებოდა სადარბაზოსთან, მაგრამ შიგ შესვლას ვერ ბედავდა, ამასობაში ბავშვმა ტირილი დაიწყო და ქალი იძულებული გახდა იმ ადგილს გაცლოდა.

— შვილო, რამდენჯერმე შეგნიშნე, მითხარი ვის ეძებ, იქნებ დაგეხმარო... — უთხრა ქალს ჭადარაშერეულმა მსუქანმა ქალმა და ნავთით სავსე ჭურჭელი კუთხეში დადგა.

— დეიდა, ამ სახლში კახიანები უნდა ცხოვრობდნენ...

— ვაიმე, ოლღას კითხულობ? კი, შვილო, ოლღა და მისი ქალიშვილი მეორე სართულზე ცხოვრობენ, მაგრამ რაღა მათი ცხოვრება, ისეთი ვაჟკაცი შვილი დაჰკარგეს.

— დეიდა, სწორედ მათი ნახვა მინდა და ვერ გამიბეღია... დამეხმარეთ.

— კი, შვილო, ამას როგორ დაგამადლი, ამ წუთას ლიდას დაუქაზებ!

— ვაიმე, არა, ახლა არა!

— შვილო, მე ანიკო მქვია, ნუ გერიდება, მანდ დამიცადე, ახლავ ჩამოვალ.

ორი წუთის შემდეგ ანიკოსთან ერთად კიბეზე ჩამოვიდა საშუალოზე ოდნავ მაღალი, ეშხიანი ქალი, რომელსაც შავი კაბა ეცვა და ისეთივე ფერის თავშალი ჰქონდა მოხურული.

— აი, შვილო, მასწავლებელი ლიდა კახიანი, ოლღაც სახლშია, თქვენ რომლის ნახვა გინდათ?

— ქალბატონო, ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ... ბავშვი ჭირვეულობს, მაგრამ ძალიან მინდა თქვენს ოჯახში მოსვლა!

— მობრძანდით, დაიკო, მომეცით ბავშვი, მე თვითონ ავიყვან კობეზე.

— არა, თქვენ როგორ შეგაწუხებთ. — მიუგო ქალმა, ანიკოს მაღლობა გადაუხადა, და ლიდას გაჰყვა.

მასპინძელმა კარები გააღო და ვიწრო დერეფნიდან სტუმარს სას-

ტუმრო ოთახში შეუძღვა. ოთახის ერთ კედელს ფარავდა ხალიჩა, რომელზეც შავ არშიაში ჩასმული კაპიტან შოთა კახიანიის სურათი ეკიდა.

— დედა, სტუმარია ჩვენთან! — გასძახა მასპინძელმა მეორე ოთახში, იქედან ძაძებში გახვეული, სანდომიანი თმაგათეთრებული ქალი გამოვიდა, სტუმარს ხელი ჩამოართვა და ბავშვს გაუღიმა.

ქალი თვალს არ აშორებდა შოთა კახიანიის სურათს, მერე თავი ჩაღუნა და წაიღულღულა: — კი მაგრამ, რატომ კაპიტანი, შოთა ხომ მაიორი იყო?

— რაო, რა სთქვი, შვილო?

— საიდან იცნობდით ჩემს უბედურ ძმას? — ახლა აღელვებული ღიდა შეეკითხა ქალს. სტუმარმა ძალა მოიკრიბა, პატარა ჩანთიდან რძით სავსე ბოთლი ამოიღო, ატირებულ ბავშვს მიაწოდა, ხმის ამოღება კი უჭირდა.

— კარგი, შვილო, ნუ დედავ, აი, ხომ ხედავთ, ბავშვი დაწყნარდა, მომეცით, ლოგინზე დავაწვენ, — უთხრა ოღღამ.

— გეტყვით, გეტყვით, ქალბატონო, ყველაფერს მოგიყვებით, მაგრამ იცოდეთ, ჩემთვის ადვილი არ არის წარსულის მოგონება! — დაიწყო მადონამ და თვალებში ცრემლი მოადგა.

— ტამაზოვკის მისადგომებთან მესერშიდტიდან ჩამოყრილმა ნაღმმა გამოასალმა სიცოცხლეს ჩვენი ბატალიონის მეთაური მაიორი შოთა კახიანი. იგი ბატალიონის შტაბის უფროსთან ერთად აკაციის ძირას დამარხეს.

— ვაიმე, შვილო შოთა! — აღმოხდა დედას.

— ვისაც რა უნდა, შოთას ის უწოდოს, გინდ საყვარელი, გინდა ქმარი, მაგრამ იგი ჩემთვის ყველაფერი იყო. მისგან ეს წერილი შემომრჩა, — ძლივს წარმოთქვა მადონამ და ღიდას ძმის დაწერილი უკანასკნელი ბარათი გაუწოდა.

— ვაიმე, ძმაო... ეს ბავშვი ჩემი ძმისშვილი ხომ არ არის?

— შოთას ვაჟკაცობამ, ფხიზელმა გონებამ და ცეცხლოვანმა გულმა დაიპყრო ჩემი არსება, ასე სჩვევია, ალბათ, ძლიერ სიყვარულს, რომელმაც სამუდამოდ დამიმონა, დიახ, ჩვენ ხელმოწერილები არ ვიყავით, მაგრამ მას შვილს ვერ დავუკარგავ და, როგორც ხედავთ, ბავშვი თქვენთან მოვიყვანე.

— ეს რა ბედნიერი დღე გაგვითენდა, დედა, დედიკო: შენი შვილიშვილი, ჩემი ძამიკოს, ჩემი შოთას ბიჭი! — წამოიყვინრა ღიდამ მიძინებულ ბავშვს ხელი დაავლო, დაკოცნა და ოღღას მკლავზე დაუგორა.

მადონა კი იდგა კედელთან და იცრემლებოდა.

— დღეს გაცოცხლდა ჩემი შვილი, ჩემი შოთა გამიცოცხლდა, არა, აღარ მინდა სიკვდილი, ჩემი შოთას ბიჭი უნდა გავზარდო! — იძახდა ოღღა და ახალგაზრდიებულ ბიჭუნას გულში იხუტებდა.

ჯეჰალ ქათაგაჰე

## წ ი თ ე ლ ი თ ო ვ ლ ი

40 წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. თითქოს მოშუშდა მძიმე იარა, მაგრამ სახლში დღემდე ვინახავთ ჩემი ძმის პროთეზებს, როგორც ომის პროტესტს, როგორც იმ საშინელ დღეთა ცოცხალ სურათსა და ვახსენებას.

გადადიოდა ცივი ქარი,  
 სტვენით ყირაზე  
 და გუგუნებდა მიწა ჭურვით  
 ამონატორი.  
 შავი მიწური ამოევსო ყინვას  
 პირამდე,  
 ჯარისკაცები მიჰყვებოდნენ  
 ტრამალს დათოვლილს...  
 ომის აჩრდილი მოიწვევდა  
 დნებრის გაღმიდან,  
 ჩასაფრებული ტყეში ეგლო  
 სიკვდილი შავი,  
 გამოშივნილი მთა და ბარი  
 ცივი ნადმითა,  
 ბორგავდა, როგორც ჯარისკაცი  
 დაჭრილი ღამით.  
 და მოიწვევდა დღედაღამე  
 მრისხანე მტერი,  
 ანგრევდა სოფლებს,  
 დაბას,  
 ქალაქს,  
 ცეცხლით გვიტევდა...  
 ანადგურებდა ადამიანს  
 სიკვდილის ცელი,  
 ყელში წვდებოდა,

აწამებდა,  
 თოკით ჰკიდებდა...  
 და იყო წყევლა,  
 სისხლის წვიმა,  
 კედლების ხეთქვა,  
 სროლა,  
 ძაღლების ღრიანცელი,  
 გოდება მოთქმით...  
 ბოლოსდაბოლოს, ომი იყო,  
 რომელსაც ერქვა,  
 ფაშისტთა რისხვა, კაცთმოძულე  
 ჰიტლერის ცოფი.  
 ბოლოსდაბოლოს, ომი იყო  
 სიკვდილ-სიცოცხლის  
 და ვის შეეძლო ამ მძიმე ჟამს  
 დახევა უკან?  
 მზე მიიმალა შავ ღრუბლებში  
 ქვეყნის სიცოცხლით,  
 დაპატარავდა, დაიბინდა  
 საშობლოს რუკა.  
 შენ ამ დროს ომში მიდიოდი  
 მაღალი რწმენით,  
 როგორც ჯარისკაცს და  
 კომუნისტს  
 მზე გენტო სხვიად,

17.935  
დედამ დაგლოცა,  
გზა საძნელო  
დალოცა შენი,  
როცა ჭიშკრამდე ნაღვლიანმა  
გამოგაცილა.  
— ძალე ჩამოდი! — გავეცინა  
დედის სიტყვებზე  
და დედის მკერდში ჩახუტება  
ისევ მოვიხდა...  
მახსოვს, ეზოში შეჩერდი და  
კვლავ მოიხედე  
და დაადექი პირტიტველა ბიჭი  
ომის გზას.  
წამოგეწია თუთის ხესთან  
ცირა შავთვალა,  
ვერ მოითმინა ანგელოზმა  
მეტის ატანა,  
ამდენი ხალხი და „სირცხვილი“  
არად ჩათვალა  
და ტკბილი კოცნა მანაც ომში  
გამოგატანა.  
და იგრძენ ძალა,  
სიყვარულის ძალა მთებური  
და მიდიოდი ახლა უფრო  
გულანთებული.  
და მოგეჩვენა ის დღე ცივი,  
გზები წყეული,  
ცირას თვალებით გამთბარი და  
განათებული.  
გადაგატარა ომის ექომ  
უცებ ბასიანს,  
დადექ დიდგორთან, ბოროდინო  
გაცოცხლდა თვალწინ.  
„არა, ეს ომი, — ჩუმად ამბობ, —  
უფრო მკაცრია,  
მშვიდობით, ჩემო სიჭაბუკე,  
მშვიდობით აწი!?  
შენ აღარა ხარ გუშინდელი  
სოფლელი ბიჭი,  
შენ უნდა შესძლო ამ დიდ ომში

შეუძლებელიც.  
სხვა ძალა გმართებს,  
სხვა კაცობა,  
უნარი, ნიჭი,  
რომ იყო ქვეყნის პატრონი და  
კვლავ გამგებელი...  
ამას გვავალებს დედის ლოცვა,  
მამის ღიმილი  
მშობელმა ომში ნუგეშად რომ  
გამომატანა,  
შენ უნდა ძლიო ახლა ქარი,  
შიშიც, სიკვდილიც,  
უნდა აჯობო და გაბაწრო  
შავი სატანა!...“

●  
შენ მიდიოდი მძიმე ომში  
ამ დიდი რწმენით,  
არ მოგიხედავს უკან ერთხელ,  
არ მოგიხედავს.  
გეძახდა ცეცხლში გახვეული  
მამული შენი,  
ისე ვით შენი საყვარელი  
გეძახის დედა.  
და ჰა, დასრულდა ყრმობა შენი,  
ნატვრა, ფიქრები,  
თითქოს მაწყნარდა დილით ბაღში  
სტვენა ჩიტების...  
ცას აბნელებდნენ იქ, შორეთში,  
მესერშმიტები  
და მიწას აჩნდა ნატყვიარი,  
როგორც წიტები.  
ჩაუქროლებდა ყუმბარები  
ტყვიისფერ სივრცეს  
და აღარ ჰქონდა დასასრული  
ცხენების რემას.  
შენ მაშინ მიხვდი, ყოველივე  
წინასწარ იგრძენ,  
ტკივილი სულის,  
ძალა სულის,  
ქაქ. სსრ კ. მარქსისტული  
ს.ხ. ს.ხ. რესპუბ.



და ყუმბარებით ამოშიგნულ,  
ამოთხრილ ქვესკნელს  
მკერდს აფარებდა და იცავდა  
ხალხი რა ძალით,  
და მოიწვედა, მოიწვედა  
სიკვდილი ჩვენსკენ,  
ცეცხლით,  
მახვილით,  
გაშაგებით,  
რისხვით, ხანძართ...  
და დასახევი ნაბიჯიც კი არ იყო  
უკან,  
მუქარა მათი და ღრიალი  
ზარავდა ხმელეთს,  
და ჰკავდა დნებრი ლავად ქცეულ  
ვეება ვულკანს  
და ხევში სისხლის ჩუხჩუხებდა  
წითელი ღელე.  
უცებ სიკვდილი, საშინელი  
ყველას მიწვდება,  
დნებრის მიდამო გაანათეს  
ცეცხლის ენებმა.  
ვიღაც გიჟივით სანგარიდან  
წამოიწვეა,  
ვიღაც სანგარზე სამუდამოდ  
მიესვენება.  
აი შეტევა,  
ყიამეთი,  
ომი წყეული,  
თითქოს ერთმანეთს შეეჯახა  
ცა და ბუნება,  
ვიღაც დაჭრილი და უღმერთოდ  
მიტოვებული  
გეტახის, მაგრამ ამ ხმაურში  
არ გეყურება.

❊

დაღლილი მთვარე  
დამურული დანებდა  
სიკვდილს,


მძიმე ღუმილი დაეუფლა  
უეცრად მთა-ველს.  
აღარც ღრიალი  
და გრიალი ტანკების ირგვლივ,  
მიაქვს მდინარეს დაჭრილების  
გოდება მწარე.  
აღარც სანგარი, სტეპის ქარი,  
მუქარა ცივი,  
ფერდნალეწილი ჩამუხლულან  
ტანკები ბორცვთან.  
შენ აღარ გეწვის დამსხვრეული  
ჭურვებით წვივი,  
საღღაც ორმოში, მიწაში ღრმად  
დამარხულს ცოცხლად.  
იმ მაღალ მთაზე გამარჯვებით  
შენ ვეღარ შესდექ,  
შენი ფიქრი და იმედები  
ჩააქრო ნაღმმა,  
ეს ვინ შეჩერდა,  
ვინ შეჩერდა  
დაჭრილთან ბედზე,  
ვინ გაგიყვანა შუად მკვდარი  
მდინარის გაღმა?  
და ვინ შევახო,  
ვინ შევახო მაჯაზე ხელი  
და გათოშილი სასიკვდილოდ  
არ გაგიმეტა,  
ვინ მოგანათა მადლიანი  
თვალეები მწველი,  
დიდი ტკივილი და წვალება  
ვინ დაგიბედა?  
ვინ მოინდომა მომაკვდავი  
რომ ეხსნა კაცი,  
ისეთ მძიმე დროს ჯარისკაცის  
ინდომა შეველა,  
ვინ დაგიბედა,  
ვინ გიბოძა დღეები მკაცრში  
და ბეწვის ხიდზე ჯოჯოხეთში  
ვინ მოგეშველა?

ვინ შეებრძოლა ასე ძლიერ  
სიკვდილის აჩრდილს,  
ვის შეეცოდე, ვინ დაგადგა  
პირველად თვალი,  
ვისი უნარით,  
ვისი ნიჭით ცოცხალი დარჩი,  
ვინ აუბნია ასე მარჯვედ  
სიკვდილს  
გზა-კვალი?  
ყინვაზე მომხმარს მოგანათა  
თვალები სველი,  
გაგათბო სული, დაგიბრუნა  
სიცოცხლის ძალა  
და დედასავით მოგაშველა  
განწირულს ხელი  
და შენი ცოდვა, შენი მადლი  
დაიღო ვალად.  
და ვინ იპოვა გადამქრალი  
სიცოცხლის წვეთი  
და ჩამოგფერთხა შენი სისხლით  
ღამბალი მიწა,  
ვინ იყო, ვინა  
კაცი, ქალი,  
დედა თუ ღმერთი,  
ვინ მოგეფერა,  
ვინ გაგათბო,  
ვინ გაგალვიძა?..  
ვინ ვნახა სადღაც დამარხული  
ყინვაში, თოვლში,  
შენს მაჯისცემას,  
გულისცემას დაადო ყური.  
იმ სასტიკ დროში,  
ძმალ ჩემო, იმ სასტიკ  
დროში,  
გაგიყო სისხლიც,  
არა მარტო გული და პური.

●

თეთრი პალატა,  
სარატოვი,

თეთრი ლანდები,  
მძიმე ღუმილი,  
ფერწასული ხალხი კეთილი,  
აქ არც ოპია, არც ტყვიების  
კორიანტელი  
და არც ფრიცების საზარელი  
ხმა ჩახრეწილი.  
თეთრ სარეცელზე განაბული  
წვეხარ პირადმა,  
ცივი ქარები ფანჯარაში  
შემოჭრას ცდილობს,  
მოვა, აგინთებს დედა წყნარად  
ღამაზ ჩირაღდანს,  
გეტყვის ალერსით: მე აქა ვარ,  
მომხედე, შვილო!  
იწვი სიცხისგან, მოგიზგიზე,  
ვით პურის თონე,  
თავს დაგტრიალებს ყორანივით  
მშიერი ლანდი.  
გამაგრდი, ბიჭო!  
გაუძელი ტკივილებს, თორემ  
ოთახში ჩუმად და მზაკურულად  
სიკვდილი დადის.  
ცრემლებით დნება მოწყენილი  
თებერვლის ღამე,  
ყვავთა გუნდები გადაუვლის  
ჩრდილივით ხრამებს  
და მთვარე ამდენ წუხილით და  
ცოდვებით მკრთალი,  
მიჰყვება სივრცეს, გადახანძრულს  
ზანტად და ძალით.  
სხეული გიხურს,  
მკერდი გეწვის,  
ცეცხლი არ ქრება,  
დაპატარავდი, კაცის ფერი აღარ  
გეტყობა,  
სიცოცხლე გინდა, სიკვდილს  
ებრძვი



და როგორც დედა,  
 ჭადარა ქალი თავს გვევლება —  
 ანა პეტროვნა,  
 შენი მკურნალი,  
 დასტაქარი, კეთილი ქალი,  
 შენს სასთუმალთან შეხვედრია  
 რამდენჯერ აისს,  
 თუმც უძილობით,  
 უძილობით ეწვოდა თვალი,  
 არ მიგატოვა ერთი წუთით,  
 დაჭრილი მაინც.  
 არ მიგატოვა, ათენებდა  
 ფიქრებით ღამეს,  
 ებრძოდა სიკვდილს და  
 სიცოცხლის  
 ეძებდა წამალს,  
 საათი ცივი წაკა-წუკით  
 ითვლიდა წამებს,  
 გამჭოლი ქარი აწყდებოდა  
 გიჟივით ტრამალს...  
 წინ კიდევ დიდი ტკივილია,  
 გამოცდა მკაცრი,  
 პროთეზი — მიძიე, სიარული —  
 ბავშვივით ახლად,  
 შენ როგორც გმირი,  
 კომუნისტი და ჯარისკაცი  
 მამულისათვის დამწვარხარ და  
 ანათებ სანთლად.  
 შენს საუკუნეს გადაიარ მოჭრილ  
 მუხლებით,  
 ვერ დაგაჩოქებს ფიქრები და  
 ნალველი ჩია,  
 შენ გადარეკე ჩვენი ციდან  
 ომის ღრუბლები,  
 შენ ყველა დროის ჯარისკაცი  
 და გმირი გქვია.  
 ასე დარჩები ჭაბუკი და  
 უბერებელი.  
 იყავ მართალი,  
 არ იცოდი რაა მუდარა,

ფოლადის მკერდით შეჰკარ  
 ქვეყნის დიდი კედელი  
 და მხოლოდ შენით დედამიწა  
 გამოუდარა...  
 ეს მხოლოდ შენით,  
 შენთა ტოლთა დაღვრილი  
 სისხლით  
 მზეს დაუბრუნდა სინათლე და  
 ფერი — ბუნებას,  
 შენი ტკივილით,  
 შენი ცრემლით,  
 ტანჯვით და სიმწრით  
 პლანეტა ჩვენი გადაურჩა  
 განადგურებას.  
 ეს მხოლოდ შენით,  
 შენთა ტოლთა ძალით და მადლით,  
 გაჩნდნენ ბავშვები,  
 გათბა კერა სასინარულოდ,  
 შენი თვალებით,  
 გმირთა რწმენით,  
 გულებით ნაღლით  
 ხმაურობს ახლა დედამიწა  
 და ჩვენც ვხმაურობთ.



ქარი მრისხანე, ცივი ქარი  
 ჩვეულ ხმაურით,  
 ღია სარკმლიდან შენს ოთახში  
 შემოდრიოდა.  
 ვილაც კვდებოდა ბრძოლის ველზე  
 და სალამური  
 მწარედ კვნესოდა,  
 სადღაც მთაში მწარედ ტიროდა,  
 მარტი ცივი და მოწყენილი  
 ქვრივი ქალივით,  
 ცრემლით და სისხლით  
 გაჟღენთილი  
 თვალებს ახელდა,  
 სადღაც, ღნებრს მიღმა, ომი  
 ქუხდა

ქარიშხალვით  
და უფრო იქით ყანადები  
სიკვილილს აქებდნენ.  
დაეცა ბიჭი,  
ჩამობნელდა კიდევ ერთ სახლში,  
ღნებრს გაღმა გასვლა და  
ბრძოლაში  
ჩაბმა ეწადა...  
მარტო კვდებოდა უნუგემოდ  
ლამაზი ბავშვი,  
ველარ წამოდგა,  
ვერ ატირდა,  
ბევრი ეცადა.  
იქვე გათხარეს არყის ხესთან  
ცივი საფლავი  
და ჩაესვენა კიდევ ერთი თბილი  
ლიშილი.  
დარჩა სახელი,  
რა სახელი — დაუდაფნავი  
და კიდევ ერთი შავი ლოდი —  
მიწის ტკივილი.  
ატირდი, ასე ჩამოგშორდა ბევრი  
ძმაკაცი,  
პურის ყანაში,  
ატმის ბაღში,  
მდარე ვუბეში...  
მწვანე ზაფხულში, ქარში,  
დარში,  
შუა ზამთარში —  
ყველა ლამაზი,  
ყველა გმირი,  
ჭირში ნუგეში...  
დღემდე შემოგრჩა ზოგის ლექსი,  
ზოგის წერილი,  
ზოგის სურათი სიყვარულით  
დამაქვს უბითა,  
ყველა მამაცი,  
ყველა ნაღდი,  
ყველა კეთილი,

ყველას სიცოცხლე ჭაბუკური  
ძვირად უღირდა.  
მაგრამ წავიდნენ,  
დაიხოცნენ  
სიტყვა არ უთქვამთ,  
არც საყვედური, არც მადლობა,  
არც პატიება,  
მამულის ტრფობას ინახავდენ  
გულში სათუთად,  
ასეთი იყო გმირთა რწმენა,  
ჩვევა ძლიერთა.  
ზოგს გახელილი  
შვენიერი დარჩა თვალები,  
„დედა“ — აღმოხდა სიკვილილის წინ  
ზოგსაც ბაგეზე,  
ზოგს დასტიროდნენ უცხო მხარის  
ტურფა ქალები,  
ზოგს დედა-შვილი და მეუღლე  
ისევ დაეძებს.  
ზოგი მოვიდა პირტიტველა  
სკოლის მერხიდან,  
ზოგს წიგნი დარჩა,  
ლურჯი წიგნი დაუხურავი,  
ზოგი წავიდა ისე უხმოდ  
წუთისოფლიდან,  
არ დასცდენია არც მადლობა,  
არც სამღურავი.  
არ დაუცლია ძმობიჭებთან  
ღვინის ფიალა,  
არც პაემანზე შეხვედრია  
სატრფოს ტირიფთან  
და შიშისმგვრელი,  
შიშისმგვრელი  
ჭურვი კი არა,  
არ გაუსვრია დაჟანგული  
ძველი ფილითაც.  
არ გაუგია, ტყვიამ როგორ  
გახვრიტა მხარი,  
როგორ წავიდა შავი სისხლის

ღვარი ჩუხჩუხით,  
როგორ მიღულა დანანებით  
ლამაზი თვალი,  
მამულის მიწას ჩაეხუტა იგი  
ჩურჩულთ.  
მხოლოდ ის მიხვდა,  
გადაედო ცას შავი ბური,  
მზე გაიყინა ფერწასული და  
ფერმიხდილი.  
ვით ქარში ყუნწზე,  
როგორც ვაშლი,  
გულს მოწყდა გული  
და ათჯერ ნახულ სიზმარს ჰგავდა  
მაინც სიკვდილი.  
დიდხანს ეცადა, ეწვალა და ვერ  
გაიღვიძა.  
შეშინდა თითქოს,  
გაიბრძოლა და მიიძინა,  
მერე გათხარეს მეგობრებმა  
სამარის მიწა,  
დახარეს თავი,  
დაახალეს  
ცას ტყვიის წვიმა,  
მერე აღმართეს დროშები და  
თოფები ცისკენ  
და ბერლინის გზას  
შურისგებით დაადგნენ ისევ.  
ახლა მარტო ხარ სარატოვში...  
თბილი ოთახი  
შენი ტკივილით და გოდებით  
განაბულია,  
ნეტავ გახვიდე, გაიარო  
გარეთ ცოტა ხნით,  
გარეთ ნამდვილი აპრილი და  
გაზაფხულია.  
შენ მარტო წევხარ, არ გასვენებს  
ეჭვების ჭია,  
გეწვის იარა და გეესება თვალები  
ცრემლით,

სადღაც მთებს იქით, მწვანე  
სამარეს ჭრიან  
და შავ ლოდებზე გმირთა სახელს  
აწერენ წყენით.  
შენ პალატაში განაბული  
წევხარ გულადმა,  
ცივი ქარები გადაუვლის  
გრიალით ქედებს...  
იქ რა ბიჭები  
რა უღმერთოდ ამოუნადმავთ,  
რა შავი დილა გაუთენდა  
შვილმოკლულ დედებს.  
ო, როგორც წამი, ცხელი ცრემლი  
თვალებს მოცვარავს,  
შუბლზე დაგაჩნდა ნაოჭების  
ცივი ღარები,  
ბედის ვარსკვლავი შენს წილ  
ყუნწზე  
ნუთუ მომწყდარა,  
ნუთუ დასრულდა სიჭაბუკის  
თბილი დარები?  
ნუთუ ვერ შეძლებ  
ბილიკებით მთების არბენას,  
ჩინარის ჩრდილში ვერ შეხვდები  
მთვარეს იღბლიანს,  
ნუთუ ვერ გაშლი ლამაზ ფიქრებს,  
ლამაზ ვარდებად  
და ვერ დააფრთხობ  
სიყვარულით  
იმ ცელქ ნიბლიას?  
ვერ მოიტაცებ იმ ანგელოზს  
ნუთუ თეთრონით  
და მაყრიონი არ აანთებს  
ერთხელ მაშხალას,  
ნუთუ ცხოვრებას  
დიდი გულით ვერ მიეთბობი,  
შენს სევდა-ტკივილს  
არ გაუყოფ ნუთუ შავთვალას?

არა! ცხოვრება და გაძლება ახლა  
იწყება,

ბელთან ჭიდილი,  
ბელთან ბრძოლა შეურიგალი.  
სხვა მწვერვალები,  
სიყვარული, თავდავიწყება,  
სხვა შემართება,  
სხვა სიძნელე  
და სხვა ვრიგალი...  
ომის დღეები, საზარელი,  
თითქმის დასრულდა,  
დღეები შიშის,  
სიკვდილის და  
ყინვა-სიცივის,  
ზამთრის შემდეგ უკვე დათბა,  
გამოზაფხულდა  
და ყაყაჩოებს დღეს პირველად  
წასკდა სიცილი.  
ისევ აყვავდნენ ალუბლები,  
მორცხვი შინდები,  
მოლზე იებმა გაახილეს  
ღიმილით თვალი,  
წინ დიდი გზაა, სიცოცხლეს ვით  
შეუშინდები,  
როცა სიკვდილი, მოვარდნილი,  
ჩაქოლვე ძალით.

არა, არ ჩაქრა ანთებული გული და  
ძალა,  
სიცოცხლის რწმენა,  
ჭაბუკური სული და სითბო  
და გადარჩენის შენი ბედი, არ  
დავიძალავ,  
ბეწვზე ეკიდა,  
შენი თავი იხსენი თვითონ.  
ქვემეხის ჩონჩხზე  
როცა კისრით ჩამოკიდული,  
ნახევრად მკვლარი მაინც  
სიკვდილს

ებრძოდი ვარეთ,  
დილით გიპოვეს სისხლის ტბაში  
ამოყინული  
მკერდი მოგბანეს, შევიცოდეს  
და შევიფარეს...  
ახლა მარტო ხარ სარატოვში,  
თეთრი ოთახი  
შენი ტკივილით და ღუმილით  
განაბულია.  
ნეტავ, გახვიდე, გაიარო ვარეთ  
ცოტა ხნით,  
ვარეთ ნამდვილი საოცნებო  
გაზაფხულია.

ბალებს გასცქერი სარკმელიდან  
გულდაწყვეტილი,  
სადღაც, მთებს იქით, მზე წითელი  
ამობრიალდა  
და პალატაში, ვით სურვილი,  
სატრფოს წერილი  
თეთრი მტრედით შემოფრინდა,  
შემოფრთხიალდა.  
ოცნებასავით გაიწელა შორა  
მანძილი;  
ფრთები გაშალა სიყვარულმა  
წამოსაფრენად,  
წერილს დასცქერი, ლამაზ  
წერილს,  
ოქროს განძივით,  
ხან შიში გიპყრობს დამდაღველი,  
ხან აღმაფრენა.  
ღამე აენთო, აელვარდა  
იქვე ალვებთან,  
შემოჯდა მთვარე — მოლაღური  
ტოტზე პატარა,  
ნეტავი ასე,  
ასე ძლიერ რა გაღელვებდა,  
რამ დაგაფეთა,  
რამ შეგაკართო,

რამ გაგახარა?  
რამ დაგისველა წამწამები  
ისეც სოველი  
და ვინ ამაღლდა შენს თვალეში  
ცამდე ღმერთივით.  
ყოველი სიტყვა,  
მონატრება,  
აზრი ყოველი,  
რად მოგეჩვენა ასე ნაღდი,  
ასე კეთილი?  
რატომ შეხედე ღღეს ცხოვრებას  
სულ სხვა თვალეებით,  
რატომ ამაღლდა შენი სული,  
შენი უნარი  
და ის ღღეები, დაწყველილი,  
ნამტირაღევი,  
რად მოგეჩვენა ლამაზი და  
გაუხუნარი?  
რატომ განათდა ყველაფერი  
ირგვლივ სინათლით,  
დახურული და ჩაჟანგული  
გულის კარები,  
კვლავ სიყვარულის ნეტარება  
რატომ ინატრე,  
რამ გამოგცვალა, ოღეს ცივი  
მიუკარები?  
ვინ, ვინ გეძახდა,  
ვინ გიხმობდა ასე გულდაგულ,  
ვინ გითხრა, ვინა, ამ მძიმე ჟამს  
თბილი ნუგეში,  
ვინ გაგინათებს ღღეებს მწარეს,  
ცივს და უმადურს  
ამ სასტიკ დროში და ამ სასტიკ  
საუკუნეში?  
ვის შეუძლია ღიღი რწმენით  
უფეხო კაცის  
ფიქრის წაკითხვა, შეყვარება,  
სულში ჩახედვა,  
შენი ცხოვრების მწარე ნაღველს  
ნეტა ვინ დაცლის,

გაიზიარებს და გაიყოფს  
შენს ტკივილს,  
სევდას?  
რა შეუძლია სიყვარულის  
ბარათს პატარას;  
შიგ რა ეწერა,  
რა ეწერა ნეტავ ისეთი,  
ასე რომ დაგწვა,  
აგაღელვა და გაგახარა  
და გამოსტაცა დაკარგული  
ეშმაკს იმედი?..  
რად მოგენატრა მიწის მაღლი,  
გღუნის კარავი.  
ნავი, მიბმული ზღვის ნაპირას  
რკინის პალოზე,  
ის სიყვარული და ის ღღევა  
დაუფარავი,  
ასე გულდაგულ,  
ასე წრფელად  
რატომ დალოცე?  
რად მოგეჩვენა ციხისძირის  
საღამოები  
უფრო ლამაზი,  
უფრო წყნარი და დიდებული  
რატომ აყვავდნენ სულში ნუშის  
ნაზი რტოები  
და რად გეძახის ზღვა,  
ფიქრებით აღიდებული?  
ის შენი სატრფო —  
გულის ვარდი,  
მინდვრის ფერია  
იქნებ მოგელის ომგადახდილს  
საღს და ჯანიანს,  
შენ ხომ წერილი ერთხელაც არ  
მიგიწერია  
და ერთი ტკბილი ამბორიც  
არ გაგიგზავნია.  
მაინც გეძახის: შენი ვარო,  
შენად მიგულე,  
მიყვარხარ ისევ და ფიქრები

ჩამოიცილე,  
ჰოსპიტლის კარი, საყვარელო,  
ჩუმაღ მიხურე,  
ახლა გჭირდება მეგობარი  
ნუ მოიწყინე!  
თუ სიზმარია ყოველივე,  
სატრფოს ბარათი  
რატომ გიზგიზებს,  
რატომ გიხმობს,  
რატომ ხმაურობს,  
რატომ დავიღვა ანგელოზის  
თვალწინ ხმა ნაზი  
და რად გეძახის გული სახლში  
სამოგზაუროდ?  
ო, ეს წერილი, ამ დილით რომ  
შემოფრიალდა,  
მტრედის ღულუნით,  
მზის ციალით,  
ციხკრის ნათელით.  
შენი ცხოვრება ისევ წაღმა  
შემოტრიალდა,  
დაპატარავდა,  
დაჩიავდა სულში ნაღველი.  
და წამოშალა ზღვისპირეთი,  
ციხე ბებერი,  
უბეავსილი გაზაფხულის  
კალთა მზიანი;  
მტრობის გზა — მოკლე  
სიყვარული — უბერებელი  
და უკვდავება,  
უკვდავება ადამიანის...  
როგორ ამდერდა ამდენი ხნის  
გული მდუმარი,  
გათბა მიდამო, მზე აენტო,  
გალხვა ყინული,  
განათდა სული, სურვილების  
ნავსაყუდარი  
და დედამიწა ომის კვამლით  
გადაბინდული.  
გზები გეძახის,

დიდი გზები,  
პურის თავთავი,  
შრომა — ლამაზი,  
სიყვარული — დაუღუღარო  
მამის ჭალარა,  
დედის წმინდა გული მართალი,  
ბაბუას ძველი მოგიზგიზე  
თბილი ბუხარი.  
ღია სარკმელთან მზიარული  
გელის ასული,  
მზე რომ ანთია მოელვარე  
წითელ ლოყაზე,  
როგორც მაისი, მთის ჩანჩქერი,  
წრევადასული  
ერთი შეხვედრით და ღიმილით  
გულს რომ მოგტაცებს.

პროთეზებს ცივი, ცრემლიანი  
შეხედე თვალთ  
და წამოიცივი რკინის ფეხი  
მოჭრილ წვივებზე...  
გარეთ ყვაოდა ალუბალი,  
თეთრი და მკრთალი,  
გაზაფხულის მზე აბრეშუმით  
ქსოვდა იმედებს.  
და მოგეჩვენა სარატოვი, შენი  
პალატა  
უფრო ნათელი, უფრო დიდი,  
უფრო მაღალი.  
გული განათდა, დაკოდილი,  
გული განათდა,  
როგორც მზის შუქით განათდება  
ხოლმე ტაძარი.  
მთები იცვამდნენ  
გაზაფხულის მწვანე  
სამოსელს,  
ხეებს კვირტები,  
ხოლო მინდვრებს  
აჩნდა ხნულები,  
შენ ძმობის ძალა,

სიყვარულის ძალა დალოცე,  
ოცი მილიონ ჩაუმქრალი  
გმირთა გულებით.  
„ბოლომდე უნდა, მეგობარო,  
დარჩე მებრძოლად,  
არ შეიძლება შუა გზიდან  
უკან დახევა,  
არ გააცივო ძველი კერა,  
ჩამქრალი ოდა  
და უპატრონე პატიოსნად  
ამდენ ბალ-ვენახს.  
უნდა ამოსწვა ხალხის გულში  
შური, სიხარბე,  
რწმენის სიმტკიცე მულამ უნდა  
გაიმედებდეს.  
მაშინ იქნება მეტი პური, მეტი  
სინათლე,  
მეტ სიყვარულს და  
სინაზესაც გაიმეტებენ.  
და არ დაწვევებით მაშინ ქვეყნად  
კაცის გაჩენას,  
სამძიმ საფლავზე აღარ დავრგავთ  
მტირალა ტირიფს,  
მხოლოდ დიდებას ამოქარავს  
კაცის მარჯვენა  
და არა ტყვიას,  
არა ჭურვებს,  
სევდას და ტკივილს!“  
ასე ფიქრობდი სარატოვში  
აპრილის დილით,  
შინ მოდიოდი პროთეზების  
ჭრიალით როცა,  
დღე იყო ცივი, მიწას ომის ებურა  
ჩრდილი;  
იყო დუმილი,  
სიხარული,  
ცრემლი და ლოცვა...  
დაემშვიდობე,

მოეფერე ანა პეტროვნას  
ეკიმს, რომელიც ერთი წელი  
თავს გვევლებოდა  
გულად, სიკეთით, სიყვარულით  
დედისოდენა...  
ახლა რატომღაც მოწყენილი  
იღვა და თრთოლა.  
თვალწინ დაუდგა დაცემული  
ვოლგასთან ვოვა,  
ერთადერთი ძე, დედის პირმშო,  
ნუგეში დედის,  
შვილის ღიმილი, სიყვარული  
მან შენში ჰპოვა  
და ბედნიერი,  
ბედნიერი ის იყო დღემდე,  
თავს გვევლებოდა, შეგეჩვია  
ჯარისკაცს ალაღს,  
ვადაერჩინე, ნეტავ შენთვის  
რა არ იღონა.  
თუმცა სიხარულს გამარჯვების  
ახლა ვერ მალავს,  
მაინც ატირდა, ძმაო გული,  
შენც დაგიღონა,  
გამოვაცილა სადგურამდე თეთრი  
ხალათით,  
გამოვატანა გულის სითბო,  
რწმენა დროული;  
უთხარ: „ამ ამაგს, ამ სიყვარულს  
კუბოს კარამდე,  
როგორც შეჭფერის ნამდვილ  
ვაჟკაცს,  
ისე მოვუვლი,  
ვოვას მაგიერ გეხვეწები შვილად  
მიწამე,  
ეს ერთადერთი სურვილი და  
პატივი დამდე.  
შენ ამაშორე მე სამარე,  
დედას — სიმწარე,  
მე ახლა ორი დედის ვალი  
კისერზე მადევს!“

ლამის ცივ ბინდში გაქრა  
ჩქარი მატარებელი,  
ჭალარა ქალის თბილი სახე  
მოჩანდა აღარ,  
ხვალ ციხისძირში დებეშების  
დამტარებელი  
ეს მერამდენედ ჩაიკითხავს  
კარგისმთქმელ ქალაღდს.

## მონაწერი

მოგელანდება დნებრის ველი,  
ომის ჩრდილები,  
და ის ბიჭები არასოდეს არ  
მოკვდებიან,  
მამულის მადლით,  
დედის გულით დალოცვილები,  
ყაყაჩობად მთებს და ველებს  
მოედებიან...  
დიდი ნახტომით საუკუნეს  
გადაუარეს,  
ქარიშხლებივით  
ბრძოლის ველზე გაიჯირითეს,  
გზა ჩაუკეტეს  
სიკვდილს უფრო დიდს და უარესს  
და უკვდავება  
ომში დაღვრილ სისხლით აინთეს.  
ვერ ეტეოდნენ სამარეში,  
ლოდებს ამტვრევდნენ  
და მირეკავდნენ გოლიათურ  
ძალით უკუნეთს.  
სადაც ფეხს დგამდნენ,  
გამარჯვებას სისხლით აწერდნენ  
და შეუნახეს მზე ნათელი  
ამ საუკუნეს...  
და მოიხადეს ვალი,  
როგორც გმირებს შეჰფერით,  
არ დაუხრიათ „ჭირსა შიგან“  
თავი რაინდებს.  
და თუ პირდაპირ ვიტყვით, —

შედლეს შეუძლებელიც  
და სიცოცხლეში  
უკვდავების ძეგლი დაიდგეს.  
შენ, ჩემო ძმაო, დიდო კაცო,  
გმირო მაღალო,  
შენაც დაგიდგამს უკვდავების  
ძეგლი, შეგებლავ...  
მძიმე ჭურვებით დამსხვრეულო  
მუხავ, მაგარო,  
შენი სიცოცხლე და სიკვდილი  
დარჩა ლეგენდად!  
შენი ცხოვრება  
საუკუნის ტკივილებს იტევს,  
შენ არ გქონია, ძმაო ჩემო,  
ერთი დღეც ლხინის,  
რამდენი წელი  
ცივი რკინა წვალეებით ზიდე,  
არ დაგიკარგავს არასოდეს  
ცხოვრების ჟინი.  
მოჭრილ წვივებით, მახსოვს,  
მიწას თხრიდი და რგავდი,  
მხოლოდ შრომაში  
მწარე სულის ეძებდი შვებას.  
შენი გმირობა და სიცოცხლე  
ლეკებდას ჰგავდა —  
წუთისოფელთან დაუმცხრალი  
ბრძოლა და შებმა.  
არ დაგიკარგავს არასოდეს  
იმედი,  
რწმენა,  
კაიკაცობას და სიყვარულს  
სწავლობდნენ შენგან.  
არავის ახსოვს  
ოხვრა შენი,  
წუწუნი, წყენა,  
თუმცა გული შენ,  
ძმაო ჩემო,  
გტკენია ბევრგან.

კვდებოდი,  
მაინც მომავლის ტოვებდი იმედს,  
ომში, შრომაში  
მოუღლეელი კაცი ვით ლომი.  
აზლა კედელზე,  
ბველ კედელზე ჰკიდია მძიმე  
შენი პროთეზი —  
მოგონება იმ დიდი ომის...

### ბოლო მინაწერი

ომგადახდილი  
საამაყო ძმის სამარესთან,  
ჯარისკაცივით რიგში დგანან  
მწვანე პალმები.  
მეც რიგში ვდგები,  
ამ მოწყენილ პალმებთან ერთად  
და ყოველ მაისს,  
როგორც ცოცხალს,

გმირს ვესალმები.  
მხურვალე მკერდზე  
გავახარებ დაცვარულ ვარდებს  
და გავიხსენებ,  
გავიხსენებ იმ მძიმე წუთებს,  
რომ არ დაღუმდეს არასოდეს  
ვაჟკაცის ბაგე,  
ტირიფის ტოტზე  
ვხედავ შაშვებს  
დაუდგამთ ბუდე...  
დე, ჰიკჭიკებდეს ჩიტუნები  
სიცოცხლით ლაღად,  
ომი და ცრემლი  
მოგონებად დარჩეს ამ წიგნში,  
ორმოცდაერთის ტრაგედია  
გვენახოს აღარ,  
აღამიანებს აღარ ჰქონდეთ  
სიკვდილის შიში!



## ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ი მ ე ღ ი

ვის არ დარჩენია ავადმოსაგონრად ის დღე. დედებმა წამოყვინჩილებულ ბიჭებს ცრემლჩამდგარი თვალებით გადახედეს, გასათხოვარმა გოგონებმა უფრო თამამად შეხედეს თავიანთ რჩეულებს. დრო დადგა ისეთი, რომ ვინ იცის, როდისღა ეღირსებოდნენ ხვაშიადის გამხელას. თანაც მარტო თავიანთი რჩეულების ძალ-ღონის გამოცდა კი არა, ერთმანეთში, ვითომცდა ჩემთვის სულ ერთიაო, გაპაექრებაც უნდოდათ, — არა ჩემი სჯობს, არა ჩემიო. ამიტომაც აქეზებდნენ გულის სწორებს, უსიტყვოდ, მაგრამ დიდის დღევით, ეშხიანი გადახედვით შესაჯობებლად. აბა, ბიჭი ხარ და ნუ ივაჟაკებ! ბიჭებმაც გულდაგულ გადაისვეს საულვაშეზე ხელი და ახლა თითქოს სულ პირველად, თითქოს მუშტრის თვალით სახარე მოზვრებს სინჯაენო, გადაიმტკავლეს საკუთარი მხარბეჭი.

მხოლოდ მამები და პაპები, ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოვლილნი, რომელთა თავზეც წისქვილის ქვაც დატრიალებულა, ბუხრის პირს ჩამომჯღრანი, ისე ვითომ საქმე გამოლოდეთ, იპურჭყებოდნენ მინაელებული კერიისაკენ და წარბებქვეშიდან მრავლისმთქმელად თუ გადახედავდნენ აფუსფუსებულ ოჯახებს, რომელთაც იმედი, ან იმედები უნდა გაეცილებიათ და, დაუბრუნდებოდათ ოდესმე ისევ თუ არა, არავინ უწყადა. მხოლოდ მამებმა, გულ-გვამ დათუთქულმა მამებმა იცოდნენ, სად ისტუმრებდნენ შვილებს, თუმცა ან მათ კი იცოდნენ ის ჯოჯოხეთი, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით? იქნებ ბედი თუ ხვედრი მათ პირმშოთათვის უფრო ძნელ გამოცდას ამზადებდა.

მაგრამ არსებობს ქვეყანა, ქვეყნის ვალი და ამ ვალის მოუხდელობა ყველა სიკვდილზე და უბედურებაზე მეტი სიკვდილი და უბედურება იქნებოდა. ქვეყანა ქულზე კაცს უხმობდა.

ჭრიალებდა ჭიშკრები და მთელი დამე არ ჩამქრალა ჭრაქი და ლამფა სოფლის არც ერთ ოჯახში. ყველგან მბჟუტავი სინათლე ენთო, იმ მბჟუტავი იმედივით, რომ სულ მალე მოთავდებოდა თავს დატეხილი განსაცდელი და ისინი, ვისაც ახლა შორი და ჯერ გაუვალი გზის გასავლელად ამზადებდნენ, დაუბრუნდებოდნენ მიტოვებულ სახლებს, მინდვრებს, ყანებს, გუთანს, ურემს და მხარგაშლით მოსაქნევ ცელებს.

იმედი სიცოცხლის ზიარია და იმედი გულში ჩადგომოდათ. ისევ ის მბჟუტავი იმედი. იმედი, რომელიც ხვალის დღეზე, ზეგის დღეზე და მთელ

სიცოცხლის მანძილზე ზურგსმოგდებული გუდასავით დააქვს ადამიანს საგზლად.

...დილით ყველა შარაზე გამოეფინა. შარა ერთ დროს ფართო იყო, მაგრამ ახლა დავიწროებულიყო, შეცივნილი კაცივით მხრებში აწურულიყო და დიდსა და პატარას რომ ვეღარ იტყვდა, ღობეები გადაეფინა-გადმოეფინა.

დილით შარაზე ცეკვა-თამაში მხოლოდ მაყრებმა იციან. ახლა ქორწილს არავენ იზდიდა, მაინც ტამ-ფანდურს აეხმიანებინა გარემო. ჰაი დვდასა! საქორწილოები როგორ არ იყვნენ, მაგრამ ქორწილისათვის ვილას ეცალა!

გადაეკვებოდა ერთი წრეს და აქამდის თუ ხვეწნად და „ზიაცკების“ დაცვეთად უჯდებოდა თავისი რჩეულის გამოთამაშება, ახლა ქალი, მთლად ვაჟის სურვილს მინდობილი, ატყორცნიდა ხელებს და ყელმოდერებით მიჰყვებოდა გამომწვევს. რაღა დროს ხვეწნა-მუდარისა და გაბრანჭვის დრო იყო, — ბიჭები შორს მიდიოდნენ და მათი გულნაკლული გაშვება ცოდვად დააწვებოდათ.

ბევრმა მოტკეპნა დილის ცვრისაგან მომბალი მიწა. ბევრი დედა გულში იბაგუნებდა მჯიღს, ბევრმა ქალწულმა ამოიმშრალა მალულად თავშალის ბოლოთი ცრემლიანი თვალები. და მაინც, მხოლოდ მამები იღვნენ გაჩუმებულნი და უსიტყვოდ, მოწმეებივით განზე ვამდგარნი, მისცემოდნენ ფიქრს, მამაკაცურ ფიქრს, რომელიც ცრემლზეც უფრო მწარეა და „გენაცვალზე“ უფრო ძნელი სათქმელი.

ბევრმა მოიკლა ცეკვის სურვილი. ბევრს კიდევ სურდა გაგრძელებულიყო ჭირისწინა ღზინი, მაგრამ დრო და რაიონიდან მოვლენილი საყველოზე შპალებშიმაგრებული კაცი აღარ ითმენდა.

მხოლოდ ივლიანეს არ უცეკვია იმ დილა-ხემსობაზე. მამა ახალმობარებული ჰყავდა მიწას და მშობლის ხსოვნას ვერ გაუბედა, თორემ ისე, იცოცხლე, ცეკვა იცოდა, შევენოდა კიდევ.

იღვა ივლიანე განზე დედის მხარზე ხელგადახვეული, ოდნავ შესამწევი ღიმილით გასცქეროდა ტოლების ნაძალადევ მზიარულებას.

— ბიჭო, ივლიანე! — დედა-შვილს დიანოზ ბაბუა მიუახლოვდა, — ნუ მომკლავ ისე, რომ შენი ცეკვის მონატრული ჩავიდე სამარეში. რა ვუყოთ, შვილო, გაშალე ხელი, დღეს ხომ ჩვეულებრივი დღე არ არის, არავენ დაგძრახავს.

ივლიანემ ხელი მოხვია მოხუცს, თავისკენ მიიზიდა, ჯერ ლოყაზე მერე მკერდზე ეამბორა და მორიდებით შეჰკადრა:

— მერე, მერე, ბაბუა დიანოზ! ჩამოვალ და მგონი იმდენი ვიცემო, ჭაბანი დაგჭირდეთ ჩემს დასაბმელად. მერე იყო, ბაბუა დიანოზ.

— ღმერთმა ყველა საღ-საღამათი დაგაბრუნოთ შვილო, თქვენს გა-

ჭირვებას ღმერთმა ნუ მომასწროს, იცოდე, კარგი მამის შვილი ხარ და შენი იმედიც მაქვს, როგორც ჩემი სისხლისა და ხორცისა, სულ გამარჯვებით გველოს!

— იცოცხლე, ბაბუა დიანოზ!

ივლიანე სოფლის სიამაყე იყო. შრომაც კარგი იცოდა და მოლხენაც. ხშირად უთქვამთ: ნეტავ იმას, ვის ეზოს წინ სასიძოდ გამზადებული ცხენს შეაყენებსო. სიძობა იქით იყოს და, ყველას უზაროდა მისი სტუმრობა, — მომლხენის, გულკეთილის, მოსიყვარულესი.

იმ დღეს ივლიანესაც დაულოცეს შორი და უცნობი გზის კეთილად, უმტკივნეულოდ გავლა სოფლის თავკაცებმა...

„სოფელი დაცარიელდა და ეს დაცარიელება როდემდე გაგრძელდებოდა, არავინ იცოდა. დაირა და გარმონი სადღაც კუთხეში მიაგდეს და დიდხანს არ ეწერათ მტურის მოცილება. დროის ყველაზე ბეჯითმა მსაზღვრელმა, — თობამ, მათში საიმედო ბინა დაიდო და თავის ქსელივით აბამდა შინ დარჩენილთა, წასულთა და სიცოცხლის ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე მდგომთა ბედის ქსელს.

ომში წასულთა გზა სოფელმა როგორც არ უნდა დალოცოს, ომი მაინც თავისას აკეთებს და ბევრს უქრობს იმედის მბუჯტავ ჭრატსაც. ჯერ კანტიკუნტად, შემდეგ უფრო მოხშირებით გაისმა შეკვივება სოფლის თავსა თუ ბოლოში. მოხშირდნენ შავკაბიანი დედაკაცები და მარცხენა მკლავზე შავლენტშემოვლებული მამაკაცები. ჭირისუფლები ერთმანეთს საშქიმარსაც ვერ უბედავდნენ და ერთ ბედში მოქცეულები, თუ ჯერ კიდევ დაიმედებულები, პირარიდებულნი იყვნენ ერთმანეთთან, თითქოს ერთის უბედურება. რომელიმე მათგანის ბრალი იყო. სოფელი დამუნჯდა, გამარჯობის თქმა გაძნელდა და გაძვირდა — ეფაქრებოდათ, არავინ შემოიძიოს და არ მითხრას, თუ დამცინი, ისე გაგიმარჯოს, როგორი გამარჯვებულიც მე ვარო.

ივლიანეს დედას ყველაზე ხშირად მოსდიოდა შვილის წერილები. იწერებოდა: აქ ვიბრძვით, მტერს ვანადგურებთ, მთავრობამ ეს ჯილდო მომცა, ეს მადლობათ და დედასაც გული უკაჟდებოდა. თავისი შვილი ტყვიის უკარება ეგონა და იმედით შესცქეროდა ყოველი დღის გათენებას, — აი, ახლა გამოჩნდება ჩემი ვაჟკაცი, აი, ახლაო.

დედას, თითქოს ერიდებოდა მათი, ვინც უკვე იმედდაკარგული იყო. ხანდახან წერილის დამალვაც კი უნდოდა, მაგრამ ასეთ დროს განა ვინაჟს გამოეპარება რამე?

შენატროდნენ ივლიანეს დედას.

— გაიხარე, ჩემო ეფროსინე, შენი ივლიანეს კაი კაცობით და სიცოცხლით, — ეტყოდა ქელიშარაზე ჯოხდაბჯენილი, თითქოს წელმოწყვეტილი ღიანოზ ბაბუა, რომელსაც უკვე გამოეცადა შავი ქალღმერთით მოტა-

ნილა სიმწარე. შვილიშვილი მოუკლეს მტრებმა და ახლა სულ მათ წყევლა-კრულვაში იყო. — ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ივლიანე და რაც ჩემს ბიჭუნას დღე დააკლდა, მას შეემატოსო.

ეფროსინე ვერც მადლობას ეუბნებოდა და ვერც თვალს უსწორებდა, უხმოდ გაერიდებოდა ხოლმე მოხუცს.

მაგრამ სიმწრის გამოცდა არც ეფროსინესათვის დაიშურა ღმერთმა. შავმა ქალაღმა მის ოჯახშიც ჩაკლა სიცოცხლე.

ნაწილის უფროსი იწერებოდა ეფროსინეს სახელზე: ერთ-ერთ მძიმე ბრძოლის დროს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თქვენმა შვილმა, და მტერს დიდი ზარალა მიაყენა, მაგრამ გმირულად დაეცაო. ნაწილის უფროსი ნუგეშთან ერთად მადლობასაც უთვლიდა ასეთი შვილის აღზრდისათვის.

ატირდა დედა. კიდევ ერთხელ აღშფოთდა სოფელი. კიდევ ერთი წყევლა-კრულვა გაეგზავნა ღმერთის პირით ომის ამტეხს.

იღვა სოფელი ქედისმარაზე და ივლიანეს გამო გაემართათ საუბარი. იგონებდნენ მის ვაჟკაცობას, მის კარგ კაცობას, მის მომხიბვლელ ცეკვას და სიმღერას.

— აფსუს, ბიჭო! — იტყოდა ერთი.

— ე... — გააგრძელებდა მეორე.

— ვაი, შენს დედას, უბედუროს! — ჩაიგმინებდა რომელიმე ქალი და ყველანი ქედისთავისაკენ გააპარებდნენ მზერას, სადაც განცალკევებით იღვა უბედური ეფროსინეს სახლი. დედას საწოლზე გადმოელაგებინა შვილის ტანსაცმელი და დაჰქოთქოთებდა.

— იტირე, იტირე შე უბედურო! — ამბობდა ბაბუა დიანოზი, რომელსაც პირშეუკრავ ჭრილობასავით გახსნოდა შვილიშვილის საკვდილის სიმწარე და არა მარტო დედისათვის, მთელი ქვეყნისათვისაც ვერ მოეგონებინა სანუგეშო სიტყვა. ქვეყნის ნუგეშად და უკვდავებად მაინც ის ჭაბუკები იღვნენ, რომლებიც სიკვდილს თვალეში უცქეროდნენ და სიკვდილით სიკვდილს თრგუნავდნენ.

ომის ერთმა წელმა მეორე გადაიყოლია, მეორეს მესამე მოჰყვა და ახლა უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დიდი მსხვერპლისა და დიდი სისხლის ფასად ჩვენი ქვეყანა გამარჯვებას იზემებდა.

ზეიმი? კი, ზეიმი იქნებოდა, მაგრამ რომელ ოჯახში აბრიალდებოდა, გაღვივდებოდა საბოლოოდ იმედის ცეცხლი, ჯერ კიდევ არავინ იცოდა.

და ერთ დღეს, გამარჯვების მოახლოების ერთ დღეს, სოფელში იმედის პეპელა შემოფრინდა.

ყველას გადაავიწყდა თავისი გაჭირვება.

კი არ გადაავიწყდათ, სიცოცხლის გამარჯვების იმედი მოეძალათ.

იმედი არ დაგიწყნოდათ, არც იმედი სტოვებდათ მთლიანად, რადგან  
მათ გულში გაიელვა, — იქნებ ჩვენ ვაჟკაცზე მიღებული ცნობაც... იქ-  
ნებ უბედურება არც ჩვენს ჭიშკართან დაყუდებულაო.

პო-და, იმ დღეს სოფელში იმედის პეპელასავით შემოფრინდა ივლიან-  
ნეს წერილი.

ბედნიერი თუ უბედური ეფროსინესაკენ გაემურნენ. ერთმანეთის  
გასწრება უნდოდათ, არა მე უნდა ვუთხრა პირველმაო, და — არა მეო.  
ეფროსინემ მის ეზოში შემოჭრილი ხალხი რომ დაინახა, შეჰკვივლა.

— ახალი რა უბედურებაა, ხალხო! რაღა ამბავია ჩემს თავს?!

მაგრამ დიდი ბედნიერების თქმაც თურმე ისე ძნელია, როგორც  
დიდი უბედურებისა. და ვინ იცის, იქნებ მოულოდნელი ბედნიერებისა  
კიდევ უფრო.

თუ აქამდე ერთმანეთს სტაცებდნენ სამახარობლო ამბის თქმის  
უფლებას, ახლა ყველას ენა დაება.

— ხალხო, რას მტანჯავთ, მითხარით! რა უბედურებაც მაბადია, ის  
არ მეყოფა, ახალს რომ მიმატებთ! თქვით, თქვე უღმერთოებო!

სათქმელი მაინც ვინმეს უნდა ეთქვა და ბაბუა დიანოზმაც ჯოხი  
დააბაკუნა. ხრინწიანად, ყელში ნერწყვიჩამდგარმა ჩაახველა და მხრებზე  
შემოხვია ხელები დედას.

— ეფროსინე, შვილო! გამაგრდი, გამაგრდი, შენი ჭირიმე! ბედნიერი  
ქალი ხარ, ბედნიერი. შენი ივლიანეს წერილი მოვიდა, ქალო, ცოცხალ-  
ლია, გაიგე? ცოცხალი!

მაგრამ დედას არაფერი გაუგია. არც სიტყვა დაუძრავს. უაზრო თვა-  
ლებით მისჩერებოდა შემოჯარულ ხალხს და გულწასული ჩაესვენა ბა-  
ბუა დიანოზის ხელებში.

ისიც ნათქვამია, ბედნიერებას არავინ მოუკლავსო.

წერილი დედისათვის არ მიუციათ წასაკითხად. ან ვინ მისცემდა მა-  
რტო მას, ის წერილი ყველას ეკუთვნოდა და ყველას იმედის ნაპერწკა-  
ლი იყო, სუსტი, მაგრამ მაინც იმედის მომტანი ნაპერწკალი. წერილი  
ყველას და ერთად უნდა წაეკითხათ, რადგან ერთად უნდა ამოესუნთქათ  
მთელი სიღრმით და ერთად დალოდებოდნენ უკეთეს ხვალისდელ დღეს.

— ჩემო დედავ, ჩემო სოფელო, — იწერებოდა ივლიანე, — რომ  
იცოდეთ როგორ მომენატრეთ, როგორ მიხდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ  
მტერი ჯერ კიდევ ბოვინობს, ჯერ კიდევ ბევრი დღე დაღამდება, ვიდრე  
თქვენი შვილები დაგიბრუნდებით. მაგრამ გჯეროდეთ, რომ ეს დღე  
დაღება და მერე ყველანი ერთიანად გავიხარებთ. ეშველება ქვეყანას...

მერე ივლიანე იწერებოდა, თუ როგორ მძიმე ბრძოლებში მიუხდა  
ყოფნა და ერთ-ერთ ბრძოლისას როგორ დაიჭრა ისე, რომ მის საკვდი-  
ლში არავის ეპარებოდა ეჭვი. ეს, ალბათ, ის ბრძოლა იყო, ცნობა რომ

მიიღო დედამისმა, და როგორ გადაარჩინა იგი ერთმა რუსმა გოგონამ, ნასტია, და როგორ შეიფარა იგი თავის სახლში ისე, რომ საკუთარი ოჯახის სიცოცხლე სასწორზე დადო, რადგან ფაშისტები დღევანდელ ჩხრეკდნენ ბინებს, რომ იქ საბჭოთა ჯარისკაცს თავი არ შეეფარებინა. ხოლო თუ აღმოაჩენდნენ, ვაი, მათი ბრალი.

შემდეგ და შემდეგ ივლიანე იწერებოდა, რომ მერე ის, უკვე გამომრთელებული, და ნასტია როგორ შეუერთდნენ პარტიზანულ რაზმს და ჩვენი ჯარების მისვლამდე როგორ ანადგურებდნენ მტერს ზურგიდან.

ივლიანე იწერებოდა, რომ თუ ვინმესაგან ვარ დავალებული სიცოცხლით დედის შემდეგ, მხოლოდ ნასტიასაგანო. ივლიანე აქებდა იმ ქერა ქალიშვილს და ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ წერილის ბოლოში, ალბათ, სიყვარულსაც გაამჟღავნებსო. ასეც მოხდა.

— ახლა დედაჩემო, — წერდა ივლიანე, — მე და ნასტია ცოლ-ქმარი ვართ. მასზე ძვირფასი არაფერია გამაჩნია ამ ქვეყნად და, ჩემო კარგო დედა, ამ წერილის მიღების შემდეგ, ალბათ, ნასტიაც მალე მოგადგება კარს. შენ იცი, როგორ მიიღებ. ის ჩემი ცოლია და შენი შვილი. მას ჩემი დაცვლება არ უნდოდა, მაგრამ... აქ ომია და ზომ იცი, მის მდგომარეობაში... კარგად მოუარე, მანდ უცხოობა არ აგრძნობინო. შენ იცი და შენმა ქალიშვილმა. მე ახლა კვლავ ჯარს შევუერთდი და წინ მივიწევი... ვიცი, გიჭირს, მაგრამ სულ მალე ყველაფერი შეიცვლება...

გეზვევით ყველასო. მომწერეთ ამბავი და ბიჭების შესახებ თუ რამე იცითო.

ჩამოვალ და ყველაფერს სიკეთით გადაგიხდითო.

ივლიანე გარკვევით აწერდა ხელს და თან დასძენდა, — მრავალჯილდოსანი.

ეფროსინემ აღარ იცოდა რა ექნა, — ეცინა თუ ეტირა. მერე ფართოდ გააღო ჭიშკარი და შესძახა: — მოდით, მოდით, თქვენი ჭირიშქ! მოდით, დამილოცეთ ჩემი ივლიანე!

პირველი სადღეგრძელო ბაბუა დიანოზმა თქვა. დალოცა ჭერი, ივლიანე, ის უცნობი რძალი, ვისაც ელოდნენ, აგინა მტერი და ყველას ასეთი ვაზარება უსურვა. იმედმა აიღვა ფეხი ყველას გულში.

....დატრიალდა ეფროსინე. ძველი ოდა მიალაგა, მოალაგა. არ შეერცხვე რძალთანო, დაკარგა მოსვენება.

ყოველ ცისმარე სოფლის გადასახედში იდგა, რომ უცხოდ მოსულ რძალს შეგებებოდა, გზა გაემწყობრა, გასძლილოდა თავისი ოჯახისაკენ, მისი ოჯახისაკენ.

ქორწილი არ დაურქმევია ეფროსინეს, თორემ შვილის დაუსწრებლად ქორწილი გადაიხადა. ვაიხარა რძლის მნახველმა და გულიც გადაუშალა. არც ნასტია დარჩენილა ვალში. თავისი ივლიანეს დედა ისე შე-

გვარა, როგორც საკუთარი. ახლა ორნი იჯდნენ ბუხართან და უსიტყვოდ ებაასებოდნენ ერთმანეთს. ერთმანეთის სიტყვა არ ესმოდათ, მაგრამ სიტყვა რა საჭირო იყო, როცა ორივეს გული ერთნაირად ფეთქავდა და ერთის მშვიდობით დაბრუნებაზე ლოცულობდნენ.

მუცელწამოზრდილ რძალს ეფროსინე ხელს არაფერ მძიმე საქმეზე აკარებინებდა: — ბენა, მე აქ არა ვარ?! — და ხელიდან სტაცებდა სარეცხსაც და საცხობსაც.

ნასტია ჩაიცინებდა, რუსულ-ქართული ნარევით ეტყოდა ხოლმე: — ნინავო დედი, ნინავო, ია სამა!

— ნინავო და გაიხარა შენმა გამზრდელმა შვილო, როგორც მე გამახარე! ნი ნადო, ბოშო, კარგი! ნი ნადო!

— ხოროშო, დედი, ხოროშო... — ნასტია სიამოვნებით ჩაიღიმებდა და მშობლებს მონატრებული მშობლების მაგიერს ეხმატკბილებოდა.

სოფლისთვისაც ხომ სალოცავი გახდა ნასტია. ქელიშარაზე გამოსულს, სალამს აგებებდნენ ყველანი, დიდიც და პატარაც, რადგან ის იქცა მათთვის რძლად, შვილადაც, იმედადაც და სიცოცხლის უძლეველობის განსახიერებადაც.

სანახშოზე გამოსული მოხუცები ჩაისვამდნენ თავიანთ ვადაძთიელ რძალს შუაში და ელაპარაკებოდნენ და ალაპარაკებდნენ იმ ცხოვრების ამბებს, რომელსაც ომი შეარქვეს და რომელსაც ქვეყნად უბედურება და ხვრევა მოჰქონდა.

— შეზე შენ ერთი, კაცო! — იტყოდა რუსულში გაწაფული დიანოზ ბაბუა და მერე არმცოდნეებს უთარგმნიდა ნასტიას მონაყოლს... სხვები შურნარევი მზერით მისჩერებოდნენ დიანოზს და იხტიბარი რომ არ გაეტეხათ, ცოტა ჩვენც ქვე გვესმისო, შეეკამათებოდნენ.

— შე, კაცო, რაღაც სზვანაირად თქვა მა ქალმა! — ეჭვით ეტყოდა რომელიმე და გააგრძელებდა, — ჩვენ ქვე რას გვიძალავ, გვითხარი ბოლომდე.

დიანოზ ბაბუა, გაბრაზებული იმაზე, რომ ან ჩემს რუსულის ცოდნაში ეჭრებათ ეჭვი ან ჰკონიათ რაღაცას ვძალავო, წამოპილბილდებოდა და შეეპასუხებოდა:

— აგერ შენ, და ეგერ ე ქალი! შეეკითხე, კიდევ ქვე თუ არ გჯერა ჩემი.

მაგრამ რასაც ყვებოდა ნასტია და რასაც უთარგმნიდა ბაბუა დიანოზი, საკმარისი იყო იმისათვის, რომ გავვით, თუ რა უბედურება იყო იმ ქარ-ცეცხლში ტრიალი.

ნასტია იყო ყველაფერი მათთვის და ნასტიასათვისაც ისინი შეიქმნენ ყველაფერად. ყველა ლოცავდა უბედურებაგამოვლილ ქალს და იმ დღეების ბედნიერებით ანაზღაურებას ნატრულობდნენ.

მიხვდა ნასტია ხალხის სიყვარულს, სცხვენოდა, თორემ ყველას მო-  
ფერებოდა და ჩაეკვროდა გულში, როგორც თავის დედას, როგორც თავის  
მამას, ბაბუას, ძმასა და დას.

და მაშინაც კი, როცა ბაბუა დიანოზი ჯიბეში ვითომ შემთხვევით  
ჩარჩენილ ვაშლს ან მსხალს გაუწვდიდა და ეტყოდა: — კუშია, კუშია,  
დორკა ნა ზდაროვიეო! — ტირილი უნდოდა, ბედნიერების ტირილი, რომ  
იმ წამების შემდეგ რა კეთილ ადამიანებთან დაიდო ბინა.

ნასტია სოფლის სიყვარული გახდა, სინდისი, სიაძაყე და რწმენა,  
რწმენა გამარჯვებისა, ახლა უკვე არა როგორც სუსტი ნაპერწკალი, არა-  
ძედ მკვიდრი, როგორც სახლის საძირკველი და ქედმოუხრელი, როგორც  
ის მთები, მათ სოფელს რომ ერტყა გარშემო.

წლინახევრის ვაჟკაცი დაახვედრა ნასტიამ ივლიანეს — ქერაკულუ-  
ლებიანი ავთანდილი.

ეფროსინეს სიხარულს ჯერ მაშინ არ ჰქონდა საზღვარი, როცა ვაჟ-  
კაცი შეეძინათ, და მერე მაშინ, როცა ჯილდოებით მკერდამშვენიებულმა  
ივლიანემ შეაღო სახლის კარი.

კიდევ ერთხელ მოიღზინა ოჯახმა.

მოდოდნენ და მოდიოდნენ მნახველები. ზოგი რას ეკითხებოდა,  
ზოგი რას. ზოგს თავისი ბიჭუნას ამბავი აინტერესებდა, ხომ არსად შე-  
გვხვედრიაო, ზოგს ნაცნობის თუ უცნობის ამბავი, ბევრი არ ჩანდა ივ-  
ლიანეს ბედის ზიარი.

ნასტია ცას ეწია. როგორც იქნა, ერთად მოიყარეს თავი. რაღა ვა-  
ჭირვება უნდა დასდგომოდათ და დაიწყეს ახალი ცხოვრება, მშვიდობიან-  
ი ცხოვრება, სიკეთის მოძკა.

ახლა უკვე ქართულში ენაგატეხილი ნასტია და ივლიანე ეფროსი-  
ნესთან ერთად იგონებდნენ ომის ამბებს, ამხანაგებს, ცოცხლებს და შინ  
არდაბრუნებულებს და ყველას ჭირისუფლად ოჯახის დედა უდგებოდა და  
ვიშვიშებდა:

— ვაი თქვენს პატრონს, შვილებო! თქვენს გაჭირვებას რად მოესწრო  
დედათქვენი.

ყველაზე ხშირი სტუმარი მათი ოჯახისა ბაბუა დიანოზი იყო, შვი-  
ლიშვილს შინ დაბრუნება არ ეწერა და იგი მათში პოულობდა სითბოს.

სოფელ-ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა და ჯერ გაუბედავად, ხოლო  
შემდეგ უფრო თამამად გაისმა მაყრულისა და დაიარას ხმა.

ქვეყანას ახალი ძალა და სიცოცხლე სჭირდებოდა.

უღლებოდნენ ახალგაზრდები, ახალგაზრდები, რომლებსაც მწარე  
დღეთაგან მიღებული ჭრილობები ჯერ კიდევ ემჩნეოდათ. შენდებოდა  
ნაომარი ოჯახი, სოფელი, ქვეყანა...





## კალინინგრადადის დამე

კალინინგრადადის სასაფლაოზე დამარხულია 1200 კაცი. ისინი ერთ დღეს დაიხრცნენ ჰოსპიტალის დაბომბვის დროს.

აფერძკრთალებს ლამაზ ხელებს დამე წყნარად,  
 ცის გუმბათზე ხომლი უხმოდ ციალებს,  
 ვერც ტყე-პარკი, ვერც სიბნელე ვეღარ ჩქმალავს  
 ომგადახდილ ამ მიწა-წყლის იარებს.  
 გადაგიტყვევს ლამაზ ფიქრებს გულის ზაფრად  
 ნაკვალევი უზარმაზარ ქარ-ცეცხლის,  
 ათას ორას პატრიოტის სამძო საფლავს  
 ცა დაღვრემილ, ფერძკრთალ სახით დასცქერის.  
 ვხედავ ქალაქს სასტიკ ომში ნამქუხარებს,  
 აქ სიკვდილი ცელით სხეპდა ბრძოლის ველს,  
 თვალი მოგვარ ობელისკზე ქართულ გვარებს —  
 ბიულლიშვილს, გუნუას და დოლიძეს.  
 წარმოვიდგენ ცადავარდნილ ცეცხლის ენებს,  
 წითლად მოჩანს კვამლში ზეცის ტატნობი.  
 მუსრს ავლებდა აქ გერმანელ სისხლისმსმელებს  
 დივიზია ჩანჩიბაძის სარდლობით.  
 აქ ისმოდა გულდამდურულ ქალთა გმინვა,  
 დასტიროდნენ დაშლილ კედლებს ნაცრიანს...  
 გამცემლიძე აქ ეძგერა მკერდით რკინას  
 და მტრის ტანკი ნამსხვრევებად აქცია.  
 სიმშვიდეა, ბაღნარებში ციდან ჩქეფენ  
 ბინდისფერი და რიჟრაჟის ლაღარი,  
 შრომის მაღლი უასკეცებს ეშხს და ელფერს  
 მზარეს ნაბრძოლს, ცეცხლის წარღვნაგადავლილს,  
 თუმცა მშვიდი დამე ახლა დიმილს ფანტავს  
 და ბრიალებს მთვარე — სხივთა საცერი,  
 ათას ორას პატრიოტის სამძო საფლავს  
 ცა დაღვრემილ, ფერძკრთალ სახით დასცქერის.

# ხსოვნის დღე ვილნიუსში

ვილნიუსში, პარტიზანების სასაფლაოზე, ერთ სამ-  
შო საფლავზე ასეთი წარწერაა: „აქ განისვენებს პარ-  
ტიზანი ვ. ს. ბლინოვი თავის ცხრა ვაჟით, შვილე-  
ნიც პარტიზანები იყვნენ“... პარტიზანთა რაზმის მე-  
თაური ტეოფილის მანჩუსკასი ვილნიუსში ცხოვრობს.

ვხედავ ტყეებს, მზიან დილით განაღდება,  
მიწა აჩენს თავის ფერთა სიუხვეს:  
ცხრა მაისის მზე ღიმილით ავარაყებს  
არყის ხეებს, ძეგლებსა და ბიუსტებს.  
ხალხი უხმოდ მიუყვება ტყიან ბილიკს  
და ტაფობზე ადის სვენებ-სვენებით.  
ზოგს სახეზე დაფენია სევდის ჩრდილი,  
ზოგს წამწამზე უცმიციმებს ცრემლები.  
ათასნაირ ფავილების დვას სურნელი,  
კრძალვით დავცქერ მიწას ათასფერიანს.  
წრფელ სიმღერას აქ მოსული ასულები  
მუდამ ასე სევდიანად მღერიან.  
ცენტრში მოჩანს ვეტერანთა ასეული,  
ვხედავ მკერდებს, ორდენებით მაშუქარს.  
ომს იგონებს პარტიზანთა რაზმეულის  
მეთაური ტეოფილის მანჩუსკას.  
გრანიტიდან იცქირება მწყრალად სადღაც  
ცხრა ჭაბუკის სახე რისხვით აღვსილი,  
აქ ლამაზი წარწერა კი ამბობს ლაღად —  
ლომეულ მამას გვერდით უწევს ცხრა შვილი.  
აქ ხელშეკლავით ორ ბიჭს მოყავს ქალი ფრთხილად,  
— გმირთა დედა! — ატყდა ხალხში ჩოჩქოლი.  
ქალი იგი, მოცახცახე, ფერმიზდილი,  
ვით ზამთრისპირს ხეზე კენტი ფოთოლი.  
ცდილობს დედა, საფლავებთან მუხლებს ვერ ხრის,  
და ქვითინით მღუმარ ლოდებს დაჰყურებს.  
ორ შვილს ადრე მოდებია ტრფობის ცეცხლი,  
დედას ექვსი შვილიშვილი ჰყავს თურმე.  
გვერდით უღვას დედას ექვსი სინარული,  
ავი თვალით მათ მტერიც ვერ შეხედავს.  
ვღგავარ, ვხედავ — გმირობა და სიყვარული  
სიკვდილს როგორ უღეწავენ ხერხემალს.



# ერთი დიდი დღე

ასე მგონია, 1941-ის 22 ივნისიდან 45-ის 9 მაისამდე ერთი დღეა, ერთი დიდი დღე.

...ომი დაიწყო, აღუღებული ცეცხლის მდინარე ნაპირებიდან გადმოვიდა და ქვეყანას წვაავდა. წყალი და ხმელეთი ციდან გადმომსკდარი ჭურვებისა და ნაღმების გამაყრუებელმა გრგვინვამ შესძრა. მიღამოს თითქოს შეცივებული შავი სისხლის ფერი დაედო. გუმბათებიან ძველ და ახალ სახლებსა თუ ისლით გადახურულ ქოხებს, სოფლებსა და ქალაქებს ყუმბარების, მყრალი დენთის, შავი ცეცხლის სეტყვა დააწვიმდა. ჯალათების მუზარადში გახვეული სიკვდილი სიცოცხლის დედას — მშვიდობას მუხანათურად თავს დაესხა.

ომამდე ბუნდოვნად მახსოვს კარებლია სავსე ბეღელი — ოჯახის სითბო და იმედი. ბელლისწინა მხარეს — ზაფრანისა და ხმელი სუნელის აკიდობი. ქვემოდან აზურჩხლოლი სიძინდის ტარობი და ლობიოს კონები. შიდა თარობზე — დემირა, ხეჭეჭური და შემჭკნარი კარალიოკი. თხილი, ნიგოზი, ტყლაპი, წიწაკა, წნილით, ყველითა და ყაურმით სავსე დერგები, სხვენზე — ყუნწიანი ყანის ხაპები... სახლისათვის ისე სამაყოა სავსე ბეღელი, როგორც კაცისათვის ნაბადი და ქამარ-ხანჯალი... ბუხარში ნელ ცეცხლზე ქვაბი თუხთუხებდა, კეცზე ჭადი ცხვებოდა, დაბალ სუფრაზე ნენე მწვანის არჩევდა, ნიგოზს ტეხავდა და ჭალის ქვით ჯამში სუნელს ნაყავდა, ნიგოზს კალთიდან იღებდა და მე გარჩევაში ვეხმარებოდი.

ომის დაწყებისთანავე სიკვდილი რკინის ფრთებით მოფაროდა, ცა და ჰორიზონტი ავისმომასწავებლად გაფართოვდა და მალლა აიწია. ფრონტზე წასვლის დღეს მამა სასაფლაოზე მარტოდ ავიდა. დედის სამარესთან ჩაიმუხლა, ხელი გადაუსვა დახავსებულ ბორცვს, ირგვლივ მალალი ბალახები დაგლიჯა და მოასუფთავა. სამარესთან თავდახრილი იდგა, მერე ხელის აწევით გამოემშვიდობა და წავიდა.

ომი რომ დაიწყო, ჩვენი სოფლის გორაკებზე ქვემეხები დადგეს. ამ გორაკებზე ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები იყო შეფენილი. ქვემეხებიან გორაკებს ბატარეა დაარქვეს: ზედა ბატარეა, ქვედა ბატარეა, გაღმა ბატარეა და გამოღმა, ჩვენი ბატარეა...

ომი დაიწყო და დილით სოფლის გზებიდან მეჩაიე ქალების გადაქაჩილი ისმოდა: „აიშე, მერი, ვეტია, თუნთულ, შორეთ კალათი და თო-

ხი წამოიღე, ჩვენს ბატარეაზე მივალთ“. ზოგჯერ ქალების მოძახილს ქვემეხების ზათქი ახშობდა. ოთხივე გორაკიდან ისეთი გრგვინვა გადმოსკდებოდა, ვეგონებოდათ, ქვეყანა ინგრევო. ქვემეხების ზათქი მიწ-წინარდებოდა და ცაზე ღრუბლების ნაფლეთების მაგვარი კვამლი ჩნდებოდა და ყრუ აფეთქება ისმოდა, გასროლილი ჭურვები სკდებოდნენ ცაში. გზაზე რამდენჯერ გვინახია გამსკდარი ჭურვის წახნაგებიანი ნატეხი.

ნისლში ცხვრის ფარას ყფით გარს რომ უვლის ნაგაზი და მგლისაგან იცავს, ომის დროს ისე იცავდნენ სოფელს ქალები. ომის ბინდში გახვეულ სოფელში ქალის გადაძახილი მამლის ყივილივით გაისმოდა და დღეს ათენებდა.

გზებიდან და გორაკებიდან ქალები შეეხშიანებოდნენ აკვანში ჩაკრულ ბავშვებს, ყანაში შეპარულ ხბოს, ბარდებში ჩაბმულ თხას, ვზაზე ამოვლილ უცნობს და ცარიელ ეზო-კარს, და ვინ იცის, კიდევ რას და ვის ეხშიანებოდნენ ომის დროს ქალები. ზოგჯერ ისე, უმიზეზოდ იძახდნენ იმ გაჭირვების დროს, ალბათ, იმიტომ, რომ საკუთარი ხმა გაეგონათ და თავი გაემხნევებინათ.

ომი რომ დაიწყო, ბელელი და სხვა სათავსო დაცარიელდა, ღერგში ხელს ჩავყოფდი, ყველის მაგივრად მხოლოდ ნამცეცები მრჩებოდა, მახსოვს იმ მარილიანი მწათხის გემო... კერიაში ნელლი შეშა აშიშინდა და კვამლისაგან თვალები ამეწვა.

ნაადრევი ხილი — მუშმალა თუ ბალი სანატრელი გაგვიხდა. ტყემლისაგან მოხარდებს კბილები გვექონდა მოკვეთილი და თვალები გზისკენ გაგვირბოდა, დედის გამოჩენას ველოდით. გამოჩნდებოდა დედა და ტირილით გავრბოდი შესახვედრად. ომის სუსხი მომდევდა და შევლას ვეძებდი დედის კალთაში. ცარიელი კალათით რომ მოდიოდა, ჩვენთან ერთად დედაც ტირილი, ლეჩაქის ყურით შემშრალედა თვალებს. საჭმელად გვექონდა ჭინჭრის ფხალი, შაველის ნახარში, მოხარშული მსხალი... ფაფას, გემოს მიხედვით, სახელსაც სახელდახელოს შეარქმევდა და ვინ დათვლის, ომის დროს ნენე რამდენნაირ საჭმელს გვიკეთებდა. არ გაითვალოსო და, ჩვენს ძროხას რქებზე ბადის ნაჭერს და რაღაც ჩხირებს კბდებდა. ახორიდან ისე არ გამოუშვებდა, რომ არ შეელოცა. მაგრამ რატომღაც მხოლოდ ჩვენი ძროხა ხდებოდა ავად, მადიანად არ მოვდა ბალახს და ექიმბაშთან აფრენდა ამბავს. ომის დროს სოფლად ექიმბაშები უცებ მომრავლდნენ. ავადყოფ ძროხას ბერიკაცები ფეხებს შეუკრავენ და წააქცევდნენ. ქედზე, ხერხემლის გვერდით, დანით გაკაწრავდნენ. სისხლის სუნზე აზმუვლდებოდა ძროხა. ნაჭრილობევზე შარდში დამდნარ მარილს წაუსვამდნენ და ფეხებს აუხსნიდნენ, სიმწრისაგან აბლაულებული გარბოდა პირუტყვი. ომის დროს მე და ძროხას ერთნაირად გვეშინოდა წელში მოხრილი, დანიანი ბერიკაცების დანახვა. კლდეზე

ფეხი არ დაუცდესო, და ძროხას ღელის პირას ვაბალახებდი. მოდილი-  
ნებდა საკალმახე პატარა ღელე და მის ცქერაში დროებით მავიწყდებო-  
და შიმშილი.

ჩავხტებოდი წყალში და ქვების ქვეშ შევყოფდი ხელს. ზოგჯერ  
დავიჭერდი თევზებს და ჯოხზე ავასხამდი. ზოგჯერ ღელეს მკვდარი თე-  
ვზები ჩამოჰქონდა, წავიღებდი ხელს თევზისაკენ და ღელის სიტყვები  
მასხენდებოდა, ღელეში საწამლავი რომ ჩაყარო, ძროხა წყალს დაღვეს  
და მოკვდებო. მოწამლულ თევზს შევაქცევდი ზურგს და ძროხისაკენ გა-  
ვრბოდი.

ერთ დღეს ეზოს კუთხეში ჩვენს მარჩენალთან ორი ბერიკაცი შევ-  
ნიშნე. ნენემ მითხრა: ძროხა ავად არის და უნდა აუცრანო. ეზოდან  
წყაროსაკენ წამიყვანა. დედაჩემი ლეჩაქის ყურით ცრემლებს იმშრალე-  
ბდა, წყაროზე ნამტირალევი თვალები მოიბანა და მეც დამბანა პირი.  
ეზოდან ძაღლების ღრენა შემომესმა და სახლისაკენ გავიქეცი, წაქცეუ-  
ლი ძროხა დავინახე. სისხლის გუბეში მოღრეცილად ელო თავი... ლამა-  
ზა დაეკლათ.

სალამოს ნენემ ხორციანი წვენი დამიღვა, თვალებიდან ცრემლები  
მდიოდა. ხორცი თეფშიდან გადავიღე, ჩვენი მარჩენალის ხორცი ვერ  
შევჭამე.

ერთხელ დედას ქვედა ბატარეაზე წავეყვი ჩაის საკრეფად. უხმოდ,  
თავაუღებლად კრეფდნენ ქალები. მწვანე ბუჩქებს შორის დაძვრებოდი და  
გადაყურებდი ზღვას. მაღალ მწვანე ფიჭვებს იქით ლურჯად ლივლივებ-  
და ზღვა, ნაპირი არ უჩანდა. ზღვა ჩვენი სახლიდანაც მოჩანდა, მაგრამ  
ასე ახლოს პირველად დავინახე. ბატარიიდან ქვემეხებს ლულები ზღვი-  
საკენ გაეშვირაო და გემების სადგომს იცავდნენ. ტერასებზე ჯარისკაცი  
დაეშვა და ჩემთან მოვიდა. ჯარისკაცმა მოზრდილი პურის ნაჭერი მომა-  
წოდა. ჯარისკაცულ პურს ხელები მაგრად მოვუჭირე, მკერდზე მივიკარი  
და ლოყა დავაფარე.

ომი იყო და სიკვდილი მძვინვარებდა, ჩვენს სოფლებს კი თით-  
ქოს სიკვდილისათვის არ ეცალათ. ზღვისპირას, სამხედრო ლაზარეთის  
წინ, მწვანე ხეივანში იყო ჩვენი საექიმო პუნქტი, ზოგჯერ ლაზარეთის  
სამხედრო ექიმებიც გემკურნალობდნენ.

ომი იყო. ნენე ხელში თოხს დაიჭერდა და მატარებლით უბილეთოდ  
მგზავრობდა, ამ თოხით სუფსაში, ლესასა თუ ჯუმათში მასავით ცალად  
დარჩენილი ოჯახები ყანებს თოხნიდა. სიმინდის ტეხვაზე გვერდითი  
კვლიდან გოგონას ხმა გვესმოდა, ნენა გეხვეწები, გეხვეწები ნენა, იმ  
ქალს ათი შვილი ჰყავს და ცოტა მეტი მივცეთო... გურიის სოფელში  
მხარზე თოხგადებულ ჩვენებურ ქალს რომ დაინახავდნენ, ამბობდნენ, ათი  
შვილის დედა მოდისო, ამხნევებდნენ და გზას ულოცავდნენ.

ომი იყო და ჩვენს ბაღში ბალი, ატამი, ვაშლი და მსხალი რომ დამწიფდებოდა, ბაბუა ძმებს გოდორში ახალდაკრეფილ ხილს ჩაგვიწყობლა და ჩვენს ბატარეაზე გაგვაგზავნიდა. ბატარეაზე ჯარისკაცები შემოგვეხვეოდნენ, ახალი ხილის სანაცვლოდ შაქრის ნატეხებს, კონსერვებს პურს ჩაგვიწყობდნენ გოდორში და განარებულნი დაღმართში სახლისაკენ მივიჩქაროდით. გაღმა და ზედა ბატარეაზე ჯარისკაცებისათვის ხილი გოდრით ბაბუას მიჰქონდა. ჯარისკაცებმა ერთხელ ჩექმები აჩუქეს. ზამთარშიც არ ჩაუცვამს ბაბუას ის ჩექმები, თითქოს საქორწილოდ ემზადებო, 80 წლის ბერიკაცი, ამ ჩექმებს გამარჯვების დღისათვის ინახავდა.

სოფელში შავი ბარათები მალე მოფრინდნენ, ფრონტზე მოკლულ კაცს ცრემლის ნაცვლად ფიცს აყოლებდნენ, რომ შურს იძიებდნენ.

ბრძოლიდან მოსულმა შავმა ბარათებმა მოსისხლე მტრებიც ერთმანეთს შეარიგა, მოკლული შვილების სახელი გვაგალებს დღეის იქით, დუშმანი ერთი გვყავდესო. ეს დუშმანი ფაშისტები იყო და მასზე შურის საძიებლად გადეს ერთმანეთში სიმოყვრის ხიდი.

ომი რომ დაიწყო, ფიქრსა და ოცნებაში ბრძოლის ველზე ვიყავი, მოწინავე ხაზზე ვიბრძოდი. ისე, როგორც ომობანას თამაშში, არ მედო გულში ღალატი, შიში და უკანდახევა, სანგარში დაჭრილი მამის გვერდით ვიდექი და ნამდვილ ომში ისე ვიბრძოდი... ახრიალდებოდა მტრის ტანკი და მოდიოდა ჩვენსკენ, ერთადერთი გზა გვრჩებოდა, — უნდა დაგვეწვა ეს რკინის ურჩხული. ქვემეხის ლულას შევეყურებდი, მინდოდა დამენახა სიკვდილის გაელვება. ბოლო წამს ზედიზედ გაისროლა, დახშული მქონდა სმენა და არაფერი მესმოდა. ვიცოდი მშობლიური ქართული და ორიოდ ღერი რუსული, ბავშვობაში ომობანას თამაშობისას ნასწავლი: „სტოი“, „სმირონ“, „ურა“, „ზა როდინუ“, „ვპერიოდ“... სანგარს რომ მოაღვა, რაც სიტყვა ვიცოდი, ერთხმად შევეყვირე და ვხედავ, მტრის ტანკს ცეცხლი გაუჩნდა, ნაღმს წამოეგო. ცეცხლმოკიდებული ტანკიდან ზელებაწეული ფაშისტები ამოძვრნენ. სანგარში ფეხზე მდგარი მხოლოდ მე ვიყავი. ეს რომ დაინახეს კბილებამდე შეიარაღებულმა ფაშისტებმა, ხელები უფრო მაღლა ასწიეს. იმ დღეს ხუთი გერმანელი ტყვე მივგვარე ჩვენებს შტაბში... უფროსმა ხელი მომხვია, ჩემო საყვარელო შვილოო, გადამოცნა. ომი იყო და ვინ იცის, ოცნებაში რამდენ დაჭრილ ჩვენს ჯარისკაცს ჩივეშველე და რამდენი მტრის ტანკი ავაფეთქე ჩემი ოცნების კვალობაზე.

საკალმაზე ღელის ნაპირას გერმანელ ტყვეთა ბანაკი იყო. ღელეს მარცხენა ნაპირას, ზღვასთან ახლოს, შეფერდებაზე შეფენილ ფიჭვნარს გუმბათიანი მაღალი სასახლე დაჰყურებდა. გუმბათის მაღალ ანძაზე წითელი დროშა აფრიალდებოდა. ყოველ დღით საყვირის ხმაზე ჩვენს

სოფელში ევაკუირებული სუვოროვის სახელობის სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა ასეული მწყობრში დგებოდა. სუვოროველთა ასეულს სამხედრო სასწავლებლის მეთაური მიუძღოდა. მეთაურსა და ასეულს შორის მწყობრით მიაბიჯებდა ორკესტრი. თავისუფალ სვლაზე გადავიდოდა ასეული და სიმღერა იწყებოდა, ბადრაგის თანხლებით არეული ნაბიჯებით მიმავალ გერმანელ ტყვეთა რაზმს რომ შენიშნავდა, სიღერას წყვეტდა ასეული, შემდეგ, ზურგშექცევით დილის მწყობრს აგრძელებდა. ტყვეები სუვოროველთა სამხედრო სასწავლებლის გვერდით მშენებლობაზე მუშაობდნენ.

ერთხელ, შუა ზაფხულში, გერმანელი ტყვე ბანაკიდან გამოიპარა და სვენს წითელგულა მსხალზე აცოცდა. მანდარინის ნარგავები არ დაჩრდილოსო და, მამამ ომში წასვლამდე კოდმეზე გადადგარ წითელგულას ქვედა ტოტები დაასხება. ტყვე ხის კენწეროზე ავიდა და აჩქარებით დაიწყო მსხლის კრეფა. ფეხი რომ ედგა, ის ტოტი მოუტყდა და ქარაფისაკენ გადაშერილ ტოტზე ხელებით ჩამოეკიდა, შველას ითხოვდა. მე და ჩემმა მამამ ის იყო კიბე მივათრიეთ და ტყვიდან მომავალი ბაბუა შემოგვხვდა, მოგვხმარა, ტყვეს ფეხებთან შეგვეყუდეთ კიბე. საფეხურზე დაადგა ფეხი და ჩვენგან ზურგშექცევით ატირებული ჩამოჰყვა, ჰიტლერი ღორიანო, — დამტვრეულ რუსულს ხელები მიასმარა და ისე მიგვახვედრა. ბაბუა სახეს არიდებდა ტყვეს და არ უნდოდა მასთან საუბარი. წალდი გაიდო მხარზე და ტყვე ბანაკში მივიყვანეთ.

ბადრაგის უფროსის მადლობაზე ბაბუამ ჩვენსკენ გაიშვირა ხელი და უთხრა: მსხლის ძირას კიბე ამ პატარებმა მიუტანეს და ძალა არ მეყო, ბავშვურ სიკეთეს წინ გადავდგომოდიო.

ომის დროს სოფელში ჩვენი თვითმფრინავი ჩამოვარდა, რაღაც მოსვლოდა, ცეცხლწაკიდებული, მეზობელი დაბის მხრიდან შემოიჭრა. შუადღის მზიან ცაზე შავ ნაკვალევს ტოვებდა და დაბლა იწევდა. სოფლის განაპირას, ბაღში, დაეცა. დაღუპულ მფრინავს ჩაის მკრეფავმა ქალებმა თავშელები დაუფინეს, ბუჩქებს შორის მოლზე დააწვინეს. მიცვალებულს თვალები დაუხუჭეს და ხელები დაუკრიფეს. ახალგაზრდა ბიჭი ცაში დაფრინავდაო, გოგოები მხოლოდ ამის თქმას ახერხებდნენ და ტიროდნენ.

მფრინავს ადრე რომ ეცადა პარაშუტით გადმოსტომა, ვინ იცის, სად დაეცემოდა თვითმფრინავი და რა ხანძარს გააჩენდა.

მთელი სოფელი მოვიდა. სამხედრო ლაზარეთის ექიმებთან ერთად მანქანიდან გადმოსულმა ხელჯონიანმა პოლკოვნიკმა ცაზე კვამლის ნაკვალევს გააყოლა მხერა და ჩაწყვეტილი ხმით სანანული გამოთქვა. სამ-

სეღრო სასწავლებლის კურსანტებმა მფრინავი საკაცეზე გადაასვენეს. ომში დაქვრივებულ ახალგაზრდა ქალებს ერთხმად აღმოხდათ: „ღმერთმა სატირლად ეს ერთი ჯარისკაცი მოგვცა... შინმოუსვლელებს, ერთგორც ცოცხლებს, დაველოდებით, მეთაურო, ახლა კი ნება მოგვცედი ჩვენი ჯარისკაცი წესისამებრ დავიტიროთ“...

სუვოროვის სამხედრო სასწავლებლის მეთაურს თვალები ცრემლებით აევსო. იტირეთ, იტირეთ, დებო, უთხრა ქალებს.

მავთულხლართებით შემოღობილ გერმანელ ტყვეთა ბანაკის გვერდით იყო სასაფლაოსაკენ მიმავალი გზა. სუვოროველთა ორკესტრი სამგლოვიარო ჰანგებით მიაცილებდა კუბოს. ავტომანქანების ხმას ოთხივე ბატარეის ქვემეხების ზალბი შეუერთდა. კუბო სამარეში ჩაუშვეს და მფრინავი საშუადამოდ მიიბარა ჩვენი სოფლის მიწამ.

იმ წელს პირველად მივიღიოდი სკოლაში. ჩვენი ეზოდან საში გზა იწყებოდა. სამივეს გვერდი ავუარე და ნიაღვრის ნაკვალევს დავეყვი ფეხშიშველი. დეკემბრის შუა რიცხვებამდე ფეხშიშველი დავდიოდი სკოლაში. მთვარიან ღამით ღელის პირებში ბალახები სუსხს მოეთეთობინა, მოეთომა. ქუსლი და ტერფი ღამის მომეყინა, თითებს ვერ ვღუნავდი, წვრილ ქვიშაზე რომ არ დამეკრა ფეხი, ფრთხილად მივაბიჯებდი, ნაკადულის ნაპირას სუსხმა დამაჩოქა და ყინვით გათოშილი მწარედ ავქვითინდი. თბილი მომყავო ცრემლები ტუჩებს მისველებდა. იმ დღის შემდეგ, ომის დამთავრებამდე, სკოლაში არ წავსულვარ...

მილიონობით სიცოცხლე შთანთქა ომმა — ყველაზე დიდმა უგუნურებამ და ბოროტებამ. ფაშიზმი გაანადგურეს, ომის ცეცხლი ჩაქრა, მაგრამ მბოლავი ღადარი ისევ დარჩა. დახოცილები მშვიდობის გადასარჩენად მოგვიწოდებენ...

საკალმაზე ღელე ჩვენი სოფლის გორაკებზე იღებს სათავეს. ვზადავზა, ახალგაწვეული ზურგჩანთიანი ჯარისკაცებივით, ნაკადულები და წყაროები უერთდებიან, ძალას იკრებს და მწვანე ხეობაში ომახიანად მოსჩქეფს.

41-ის ივნისში მის მშვიდ ნაპირას ჩავლილმა ზურგჩანთიანმა ბიჭებმა ომის ტბორები დააშრეს მკერდით, საბუდარში მოახრჩეს ფაშიზმი. ომი დამთავრდა, მაგრამ ამ ბიჭებიდან ბევრი ვეღარ დაბრუნდა, ისინი საშუადამოდ დარჩნენ ომში წასულნი. მათ ახლა შინმოუსვლელები ჰქვია.

ჩვენ გვახსოვს, ყველაფერი გვახსოვს.

ასე მგონია, 41-ის 22 ივნისიდან 45-ის 9 მაისამდე ერთი დღეა ერთი დიდი დღე...





ს ა მ შ ო ბ ლ ო

უკვდავების გზები ბრძოლით გალიეს,  
 ბრუნდებოდნენ არწივები გუნდებად...  
 დიდება და ვაშა ყველა არმიელს —  
 შინ ძისუკლს და მას, ვინც ვერ დაბრუნდება.  
 ბავშვი ვიყავ, ცელქი ვიყავ პატარა,  
 შენს ლაუჯარდებს შევტრფოდი და ვფიცავდი,  
 შექდნა წლებმა ბრძოლის გზებით მატარა,  
 დარიალთან თოფით ხელში გიცავდი.  
 შენზე ფიქრით მტრის ზღუდეებს ვანგრევდი  
 და ოცნებას შენს ბალებში დავყავდი,  
 გული ვრძნობდა, მტერზე ვავიმარჯვებდით  
 და შენ ისევ პირგაბადრულს ვნახავდი.  
 კიდევ ახდა — ძღვევის ბაირალები  
 მიუიტანეთ რაიხსტაგის თალამდე...

რაისა შენგელისა

წ მ ი ნ დ ა მ ი წ ა

რა დღეები ვთვალეთ  
 ცრემლითა და ვიშით,  
 კანკალებდა მოვარე  
 აღსასრულის შიშით.  
 ცხრათვალა მზეს ცაზე  
 მოებურა თალხი,  
 რისხვით შეკრულ მუშტად  
 დამდგარიყო ხალხი.  
 არ ისმოდა ველად  
 „ოროველა“ ტკბილი,  
 მიყვებოდა გუთანს  
 ქალი თავდახრილი.

ურუანტელად მივლის  
 გახსენება მწველი,  
 თეფშზე — სველის ფაფა,  
 თვალზე — ცხარე ცრემლი.  
 რამ წაშალოს სევდა  
 ამ გადასულ დღეთა,  
 გადიდებულ სურათს  
 დამნობოდა დედა.  
 ვერ გაგვტყუა მტერმა  
 სულითა და სორცით,  
 გმირთა ნატერფალის  
 წმინდა მიწას ვკოცნით...

## პ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც აქა ვარ...

ქალაქში ხშირად არ დავდივარ. არ შემოდის.

ახლა გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ვარ, პატარა ტბასთან ძელსკამზე ვზივარ და წამლაუწუმ საათზე ვიცქირები... ველოდები...

დანიშნული დრო უკვე ამოიწურა, მაგრამ მე მაინც არ მივდივარ, — დარწმუნებული ვარ, ვისაც ველოდები, უეჭველად მოვა.

სექტემბრის პირველი დღეებია.. ნაირ-ნაირი ყვავილებით მოქარგულია გაზონები, თუმცა, მათ ახლა უწინდელი სილამაზე აღარა აქვთ — გაზუნებული, ფოთლებდაძველებული გამოიყურებიან. თითქოს გრძნობენ, რომ წავიდა მათი ყვავილობის დრო... მუხისა და არყის ხის ოქროსფერი ფოთლები ცვივა. მათ ვიღაც-ვიღაცები ღიმილით ჰკრეფენ... ტბაში გელმაც ასწია ერთი ფოთოლი და ანკარა წყალში ნელ-ნელა გააცურა... გრძელი კისერი, პატარა თავი ჩვეულებრივზე უფრო ამაყად ეჭირა, თითქოს არაფრად აგდებდა მოსეირნე ადამიანებს, სიცილ-კისკისით რომ აწყდებოდნენ მომხიბლავ გედებს... ეს ლამაზი გედებიც სეირნობდნენ დინჯად, აუჩქარებლად და მთელი არსებით ტკებობდნენ ბუნების სიმშვენიერით.

სადღაც ესტრადა უკრავს. ვეებერთელა კარუსელები წრეს უვლის. ხალხი ერთმანეთში ირევა. შორიდან ისმის ქარხნების გუგუნი... ქალაქი სუნთქავს თავისი ცხოვრებით. წითელი მზის დისკო ცადაწვდილი სახლის კვერდით ეშვება. თანდათანობით სიცივეც იგრძნობა...

ჩვენთან, საქართველოში, ახლა ოქროს შემოდგომაა. ხილით სავსეა ბაღები, მალე ღვინოსაც დაწურავენ, ჩურჩხელებს ამოაველებენ, სიმინდის ყანებს აიღებენ და ციტრუსოვანთა პლანტაციებს შეესვენან. ათასი ხელი უნდა შემოდგომას — ზარმაციც ვერ ჩაიმუხლებს, მერე დაიწყება ქორწილი, ქორწილს მიყოლებული...

რა მინდა აქ ასეთ დროს? — ის რომ წმინდათა-წმინდა ვალს ვიხდი.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც აქა ვარ, ერთი წელი!

რამდენი ხანია არ ვყოფილვარ სახლში! მენატრება, ძალიან მენატრება იქაურობა... ჩემი სოფლის მიწის ყოველი მტკაველი, იქ ყველაფერი კარგია, რადგან მშობლიურია...

ავლექი, ვედებით მონავარდუ ანკარა ტბას შემოვუარე. დავდივარ

და წყალში ჩემს ანარეკლს ვხედავ — მივაბიჯებ ჯარისკაცის ფარაჯაში  
გამოწყობილი...

აი, რატომ ვარ ამდენი ხანი მოსკოვში — მე ახლაც შენი ჯარისკაცი  
ვარ, ჩემო სამშობლოვ!

— გურამ! — მოულოდნელად გაისმა წკრიალა ხმა, ის ქალიშვილი  
გამოჩნდა, ვისაც ველოდებოდი, და ახლა მე ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ.  
გულლასაწვევტი იქნებოდა, ჯარისკაცს პაემანი ჰქონდეს დანიშნული და  
ქალიშვილმა მოაწყუილოს. ჩვენ ხომ თვეში ორ-სამჯერ შეგვიძლია ქა-  
ლაქში გამოსვლა რამდენიმე საათს, ისიც, თუ დავიმსახურეთ.

— გურამ, გეთაყვა, უნდა მაპატიო, დამავიანდა... ვიცოდი, დამელო-  
დებოდი. ხომ გჯეროდა, რომ მოვიდოდი?.. იცი, დღეს რა საინტერესო  
ადამიანთან გვექონდა შეხვედრა?.. გული ხომ გიგრძნობდა, რომ მოვიდოდი?  
— ღამაზი, საშუალოზე მაღალი, ქერათმიანი ქალიშვილია. ცალ ხელში  
მინიატურული, ხმელი მუხის ფოთოლი უჭირავს, ოქროსფერი, ზუსტად იმ  
ფოთლისფერი პლაშჩი აცვია, ძალიან უხდება.

— მეც ახლა მოვედი.

— შენაც დაავიანებ?

— აიი წუთი, — ვსტუი და იმ პატარა ჩემოდანს, რომელსაც „დიპლო-  
მატს“ ეძახიან, ვართმევ. მძიმეა. ალბათ, წიგნებითაა სავსე. იგი უნივერ-  
სიტეტის სტუდენტია. წელს მოეწყო, სულ შემთხვევით გავიცანი, თეა-  
ტრში. შემდეგ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს და იგი ყოველთვის  
დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე.

— სად წავიდეთ? — მეკითხება, თუმცა ვგრძნობ, მან უკეთ იცის,  
სად უნდა წავიდეთ.

— კინოში. — მაინც ვამბობ.

— არა.

— აბა, უბრალოდ, გავისეირნოთ.

— შემოდგომაა. რა სჯობს ახლა სეირნობას! თანაც, ერთი ადგილი  
მაინტერესებს, ძალიან მაინტერესებს და წავიდეთ... შენთვისაც იქნება  
საინტერესო. — თქვა და ცალი ხელი მკლავში ჩამჭიდა.

პარკის ცენტრალური გასასვლელისაკენ მივდივართ.

— რა უნდა ვნახო? — ცნობისმოყვარეობით ვეკითხები, მე ხომ დე-  
დაქალაქი ძალიან ცუდად ვიცი და აქაური ყველაფერი მაინტერესებს. რაც  
ვნახე, უმეტესად ამ ქალიშვილს ვუმაღლი. თუმცა, რა ვნახე... ეს ქალაქი  
კი იმოდენაა! კრემლის ვარსკვლავებს კი ყოველდღიურად ვხედავ. მიხარია,  
რომ სამსახურს გავდივარ კრემლის გვერდით, ჩვენი დიადი, უკიდევანო,  
უძლეველი სამშობლოს ცენტრში! აქ ყოველი შენობა, მიწის ყოველი  
მტკაველი ისტორიაა, ლეგენდა!

— ახლა არ გეტყვი, მივალთ და ვნახავთ, ერთმანეთს გავუზიარებთ

შთაბეჭდილებას... აქედან ის ქუჩა შორს არ არის. — თქვა და თავი გადაქ-  
ნია, — სამართლიანად გვსაყვედურობენ, რომ მოსკოველებმაც კარგად უნარ  
ვიციტ მოსკოვი... არ ვიციტ, არა! ვინ დაითვლის, პუშკინის მთედნიდან  
გორკის ქუჩას რამდენჯერ ჩავყოლივარ ფეხით, ის კი არ შემიინიშნავს!

ალბათ, რაღაც ძალზე საინტერესო იქნება. — გავიფიქრე, — ამასწი-  
ნათაც ასე მოიქცა. „იცი, რა უნდა გაჩვენო?“ — მეკითხება და არ ამბობს,  
მხოლოდ იღიმება. „მივალთ და ვნახავთ“. მეც მივყვები. მთელი საათი  
მივდიოდით. გზადაგზა მაცნობდა ღირსშესანიშნავ ადგილებს. მერე ზოო-  
პარკში შემიყვანა და თეთრი პოლარული დათვი მაჩვენა. არ გაგეცანება?  
თურმე, ახლახან მოეყვანათ... შემდეგ, კრასნაია პრესნაიას თითქმის მთელი  
რაიონი ფეხით შემომატარა. ვიყავით მაღაია და ლოლშაია გრუზინსკაიას  
ქუჩებზეც. ვნახეთ რუსთაველის ძეგლიც...

ჰო, უმთავრესად ამ გოგონას მეშვეობით ვეცნობი ამოდენა ქალაქს,  
აქაურ სამყაროს. იგია ჩემი ექსკურსიამძღოლი. ალბათ, ხელისგულივით  
იცის მთელი მოსკოვი, მისი ისტორია. ძალიან ცნობისმოყვარე, დიდი  
კულტურისა და ღია გულის, წიგნების უზომო მოყვარული გოგონაა.

გავედით მეტრო „კროპოტკინსკაიაზე“ და ტროლეიბუსით პუშკინის  
მოედანთან ჩამოვედით.

მერე მარჯვენა მხარით გორკის ქუჩას ჩავყევით.

— ეს მოსკოვის ცენტრალური ქუჩაა, — ამბობს იგი, — ბელორუსიის  
ვოვზლის შემდეგ ამ ქუჩას ლენინგრადის პროსპექტი აგრძელებს, შემ-  
დეგ ლენინგრადის გზატკეცილი, ომის დროს იქ, სადაც ახლა ტანკის მო-  
ნუმენტი დგას, გერმანელები მოვიდნენ. ამოდენა არ იყო მაშინ მოსკოვი.  
გუდერიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანელა ჯარისკაცები უბინო-  
ლოდაც კარგად ხედავდნენ კრემლს...

საინტერესო ამბების მოყოლა იცის და მეც დიდი ინტერესით ვუსმენ.

აი, მოსკოვის საბჭოს მიუუახლოვდით. ძველი არქიტექტურული შე-  
ნობის თავზე წითელი დროშა ფრიალებს.

საბჭოს რომ გავცდით, მოულოდნელად შემაჩერა:

— შეხედე, აქედან იწყება! — წამოიძახა და ყავისფერ-მოშაო კრანი-  
ტის ქვებზე მიმითითა, — იცი, ეს ქვები საიდან არის ჩამოტანილი?

მე, ცხადია ვდუმდი.

— ქვები გერმანიიდან არის ჩამოტანილი.

— გერმანიიდან?

— ჰო. აბა, დაუკვირდი, შეხედე, ერთ მწკრივად რამდენი ვარსკვლავი  
ჰკიდია, ხედავ? სამწუხაროდ, ამ ქვებისა დღემდე ნეც არაფერი ვიცოდი...  
ფაშისტები ხომ მოსკოვში 7 ნოემბრისათვის პარადის ჩატარებას ფიქრო-  
ბდნენ. ქვებიც ამ მიზნისათვის ჩამოუტანიათ. მაგრამ ისინი მწარედ მო-  
ტყუვდნენ, სწორედ აქ, ჩვენი დიადი სამშობლოს გულთან, იწვნია პირვე-

ლი მძლავრი დარტყმა ჰიტლერულმა არმიამ. მტერი მოსკოვიდან უკუიქცა, გრანიტის ქვებით კი ეს ქუჩა მოაპირკეთეს, შემდეგ ტყვეებიც გაატარეს ამ ქუჩაზე.

უამრავი წიგნი მქონდა წაკითხული დიდ სამამულო ომზე. ბევრი მსმენოდა იმ ლეგენდარულ პარადზე... ახლა კი დიდი სიამაყით ვუსტკერდი ხუთქმიანი ვარსკვლავებით დამშვენებულ გრანიტის ქვებს...

— დღეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვედრა გვქონდა გენერალ-პოლკოვნიკ პავლე არტიომოვთან და პირველად იქ გავიგე ამ ქვების ისტორია. რა შთამბეჭდავ ამბებს ჰყვებოდა, რა საინტერესო იყო მისი მოსმენა! იგი ხომ მაშინ მოსკოვის სამხედრო ოლქისა და დედაქალაქის თავდაცვის ზონის მეთაური იყო და, რა თქმა უნდა, წითელ მოედანზეც იმ ლეგენდარულ პარადს თვითონ ხელმძღვანელობდა...

1941 წლის 7 ნოემბრის პარადი!

გული ცემას უმატებს.

მინდა დიდხანს, დიდხანს ვიდგე აქ, მაგრამ ქალიშვილს ნელი ნაბიჯით მივყავარ.

ვუახლოვდებით ცენტრალური ტელეგრაფის შენობას.

გზადაგზა თვალს ვერ ვაშორებ ვარსკვლავებიან ქვებს...

გორკის ქუჩაც დამთავრდა და ჩვენ მარჯვნივ გადავუხვიეთ, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკისაკენ.

გასასვლელში ჩავდივართ და უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ვდგებით. ქალიშვილი ოქროსფერ ფოთლებს მარადიული ცეცხლით გაჩირალდნებულ მარმარილოს კვარცხლბეკზე დებს.

— მე აქ ხშირად დავდივარ, — ამბობს იგი, — ვის არ ნახავ, ქორწინების დღეს ახალგაზრდა წყვილი აქ მოდის. ეს წესად დამკვიდრდა მოსკოვში... მოდიან ომში დაღუპულთა დედებიც, ვინც ვერ მიაგნო შვილთა საფლავს... აქ ხომ უცნობი, მაგრამ სამარადისოდ უკვდავყოფილი ყველა ჯარისკაცის საერთო საფლავია, წმინდათაწმინდა საფლავი!

ბაღის გავლით წითელ მოედანზე ვავდივართ.

მივაღექით მავზოლეუმის გრანიტის ტრიბუნას, რომელსაც ოქროს დიდი ასოებით აწერია: „ლენინი“.

საბატო ყარაულში ახალგაზრდა ჯარისკაცები დგანან.

— ჰიტლერის ბრძანება იყო, რაღაც უნდა დაჯდომოდათ, აელოთ დედაქალაქი. არაერთხელ აუწყეს მთელ მსოფლიოს, რომ 7 ნოემბერს თავიანთი ჯარების პარადს მოსკოვში, აი აქ, ამ წითელ მოედანზე მიიღებდნენ... ნოემბრის. იმ მძიმე დღეებშიც, როცა მოსკოვი საალყო მდგომარეობაში იყო, როცა მტერი პარადისათვის ემზადებოდა, მაშინაც აქ ასე უშიშრად იდგნენ პირტიტველა ჯარისკაცები... იცავდნენ სამშობლოს, ლენინს! და დგანან აგერ უკვე სამოცი წელია დღედაღამ. ყოველგვარ ამინდში!

საქვეყნოდ ცნობილი წითელი მოედანი!

დიდი ლენინი!

შეიძლება ლენინის მავზოლეუმის, კრემლის, მოსკოვის დატოვება?

ცხადია, არ შეიძლება!

მოულოდნელად ორი ქალიშვილი მოდის ჩემთან. ორივეს წკრილი თვალები აქვს, სახე — მზისაგან გაშავებული. ორივე ყვავილების დიდ თაივულს მაწვდის.

— აიღეთ... ჩვენ ვიეტნამიდან ვართ.

— ავიღო? — სიტყვას ვერ ვამბობ, თვალებით ვეკითხები ქალიშვილს.

— აიღე, — მეუბნება იგი, — ეს ყვავილები პირადად შენ არ გეკუთვნის... ეს ყვავილები ყველა საბჭოთა ჯარისკაცს ეკუთვნის!

წითელი მოედანი გავიარეთ და ოსიპენკოს ქუჩაზე ჩავვდივით.

ნაწილში წასვლის დრო მოახლოვდა.

— კიდევ როდის შევხვდებით? — ვეკითხები გოგონას.

— დამირეკე, მხოლოდ ერთი დღით ადრე... მე ყოველთვის მზად ვარ.

მთავარია, შენ მოახერხო...

ნაწილში უზომო შთაბეჭდრლებებით გულსავსე დავბრუნდი.

უღრუბლო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა.

მეც შენი ერთი ჯარისკაცი ვარ, ჩემო სამშობლოვ, შენა ერთი ვარსკვლავი!..



# კ ე თ ი ლ ი ბ უ ლ ი

## წიგნიდან „ჭრელი ხანდუკი“

გრძელი ეშელონი ჩამოვიდა როსტოვიდან, დაჭრილები და ოფიცერთა ევაკუირებული ოჯახები ჩამოიყვანა.

დაჭრილები ძლივს დაიტია რაიონის ევაკუჰოსპიტალმა.

ევაკუირებული ოჯახების ნაწილი სოფლებში გაანაწილეს.

ლადო ჩაკერაშვილმა ზოია მიხაილოვა, მისი პატარა გოგონა ვეტა და დედამთილი ეპრაქსია წაიყვანა.

ვიწროდ ცხოვრობდნენ ლადო და მისი სტუმრები, მაგრამ ამ ოქიანობის ყამს რა დროს სივიწროვეზე ფიქრი იყო.

ნინამ ზოია, დედამთილი და ბავშვები დიდ ოთახში მოათავსა, პატარაში კი თვითონ დარჩა.

მასპინძლები ყოველნაირად ცდილობდნენ ზოიასა და მისი ოჯახის წევრებისათვის ხელი შეეწყოთ და ამით მაინც შეემსუბუქებინათ მძიმე სულიერი განცდები.

ბებია ეპრაქსია პატარა ვეტას კულულებზე უსვამდა დამჭკნარ ხელებს და თან ერთადერთ შვილზე, კადრის ოფიცერ ნიკოდიმზე ფაქრობდა. „ვინ იცის, სად არის ეხლა ნიკოდიმი? ანკი არის სადმე?“ — ხშირად ებადებოდა ასეთი კითხვა სიბერეგამწარებულ, გზააბნეულ, უსახლკაროდ დარჩენილ მოხუცს.

ეპრაქსიამ თავისი თვალთ ნახა, როგორ აქცია ნაცარტუტად მტრის საარტილერიო ზალპმა მიხაილოვების პატარა სახლი. იბღლად, ცოცხლები გადარჩნენ. მერე მანქანით წაიყვანეს როსტოვში, იქ ეშელონში ჩასხეს, ვაგონში აუარებელი ხალხი იყო — ადამიანის სახე არავის ჰქონდა. გრძელი, მომქანცველი გზის შემდეგ, ორშაბათ დილით, ჩამოვიდნენ დანიშნულ ადგილზე.

ეპრაქსია ახლა კახეთის სუფთა ჰაერს სუნთქავს ჩაკერაშვილის აივანზე, დაღლილი თვალთ გაჭყურებს ალაზნის ველს, რომელიც თითქოს დონის სანაპიროსაც აგონებს. ამიტომ ასე მშობლიურად ეჩვენება ეს განიერი ველი. ავიწყდება კიდევ, რომ მისთვის უცხო მხარეშია. ფიქრების ბურუსში გახვეულ ეპრაქსიას ალაზანს გაღმა რომ მდინარე სტორი მოჩანს, თავისი სოფლის — იპეტის გვერდით ჩამომავალი წყალი ჰგონია.

ამ წყლის სანაპიროს მწვანე მინდვრები კი სათიბეები, სადაც ნიკოდიმი პატარაობისას ჯოხის ცხენზე გადამჯდარი დაჭენაობდა.

ამხნევს ეპრაქსიას ძლიერ სულიერ დამაბულობას ნინა და უნდა, რომ გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდან.

— დეიდა, აი, ლაღომ მოგართვათ, — და აწვდის ბაღში ახლად მოკრეფილ გარგარს.

ეპრაქსია ართმევს კალათს, მადლობასაც უხდის და ვეტას უღებს ზელში გარგარის ყვითელ ნაყოფს.

— დეიდა, თქვენც მიირთვით, ნახეთ, რა გემრიელია...

— ჩემთვის გემრიელი აღარაფერია. — ისე ჩუმად ამბობს მოხუცი ამ სიტყვებს, რომ ეტყობა, არ უნდა გააგონოს მოაჯირთან მჯდომ რძალს.

— თქვენც გასინჯეთ ზოია. მერე, ცოტა გავიაროთ, მინდა გაჩვენოთ კოლმეურნეობა, ჩვენი ბაღი.

— გმადლობთ, — უპასუხებს ზოია.

— საღამოზე ლაღო ახალ გაზეთს მოიტანს, ამბობენ, კარგი ამბები სწერიან, ჩვენი ჯარები წინ მიიწევენო.

ეპრაქსიას სისხლი აწვება სახეზე, კოპები მრისხანებით ენასკვება შუბლზე. ზოიას კი ლოყებზე ყვითელი ფერი უვლის. სამჯერ გადავიდა ჩვენი იუპიტი ხელიდან ხელში, ეხლა სულ მინგრეულ-მონგრეული, დამწვარი და გაოხრებული, ვის ხელშია, ვინ იცის...

— ლაღომ თქვა, სამხედრო საბჭოს წევრმა ძალიან საიმედო ამბავი გვითხრაო, — არ ეშვება ნინა.

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას.

ზოია ლაპარაკში არ ერევა, ნაძალადევად ატოკებს პირს და უმაღოდ კბეჩს გარგარს.

პატარა ვეტა ცქმუტავს, ხან დედას მივარდება, ხან კი ბებიას და ეკითხება:

— მამა, როდის მოვა?

დედა და ბებია პასუხს უგვიანებენ. ნინა შუბლზე ჰკოცნის პატარას და ეუბნება:

— მალე მოვა, მალე.

გახარებული ვეტა აივანზე მისდევს ჭრელ პეპელას, რომელიც ხან მალლა აფრინდება და ხან ძირს დაეშვება, ბავშვიც ხან მალლა შეხტება და ხან თითქმის იატაკზე ეცემა.

მიდის დღეები.

ათასნაირი ამბები მოაქვთ ლაღოს და ნინას სოფლიდან. სჯერა თუ არა ეპრაქსიას ამ საიმედო ამბებისა, ძნელია სათქმელად. შუბლი არ ეხსნება. ეპრაქსიამ შვილი დაკარგა, ზოიამ — ქმარი, ვეტამ — მამა. ხად შეხვდებიან, როგორ გაიგებენ ისინი ერთმანეთის ამბავს? სანამ ომი არ

დამთავრდება, ტყუილია, ისინი ერთმანეთისას ვერაფერს გაიგებენ. იქნებ, ზოია სულაც დაქვრივდეს, ვეტა კი ობოლი დარჩეს...

ზოია ფეხმძიმედაა. ასეთი სულიერი დეღვა, ამდენი ხნის შემქმნელი, მძიმე მგზავრობა მანქანითა და მატარებლით! ვინ იცის, რა მოხდება, რითი დამთავრდება ყველაფერი ეს?! მხოლოდ რძლის გასამხნეველად გახსნის ზოლმე შიგადაშიგ შუბლს — და თითოთოროლა ტკბილ სიტყვასაც გამოურევს.

— ზოიასა და შენ, — ეუბნება ნინას მოხუცი, — მგონი ერთდროულად მოგიწევთ მოლოცინება...

ზოიას თითქოს შერცხვა კიდევ, რომ ეს სიტყვები აივანზე ახლად შემოსულმა ლადომაც გაიგონა. ქალმა თავი დახარა და უნებურად ტუჩზე იკბინა.

— აი, რა მოგიყვანე. — თქვა ლადომ და ნარმის პარკიდან ჭრელი კურდღელი გამოაჩინა. კურდღელი შეშინდა, გრძელი ყურები გადაიწყო, მსხვილი შუშისებური თვალები დააბრიალა და ლადოს მიწოდებულ სტაფილოს დაუწყო ჭამა.

ვეტა უფრო გახალისდა, ხელი გადაუსვა კურდღელს და გაბრწყინებული თვალებით შეაცქერდა ძია ლადოს.

— რა უნდა უთხრა შვილო ძიას? — ეკითხება ზოია.

— მადლობა. — ჩაიღულუნა ვეტამ.

— ჰო, მადლობა. — უდასტურებს ბებია.

— აი, კიდევ რა მოგიტანე, — ამბობს ლადო და მუჭით კანფეტს გულის ჯიბეში უყრის პატარას.

ვეტას სიხარულის აღმურმა აუარა ლოყაზე და კანფეტი მაშინვე პირში ჩაიღო.

— დეიდა ეპრაქსია, ისეთი სიზმარი ვნახე, ყველაფერი კარგად იქნება, ომი დამთავრდება, გამარჯვებული ნიკოდიმი აქ ჩამოვა და ზოია ორი შვილის დედა დახვდება. აი ნახეთ, თუ ასე არ იქნება.

ზოია უფრო ირცხვენს.

ნინა სუფრას შლის და ეპატიჟება. ეპრაქსია და ზოია უარობენ:

— როგორ შეიძლება, სულ თქვენ ხარჯზე ხომ არ უნდა ვიყოთ, ზოიამ გუშინ წიგნაკზე ჩვენი ულუფა მიიღო... დიდი მადლობა. ამდენი, როგორ შეიძლება, დიდი მადლობა.

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, — ლაპარაკში ებმება ნინა, — დეიდა ეპრაქსია, ეგ არ მითხრათ, რაც გვაქვს, ჩვენთვისაცაა და თქვენთვისაც, ეგ აღარ მითხრათ! ერთ ოჯახში ვართ, ერთი ოჯახის წევრები და თქვენ... არ მაწყენინოთ.

ლადომ და ნინამ გული ისე გადაუშალეს რძალ-დედამთილს, რომ გად-

მოხიზნულმა ებრაქსიამ და ზოიამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ თავი  
ჩაკერაშვილების ოჯახის ნამდვილ წევრებად ჩათვალეს.

ღრომ თავისი ქნა, ებრაქსიამ თავის ვეტატი რამოდენიმეჯერ ჩაუკ-  
რა სოფლის პატარა საავადმყოფოს, აფთიაქს, ბავშვთა ბაგაც ნახა, ურთი-  
ორჯერ ნინასაც გაჰყვა კოლმეურნეობის საბძელში, სადაც ქალები აბრე-  
შუმის ჭიას ცახს უდგამდნენ, ვენახებშიც იყო „ცის გახსნის“ სანახავად.

ყველა შრომობდა, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. დონელ  
ებრაქსიას მოეწონა აქაური კოლმეურნეობა, ზოიაც წაიყვანა დედამ-  
თილმა დასაქმებული ქალებისა და მოზარდების სანახავად.

ნინამ ებრაქსიას დეიდა პელო ვააცნო და მისი მწარე ხვედრის შესა-  
ხებაც უამბო, შეახვედრა სხვა გულდაკოდილ დედებსაც, რომელთაც ომმა  
მოურჩენელი ჭრილობები და ტკივილი მიაყენა. მაგრამ ეს ხალხი მაინც  
შრომობდა, მათ ტირილისა და გულხელდაკრეფისათვის არ ეცალა. ამ ხა-  
ლხის ახლო ვაცნობამ ებრაქსია დაარწმუნა, რომ დაობლებული დედა და  
დაქვრივებული ცოლი პირადი ბოღმის ჩასაკლავად კი არ შრომობდა,  
არამედ უფრო იმისთვის, რომ ომში წასულ ბიჭებს პური არ მოაკლდეთ,  
თბილი წინდები ეცვათ, რომ მეომარი ბრძოლის ჟინით აენთოს და კარზე  
მომხდურ მტერს ანახოს რბევა-თარეში.

— შეილო ლადო, მომეწონა შენი კოლმეურნეობა, შენი ხალხი. —  
უთხრა ერთხელ დეიდა ებრაქსიამ თავმჯდომარეს, — კარგი სოფელია,  
ყველაფერი გაქვთ სამყოფი.

— ეს ოხერი ომი რომ არ დაწყებულიყო, მაშინ უფრო კარგად  
ვიქნებოდით, მაგრამ არა უშავს, გული არ უნდა გავიტეხოთ.

— ბიჭო, ლადო! — წამოიძახა ებრაქსიამ, ცოტა შეჩერდა და მერე  
მოუბოდიშა, — მაპატიე, რომ თავმჯდომარეს ასე მოგმართავ, ჩემი შვილის  
ტოლა ხარ, ჩემი ნიკოლომის ტოლა...

— რას ბრძანებთ, დეიდა ებრაქსია, რას ბრძანებთ, სწორედ რომ ბიჭი  
ვარ თქვენთვის, აბა, რა ვარ.

— ჰოდა, ჩემო ლადო, ყველა თავის წილს შრომობს, მეც უნდა ვიმუ-  
შაო, ჩემი წვლილიც უნდა შევიდეს შენს კოლმეურნეობაში.

ლადოს არ უნდოდა ევაკუირებული მოხუცი ქალი ასე უცებ შეეწუ-  
ხებინა და სამუშაოზე გაეყვანა, მით უფრო, რომ რძალი ფეხმძიმედ  
ჰყავდა და ვეტაც პატარა იყო.

— დეიდა ებრაქსია, ეს ჯერ საჭირო არ არის...

— საჭიროა, სწორედ რომ საჭიროა, როგორ შეიძლება ჭამო და არ  
იმუშაო. არ შემიძლია, ხვალღან ნინასთან ერთად წავალ ფოთლის მოსა-  
ტანად, სხვა საქმის გასაკეთებლად.

— ნუ აჩქარდებით, დეიდა, ჯერ ზოიას პატრონობა უნდა, ვეტას კი-  
დეც ყურადღება.

— ზოიამ ოჯახს უნდა მიხედოს, ნინას თავისი საქმე აქვს. სადა სცალია ქალს, უთენია სამუშაოზე გავიდეს და თან ჩვენი სადილი და ვანშამი აკეთოს. ამას ჩვენ არ ვიზამთ, სწორედ ზოია არ იზამს, ვერ გაგვიბედათ და აი, მე ვეუბნებით. ასე იქნება, ასე, ჩემო ლაღო. — ისე მტკიცედ თქვა ეს დეიდა ებრაქსიამ, რომ ლაღომ სიტყვის შებრუნება ვეღარ გაბედა.

ებრაქსია იმ დღიდან საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად ჩაება. ნიკოდიმზე ფიქრი, რა თქმა უნდა, გულიდან არ შორდებოდა, მაგრამ რაღაც თითქოს მსუბუქი იყო ეს ფიქრი, იმედიანი. ნინასთან, პელოსთან და სხვა ქალებთან ტრიალმა ერთგვარად გაუფანტა ომის საშინელებით გამოწვეული მძიმე ტკივილი, რომელიც ხშირად სასოწარკვეთილებამდე კი აგდებდა ამ კერპ კაზაკ ქალს.

ვეტა ხან ბებიას მიჰყავდა თან, ხან კი ზოიასთან სტოვებდა სახლში.

ზოიას მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა. შეტევებმა უკლო, ეს ყველას ახარებდა, განსაკუთრებით კი ნინას. ნინა და ზოია მარტო რომ დარჩებოდნენ, დიასახლისი ხშირად ხუმრობით ეუბნებოდა:

— ასე იცის კახეთმა, ეს თქვენი იპუტი კი არ არის...

ზოია გულიანად უღიმოდა ნინას.

— უფრო სწორად, ასე იცის ნინასა და ლაღოს კეთილმა გულმა...

ნიკოდიმზე ფიქრი არ შორდებოდა ახალგაზრდა მეუღლეს, როგორ დაამსხვრია ომმა მისი ოცნება.

...შუალამე კარგა ხანია გადასულა, ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ ჩანს. ბნელა. ზოიას მშობიარობისწინა ტკივილები დაეწყო, ბორგავს, მაგრამ მაინც ითმენს, არ უნდა ებრაქსია გააღვიძოს, არც დაღლილი მასპინძლების შეწუხება უნდა, ესეც არ იყოს, სცხვენია კიდეც უცხო კაცისა.

წრიალებს, კვნესის, ქშინავს, ნეტავი მალე გათენდებოდეს, დღე მაინც სხვაა. სიმწრის ფიქრები უვლის და ხელებს აქეთ-იქით იქნევს. ხელი კედელზე მოხვდა და მეორე ოთახში ნინა გამოადვიდა. კვნესა რომ შემოესმა, ქალი წამოხტა, გამოაღო კარები და თავს დაადგა ზოიას.

— ვკვდები, ნინა, მიშველე, მეტი აღარ შემიძლია! — კვნესით აღმოხდა გამწარებულ ქალს.

ყველანი ფეხზე დადგნენ. ლაღომ მაშინვე ურემი გამართა, შიგ ლეიბი ჩააფინეს, ბალიშები დააწვევს, ზოია დააწვინეს და სოფლის პატარა საავადმყოფოში წაიყვანეს.

— ლაღო, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, მაგრამ შეიძლება... — ეკიბს მეტი არაფერი უთქვამს.

ჩაკერაშვილი შეეცადა ტელეფონით ჰოსპიტლის უფროსს დაკავშირებოდა, მაგრამ, რომ არაფერი გამოუვიდა, საავადმყოფოს ძველ მარაბანში შეაბა თავისი ჯორი და რაიონისაკენ მიმავალ მოხრეშილ გზაზე გარეკა...

დილის 9 საათი იყო, როდესაც ლაღო სარაიონო სამშობიაროს მთავარ ექიმთან ერთად კაჭრეთის სოფლის საავადმყოფოს მოადგა. მაგრამ უკვე გვიან იყო. ზოიას ტუჩები გაღურჯებოდა. სიტყვები ძლივს წარმო-  
სთქვა:

— ნიკოდიმი დაარქვით, მამის სახელი...

ერთი კვირის შემდეგ ნინამ მოიმშობიარა, ბიჭი შეეძინა. ზოიას ობოლს ნიკოდიმი დაარქვეს, ხოლო ლაღოს ბავშვს — ზაზა. ნინამ თავისი ძუძუ მისცა ნიკოდიმს.

ზაზა და ნიკოდიმი ერთად გაზარდა ჩაკერაშვილის მეუღლემ. ნინა ობლად დარჩენილ პატარა ბიჭუნას საკუთარ შვილში არ არჩევდა...

გადაიქუხა ომის მრისხანე წლებმა და ნაჭრილობევის მოშუშებას შეუდგა ქვეყანა...

## დანიელ კუჭავა

### დედენეგოსთან ახლოს

ეფიმ როზოვს

დედენეგოსთან ახლოს  
რუსი ძმაკაცი სახლობს,  
არის მაღალი, ქერა,  
უყვარს ლექსების წერა.  
მაძაცი იყო ომში,  
მარტომ არ დასთმო ბორცვი,  
ისე ისროდა ჭურვებს,  
ვერ გაუმკლავდა ოციც.

მუშა კაცი ხარ, ეფიმ,  
სიმღერაც იცი ლალი,  
არყის კორომის ბოლოს

• გაქვს საკუთარი ბაღი.  
იქ თავს იწონებს მარწყვი,  
ლიჭაწითელა ვაშლიც,  
აღუბალს ავედევნეთ  
როგორც პატარა ბავშვი.  
მოწმეა ჩვენი ძმობის  
კობტა რუსული ოდა,  
იქვე ახკარა წყარო  
ჩუხჩუხით ჩამორბოდა.  
დაე, იცოდეს ყველამ,  
შენს ლამაზ ველებს ვეტრფი,  
მე ისევ მოვალ, ეფიმ,  
და ტყვის სიმღერას გეტყვი.



# ომიდან აღარ დაბრუნებულა

ას ღამე ჩვენმა ოჯახმა თეთრად გაათენა. ნაშუალამევს მე და ჩემი უმცროსი და ცალკე ოთახში ძალით გაგვიყვანეს... საბანი წავიხურე და თავი მოვიმძინარე. რვა წლის ბავშვი კარგად ვგრძნობდი უფროსების რაღაც არაჩვეულებრივ დაძაბულობას. ალბათ, ამიტომაც ჩემმა პატარა დამაც არ დაიძინა...

მეორე ოთახში მამა, დედა და ბებია იყვნენ. მამაჩემს კუჭი სტკიოდა, მაგრამ თავისი სურვილით გათენებისთანავე სამხედრო კომისარიატში მიდიოდა ფრონტზე წასასვლელად.

— შვილო, ხომ ხედავ ავად ხარ. გამოკეთდები და როცა გამოგიძახებენ, მაშინ წადი. ავადმყოფი ვის რად უნდისარ? — დარღვია სიჩუმე ბებიაშ.

— არ შეიძლება... ჩვენს მეზობლებთან ერთად წავალ. ასე სჯობია. ქვეყანა დაცვას ითხოვს. ჩემი ამხანაგი მასწავლებლებიც ახლა მიდიან და მეც უნდა წავიდე. ასეა საჭირო... — მტკიცედ განაცხადა მამამ, სოლიანი წყალი მოსვა და წამოდგა. ჩვენთან შემოვიდა, საბანში შეეყუყულებს თავზე ხელი გადაგვისვა და აივანზე გავიდა. ჩვენც გავყვევით. იგი ვრცელ ეზოში თვალს მიეფარა.

აღმოსავლეთი უკვე შეფერადებულიყო. ნისლში და ბურუსში მკრთალად გამოჩნდა ბანშაროს მთების კონტურები. შემდეგ კი ზაფხულის მზის სხივებმაც აქა-იქ გამოაჭყიტა...

ასე გათენდა 1941 წლის 3 ივლისის მოღრუბლული და ნისლიანი დღი. ეზოში თიკნები კვიკინებდნენ, ხბო კუნტრუშებდა, ქათმები კაკანებდნენ, მაგრამ, ბებიაჩემს მათთვის აღარ ეცალა.

როგორც იქნა, თოვლიანი საყორნიიდან მზემ ცივად გადმოიხედა, მალე ისევ მიიმალა.

აღანქრებული ბახვისწყალი დაჭრილ ნადირივით მიღრიალებდა ბუჩქებით დაფარულ რიყიან ჭალაში და გორაკებზე გაშენებულ ჩვენს პატარა სოფელს, მშვიდობაურს, თითქოს წალეკვით ემუქრებოდა. მაგრამ აღარავინ უხშმენდა მის ღრიალს.

უკვე ცამეტი დღე ხყო, რაც აღმოსავლეთით, უკრაინის და ბელორუსიის ვრცელ ტერიტორიაზე, საბჭოთა არმიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაემართა ჭაშისტებთან.

...მშვიდობაურის ცენტრში, კოლმეურნეობის კანტორასთან, თავს იყრიდა მთელი სოფელი. თვალცრემლიანი მიაცილებდნენ სამშობლოს დასაცავად მიმავალ მამებს, ქმრებს, შვილებს, ძმებს, ნათესავებსა და მეზობლებს. გაისმოდა წამსვლელთა იმედით ხავსე თუ გაბრაზებული ხმა და აქა-იქ სიმღერაც კი.

ფერდობზე შეფენილ ეზოში, დაბალ ფიცრულ ოდა-სახლის ირგვლივ, ტოტებგაშლილი წაბლების, ცაში აზიდულ ნაძვებისა და ღამაზად ჩაწკრივებულ ხურმების ხეივანში გაუჩინარებულ მამაჩემს დაეძებდა კესა ბებია. მას მკაცრად მოეკუმა პირი. უცრემლო და უძილობით გატეხილ ჭროლა თვალთა სიღრმეში უციმციმებდა იმედის ნაპერწყალი.

იქვე, აივანზე, დედაჩემი იდგა. ვერ იოკებდა სულიერ მღელვარებას და ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. თავზე ხელს უსვამდა ასევე აცრემლებულ ჩემს პატარა დას.

ბებიაჩემმა კარგა ხანს ეძება მამაჩემი, ბოლოს მიაგნო განაპირებულს, ქალები-  
ვით გადაშლილ ახლად მსხმოიარე მანდარინებში ჩაფიქრებული იჭდა ნაძვის გადანა-  
ქერზე, თავი შეეხვია. შავვკრემანი სახე. შავი, მსხვილი თვალები და ლოყები წამო-  
წითლებოდა. ეტყობოდა, სიცხე ჰქონდა. უსიტყვოდ ემშვიდობებოდა თავისი სიკეთით  
დარგულ მანდარინის ბაღს. ჩაის პლანტაციებით გადახვეწებულ სოფელს, აქა-იქ  
შემორჩენილი ბუჩქნარებითა და გვიმნარით მოფენილ გორაკებს... ეთხოვებოდა ჩვენს  
კარ-მიდამოს.

შორიდან შენიშნა ბებია მამაჩემი, მაგრამ ახლოს არ მისულა. არ დაუშალა ფი-  
ქრი და ოცნება.

სამიოდე წლის ჩემი და დედაჩემს გაექცა და მამასთან მიიბრინა.

— მამიკო, მართლა მიღნხარ ომში? შორს მიღნხარ? მეც წამიყვანე, შენთან მი-  
და. — კალთებზე ჩამოეკიდა იგი.

საშუალოზე მაღალი ტანის სანდომიანი კაცი ფიქრებიდან გამოერკვა და წამოდგა,  
ჩემი და ჰაერში შეაბურთავა და ჩაჰკოცნა. შემდეგ თვალი გაუხსწორა ბებიაჩემის უც-  
რემლო თვალებს და გაუღიმა. აივანზე გადმომდგარ დედაჩემს მიუახლოვდა და მეც  
თავზე სელი გადამისვა, ორთავეს მაგრად მოგვეხვია, თავსახურავი დობის სარზე მია-  
კიდა, ზურგჩანთას ხელი წამოავლო და ჭიშკრისკენ დაიძრა...

— ჩემზე არ იღარდოთ... მალე დავბრუნდები... ოჯახს გაუფრთხილდით... — შო-  
რიდან იმედიანად დავგებარა, ერთხელ კიდევ შეათვალეირა გურიის თოვლიანი მთები,  
კვლავ მიუაღერსა მანდარინის ბაღს, ჭიშკარი გაიხურა და უკან მოუხედავად, მისთვის  
ჩვეული, მოკლე, ჩქარი ნაბიჯით სოფლის ცენტრისკენ გასწია.

ასე დავგშორდა მამაჩემი — ია ჩხაიძე. ახალგაზრდა პროზაიკოსი, ქართული  
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. იგი ომიდან აღარ დაბრუნებულა.

ეზოში აცრემლებულნი დავრჩით დედაჩემი — სოფელ მშვიდობაურის დაწყე-  
ბითი სკოლის მასწავლებელი ნინო, ბებიაჩემი — კესა, ჩემი და ნანული და მე.

ასე ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში მამაჩემის გამომშვიდობება ჩვენს პატარა ოჯა-  
ხთან, მისი უკანასკნელი მშობლიური ალერსი. რვა წლის ბავშვს ცოტა რამ მახსოვს  
მამაჩემზე. აი, ერთი მათგანი:

ომის დაწყების წინ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ 1941 წლის 1 მაისის ნომერში  
დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი „პირველი მაისი“. იგი დედაჩემმა გამაგზავნინა რედაქ-  
ციაში, მამამ კი არაფერი იცოდა ამის თაობაზე, როცა „ნორჩი ლენინელის“ ეს ნომერი  
მიეღო მამაჩემს ძიძითის საშალო სკოლაში, (იქ ასწავლიდა), გახარებულს მიეტრე-  
ბინა გაკვეთილები, სასწრაფოდ მშვიდობაურში გადმოვიდა, ტკბილეულობა და საჩუქ-  
რები მომიტანა. შავსა და მსხვილ თვალებში სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა,  
„შონორარით რას იყიდო?“ — იცინოდა.

ლექსის თაობაზე მალე გულთბილი წერილი მივიღე „ნორჩი ლენინელის“ რე-  
დაქციის თანამშრომლის შ. ასათიანისაგან.

სხვათა შორის, თავის ფრონტულ ზურგჩანთაში მამაჩემს ამ გაზეთის ერთი ცალიც  
ჩაედო და ფრონტიდან მწერდა: „შენს ლექსს ხშირად ვკითხულობთ, შენ რომ წერი-  
ლი მოგწერა „ნორჩი ლენინელიდან“ ასათიანმა, ისიც ჩემს გვერდით იბრძვის და შა-  
ლიან გაქებს, აბა შენ იცი, როგორ კარგ ლექსებს დასწერო“. მოსაგონარი სხვაც შემო-  
მჩნია...

\* \* \*

რამდენიმე სიტყვა მამაჩემის ბიოგრაფიიდან.  
ია (იაშა, იაკობ) იოსების ძი ჩხაიძე დაიბადა 1907 წლის 19 აგვისტოს მახარაძის

რაიონის სოფელ მშვიდობაურში. ნახლში მას იაშას ეძახდნენ, საბუთებში იაკობია გატარებული. ია მისი ლიტერატურული ფსევდონომია.

დაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ბახვის შვიდწლიან და მახარაძის (ოზურგეთის) ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. იგი ნიჭიერი მოსწავლე ყოფილა და თანდათანვე კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით კი ჰუმანიტარულ საგნებს. ტექნიკუმში უშვებდა კადრებს პედაგოგიური განათლებით. მამაჩემის თანაკურსელი იყო დედაჩემიც.

ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამაჩემი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა 1930 წელს. ამ პერიოდში აქვეყნებს თავის პირველ პატარა მოთხრობებს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ახალგაზრდა მწერალთა წრის „კომკავშირული მწერლობის“ ლიტერატურულ გვერდებზე, მაშინ აქ ბეჭდვდნენ თავიანთ პირველ ნაწარმოებებს ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიანიშვილი, ბორის ჩხეიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, გიორგი შატბერაშვილი, ალიო ადამია, გიორგი კაჭახიძე, სიმონ წვერავა, ლავრენტი ჭიჭინაძე და სხვები.

„იაშა ჩხაიძის პირველი მოთხრობები: „გლეხკორი ზორა“, „კინოში“ და სხვები ასახავდნენ იმ დიდ ძვრებს, რაც ხდებოდა მშობლიურ წლებში გურიაში. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის ბრძოლა იყო მაშინდელი ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა მთავარი თემა. იაკობიც თავის პატარა მოთხრობებსა და კორესპონდენციებში გულთბილად ხატავდა ამ ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს, კიცხავდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მუქთამჭამელებს და წამკვლეებს“. — იგონებს მისი მეგობარი მწერალი ნიკა აგიაშვილი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იაშა ჩხაიძე 1930 წლის სექტემბრიდან მასწავლებლობდა მშობლიურ მშვიდობაურის დაწყებით სკოლაში. იგი დროებით ჩამოშორდა ლიტერატურულ საქმიანობას. სამაგიეროდ ტრიალებდა ხალხში და მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის იმ უდიდეს გარდატეხებში, რომელიც მოყვა კოლექტივიზაციის პერიოდს. იგი მასწავლებლობასთან ერთად იყო ახალშექმნილი მშვიდობაურ-ოქროსქედის კოლმეურნეობის მდივანი და აქვე 1930 წლის იანვრიდან ხელმძღვანელობდა კომკავშირულ ორგანიზაციას.

1930 წლის 28 დეკემბერს დაქორწინდა ნინო მეღუაზე, მასთან ერთად მასწავლებლობდა მშვიდობაურის დაწყებით სკოლაში, შემდეგ სამუშაოდ გადავიდა მაღალი ეწრის ჩაის ფაბრიკაში ეკონომისტად.

1934 წლის იანვრიდან აჭარაშია, ბათუმის რაიონის განათლების განყოფილებაში ინსტრუქტორად მუშაობს, აქვე გაიარა მოსამზადებელი კურსები და მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იგი ხელმეორედ ამთავრებს უნივერსიტეტს.

1939 წლის სექტემბერში განათლების სახალხო კომისარიატს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთეკურსელი იაშა ჩხაიძე გაუგზავნია პედაგოგად ჩონატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლაში. ამავე წელს გადაიყვანეს საქაშიასერის, ხოლო 1940 წლის სექტემბრიდან — მახარაძის რაიონის ძიმითის საშუალო სკოლაში. ამავე წელს ჩააბარა მან უნივერსიტეტში დარჩენილი საგნებიც. 1941 წლის ივნისში სახელმწიფო გამოცდები პქონდა. 21 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყების დღეს ჩააბარა უკანასკნელი გამოცდა, სასწრაფოდ დაბრუნდა მშვიდობაურში და როგორც შემოდ ვთქვით, მ ივლისს წავიდა მოქმედ არმიასი.



კარგი მასწავლებელი და განათლებული ადამიანი სოფლად იმ პერიოდში არც ისე ბევრი იყო და როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, იაკობ ჩხაიძეს დიდი მორიდებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ძველი თაობის მშვიდობაურლებს ახლაც კარგად ახსოვთ, მათი კოლმეურნეობის ერთ-ერთი შემქმნელის და მდივნის, კრძევენიური კომიტეტის ხელმძღვანელის და დაწყებითი სკოლის მასწავლებლის იაკობ ჩხაიძის სახელი. ლაპარაკობდა ოდნავ ჩქარი ტონით, ხმაბლლა და გარკვევით, ხვედროვანი ხმით, დალაგებულად და საქმიანად, სიტყვა არასდროს შეეშლებოდაო. — გაიხსენებენ ხოლმე.

მამაჩემი ერთ-ერთი პირველი გაერთიანდა კოლმეურნეობაში, სადაც შეიტანა ჩვენი ეზოს საკარმიდამო ჩაის ნაკვეთი. მას სხვა კომპავეზირებლამაც აუბეს მხარი. მამის პირად არქივში შემონახულია მაშინდელ მჩქეფარე ცხოვრების უტყუარი დოკუმენტები: ხერთო კრების ოქმები და გადაწყვეტილებები, პირადი წერილები და ჩანაწერები — ისინი მოგვითხრობენ იმ დიდ წინააღმდეგობებზედაც, რაც მოჰყვა კოლმეურნეობის შექმნას ამ პატარა სოფელში.

სოფლად ხანგრძლივად ყოფნამ და სხვადასხვა ადგილას პედაგოგად მუშაობამ იაშა ჩხაიძეს დიდი გამოცდილება შესძინა. დაკვირვებული თვლით დანახული და შესწავლილი ახალი ცხოვრების მრავალფეროვანი მხარეები კარგად გამოიქენა მწერლობის სამსახურში. მისი მოთხრობები, ხშირად იბეჭდებოდა ომისწინანდელ პრესაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისთვის 1936-40 წლები, როცა უფროსად „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მოთხრობები: „ვერდია“ (1936 წ. № 1), „პირველი ცხენოსანი“ (1936, № 3), „გლახუნა“ (1938 წ. № 5), „ცხრა შვილის მამა“ (1939 წ. № 1), „ცაცაჲს ქორწინება“ (1938 წ. № 8) და სხვ.

1938 წელს კონსტანტინე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემულ „ახალგაზრდა მწერალთა კრებულში“ შევიდა მისი მოთხრობა „შეხვედრა“, ხოლო 1940 წელს უფროსად „მნათობის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა მოთხრობა „გოლიათი“, რომელიც დადებითად შეაფასა პრესამ და აღნიშნა ავტორის მზარდი ნიჭი. „ჩვენთაობელ“ პოეტებსა და პროზაიკოსებს, წერდა ნიკა აგიაშვილი, — კარგად ახსოვთ იაშა ჩხაიძე, — ბრიალა, შავთვალბიანი, უღალკოსტუმიანი. ჩასკვნილი და ჩასმანდი სტუდენტი, ასაკით მათი უფროსი ამხანაგი და ახლობელი თანამებრძოლი, გამოცდილი პედაგოგი, დროდადრო პარტიზანულად რომ ჩამოვარდებოდა სოფლიდან და ყოველთვის თანვე ჰქონდა დასაბეჭდად გამზადებული რამდენიმე მოთხრობა. ამ მოთხრობებში აღვილობრივი ყოფის კარგი მცოდნის წელით იყო დახატული ავტორის თანამებრძოვე სოფელი, მისი ტკივილებითა და სიხარულით. სერიოზულად მოსაუბრე, მაგრამ მკვირცხლი და ჩქარი იაკობი აღტაცებით მოუთხრობდა და აცნობდა ამხანაგებს სოფლის, ცხოვრებას, თავის მოსწავლეთა სწავლა-საქმიანობას“.

„ჩვენთაობელი“ ახალგაზრდა მწერლებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ მას და მის შემოქმედებას. პოეტ ლადო ასათიანს თავის უბნის წიგნაკში ჩაუწერია: „სოფელ მშვიდობაურიდან ჩამოვიდა იაშა ჩხაიძე. ჩამოიტანა მოთხრობა „გოლიათი“. იგი ბანველია, ჭერ ხიდისთავში იყო მასწავლებლად, ახლა საქამიასერშია. ძიმითში უპირებენ გადაყვანს. ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლის და კარგ მოთხრობებსაც წერს ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან“.

„სამი წელია ვწელ ტალანს და ვზრდი მომავალ ლიტერატორებსო, — ღიმილით ეუბნებოდა იგი რედაქტორს, — ირაკლი აბაშიძეს, — მალე ჩემსავით და უფრო კარგი მოთხრობებით მოგადგებიან კარზე, მშვენიერი მოწაფეები მყავს, თბილისი არ

მენატრება, — იქ ჩემთანაა ყველაფერი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობაში, ამაყად წარმოთქვა მან“.

მამაჩემი აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო უურნალებში „პიონერსა“ და „ოქტომბრელში“, სადაც დაბეჭდა მოთხრობები: „შაქირა“, „ქურდები“, „მეხი“, „უცხო სტუმრები“, „ფრიცი და დეა“, „პაულ იჩინო“, „კოლოების ბუდე“ და სხვები. უურნალ „დილას“ 1966 წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა მისი გამოუქვეყნებელი საბავშვო მოთხრობა „მენავები“. დარჩა სხვა გამოუქვეყნებელი მოთხრობებიც. გამოცემლობა „ნაკადული“ ამჟამად გამოხაცემად ამზადებს ია ჩხაიძის საბავშვო მოთხრობების კრებულს.

როგორც მისი არქივიდან ჩანს, მამაჩემი დიდხანს მუშაობდა მოთხრობაზე. ყოფილა შემთხვევებიც, რომ რედაქციას მოთხრობა დაუწუნებია და შემდეგ ხელახლა გადაუმუშავებია. აი, რას წერს იგი „ოქტომბრელის“ პასუხისმგებელ მდივანს ანდრო თევზაძეს: „უნდა ვითხრა, ჩემო ანდრო, მოთხრობის დაწუნების გამო მე გული არ გამტეხია. ასე რომ ყოფილიყო, დიდი ხნით ადრე დავანებებდი წერას თავსო“.

მამაჩემის სამწერლო ბიოგრაფია 10-12 წლით შემოიფარგლება. მისი უკანასკნელი მოთხრობა „მონუცები“ დაიბეჭდა მანარაძის რაიონული გაზეთის „ღენინის დროშის“ 1941 წლის 14 მარტის ნომერში. აქვე დაბეჭდა მან ეთნოგრაფიული წერილი „განხლებული ძიბითი“ და 1941 წლის 22 ივნისის ნომერში (სწორედ ომის დაწყებას დღეს) — მანარაძის ლიტერატურულ წრის წევრთა ლექსებზე მიმოხილვითი სტატია. მრავალი კორესპონდენცია თუ წერილი გამოაქვეყნა ჩიხატაურის რაიონულ გაზეთში „ბრძოლის დროშაში“. მეტი აღარ დასცალდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოკლე დროში მან ორჯერ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ეკონომიური და ფილოლოგიური ფაკულტეტები და სხვადასხვა ადგილას მუშაობდა პედაგოგად.

\* \* \*

მამაჩემს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აჭარასთან.

მაშინ ბათუმში ის-ის იყო იქმნებოდა აჭარის მწერალთა ორგანიზაცია და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მწერალი კაცი უპირველესად აჭარის მწერლებს დაუახლოვდა, გახდა აჭარის დიდი ტრფიალი, რაც შემდეგში მის შემოქმედებაში გამოჩნდა.

ცნობილმა მწერალმა პარმენ ლორიამ ერთხელ ჩემთან პირად საუბარში მოიგონა: „ია ჩხაიძე კარგად მახსოვს. როცა ბათუმში ფეხს იდგამდა მწერალთა ორგანიზაცია, ხშირად მოდიოდა ჩვენთან, ესწრებოდა სწავლებას. ნიჭიერი კაცი და კარგი მოლაპარაკე იყო. პრინციპულად იცავდა თავის ნათქვამს. ერთხელ ახალი მოთხრობა „აბრეშუმის საკაბე“ წავგიკითხა. ამხანაგურად შევეკამათე — პერსონაჟს ვარდოფინე რატომ დაარქვი, ვარდო არ სჯობია-მეთქი? არ მიიღო შენიშვნა, — ვარდოფინე უნდა ჰქვიოდესო. ანდა, რა საკამათო იყო პერსონაჟის სახელი! — მალე ეს მოთხრობა თბილისში გამოქვეყნდა უურნალ „ახალგაზრდა მწერალში“ და პერსონაჟის სახელად ვარდოფინე დაუტოვა“.

„აბრეშუმის საკაბე“ იყო მამაჩემის მიერ აჭარის შესახებ დაწერილი პირველი ნაწარმოები. 1934 წელს დაბეჭდილ ამ მოთხრობაში აღწერილია ძველის, დრომოკმული ცხოვრების ბრძოლა ახლთან, პროგრესიულთან. ვარდოფინე — ძველის წარმომადგენელი ვერ იტანს ახალგაზრდების ახლებურ მისწრაფებებს და საბოლოოდ მორალურად მარცხდება. ყოველივე ეს ამ პატარა მოთხრობაში სათანადო მხატვრულ, ლინეზუა აუვანილი. იგი შეტანილია მამაჩემის მოთხრობების კრებულში.

ია ჩხაიძეს ბათუმის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად მუშაობა

საშუალებას აძლევდა მოკლე დროში ახლოს გაცნობოდა აჭარას, დაეწერა კარგი მოთხრობები ამ კუთხეზე, ეჩვენებინა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, ახალი სოციალისტური ცხოვრების შექმნილი პირველი აღამაინების საქმიანობა.

საინტერესოა 1938 წელს კონსტანტინე ლორთქიფანიძის რედაქციით გამოსული „ახალგაზრდა მწერალთა კრებულში“ შეტანილი მოთხრობა „შეხვედრა“. მისი მთავარი პერსონაჟები არიან ფერიდე და მევლული. ორთავე მთიანი აჭარის ერთ-ერთი სოფლიდანაა, ერთად გამოდიან ახალი ცხოვრების ვრცელ ასპარეზზე. ერთი მფრინავი ორდებსოსანი ქალი გახდება, მეორე კი სამხედრო კურსანტი და ამ მაღალი პოზიციებიდან სულ სხვაგვარი თვალთ შეხედავენ ახალ ცხოვრებას, თავიანთ ინტიმურ განცდებსაც.

1938 წელს უურნალ „ოქტომბრელში“ ია ჩხაიძემ გამოაქვეყნა საბავშვო მოთხრობა „შაქირა“. ცინისძირელმა პატარა ბიჭმა შაქირამ შეამჩნია, რომ რკინიგზას ლიანდაგი ღამით მოსულ ღვარცოფს დაეზიანებია. დრო არ ითმენდა, მალე სამგზავრო მატარებელი გამოივლიდა. უკვე ისმოდა ორთქლმავლის სიგნალიც. მამაცი ბიჭი ლიანდაგებში ჩადგა და წითელი ყელსახვევი ააფრიალა, მემანქანემ მის წინ ძლივს მოახერხა მატარებლის გაჩერება; მგზავრები დაღუპვას გადარჩნენ, მოთხრობა კარგადაა შეკრული, მხატვრულადაც დამუშავებულია.

ია ჩხაიძის ბოლო, სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი, მოზრდილი მოთხრობის „ნატუსალას“ მთავარი გმირი აჭარელი ვაჟაკი ოსმან ცინცაძეა. მოქმედების დიდი ნაწილი ხდება კურორტ ბახმაროში. ბახმარო გურიისა და აჭარის გზა-გასაყარზეა და, რა თქმა უნდა, გურული და აჭარული დიალექტების მოშველიებით ავტორს დასჭირდა ორივე კუთხის წარმომადგენელთა ხასიათების გახსნა. ამ მოთხრობაშიც ძველისა და ახლის ბრძოლაში იმარჯვებს ახალი. „ნატუსალაში“ უკვე მომწიფებული მწერლის კალმით ვრცლად არის აღწერილი 30-იანი წლების ცხოვრება. კოლექტივიზაციის გამარჯვებით გამოწვეული დიდი გარდატეხები. ამ მოთხრობის ნაწყვეტი დაიბეჭდა უურნალ „ჭოროხში“ 1967 წელს. მთლიანად კი პირველად გამოქვეყნდა 1972 წელს. „ჭოროხშივე“ დაიბეჭდა ია ჩხაიძის გამოუქვეყნებელი მოთხრობა „ბაკუჩა“, რომელიც აშშ-ვენებს 1984 წელს გამომცემლობა „მერანის“ მიერ გამოცემული მოთხრობების კრებულს


როგორც მამაჩემის პირადი არქივიდან ჩანს, მას 1941 წელს დაუწერია და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში მიუტანია აჭარის ცხოვრებაზე შექმნილი მოთხრობა „დოსტი“. მოთხრობა რედაქციას მოუწონებია, მაგრამ ომის დაწყების გამო არ გამოქვეყნებულა და დაიკარგა. არქივში მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

აქვეა საში სქელი რვეულის ფურცლებზე დაწერილი პიესა „ჩოლოქის ტრაგედია“, რომელიც აჭარის ისტორიულ წარსულს ეხება და სათანადო დამუშავებას საჭიროებს. ნაწილობრივად აჭარას ეხება შავად დაწერილი მოთხრობა „თინა სარაულცი“, რომლის გამოქვეყნება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, თანაც დასახვეწია.

1963 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა მამაჩემის პირველი წიგნი „გოლიათი“. ამ წიგნზე ვრცელი მიმოხილვითი წერილი „გულწრფელი მოთხრობები“ გამოაქვეყნა 1964 წელს უურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მეექვსე ნომერში კრიტიკოსმა შოთა ქურდიემ.

1972 წელს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ დასტამბა ია ჩხაიძის მოთხრობების შედარებით სრული კრებული. მასში ადრე გამოცემულ მოთხრობებს გარდა შევიდა სხვადასხვა დროს დაწერილი გამოქვეყნებული მოთხრობები და ფრონტული წერილები.

როგორც ვხედავთ, მამაჩემი აჭარის დიდი ტრფიალი იყო, აჭარის თემაც მისი შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მასაზრდოებელი წყაროა და ეს სათანადოდ აისახა მის მოთხრობებში.



\* \* \*

როგორც აღვნიშნეთ. 1934 წლის სექტემბრიდან ია ჩხაიძე ხელმეორედ გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და დაიწყო ახლო თანამშრომლობა უურნალ „ჩვენ თაობაში“, საბავშვო უურნალებში „ოქტომბრელსა“ და „პიონერში“.

„ჩვენ თაობაში“ გამოქვეყნებულ შემოდჩამოთვლილ მოთხრობებს გარდა, ამ პერიოდში „პიონერსა“ და „ოქტომბრელში“ მან დაბეჭდა საბავშვო მოთხრობები „ფრიცი და დეა“, „მეხი“, „ჭურღები“, „შაქირა“, „კოლოების ბუდე“, „პაულ იჩინო“ და სხვები. მალე გამომცემლობა „ნაკადული“ გამოსცემს ამ საბავშვო მოთხრობების კრებულს. 1940 წელს „მნათობში“ დაბეჭდა ია ჩხაიძის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „გოლიათი“.

უნივერსიტეტის ხელმეორედ დამთავრების შემდეგ, მამაჩემს შეეძლო თბილისში ღარჩენილიყო, მაგრამ თავისი თხოვნით წავიდა სოფლად. ბუნებრივია, მას ახლო მეგობრობა ჰქონდა მახარაძის და ჩოხატაურის რაიონული გაზეთების „ლენინის დროშას“ და „ბრძოლის დროშის“ რედაქციებთან, ამ გაზეთებში აქვეყნებდა მოთხრობებს, წერილებს, ნარკვევებსა და კორესპონდენციებს. მათში მწერლის მახვილი თვალით იყო დანახული 30-იანი წლების გურიის ცხოვრება, თავის სიხარულითა და ტკივილებით. ზოგიერთ ნომერში ერთდროულად რამდენიმე კორესპონდენციაც არის დაბეჭდილი მის ხელწერით.

1941 წელს „ლენინის დროშაში“ დაბეჭდილი მოთხრობა „მოხუცები“ შეტანილია ია ჩხაიძის მოთხრობების კრებულში. „მოხუცებში“ აღწერილია კოლექტიურ შრომაში ხალხის გაერთიანების, სოციალისტური შეჯიბრების, ახალი წესწყობილების გამარჯვება გურიის სინამდვილეში. როგორც მამაჩემის არქივიდან ჩანს „მოხუცები“, „ბებრების“ სახელწოდებით, უნდა დაბეჭდილიყო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, მაგრამ ომის დაწყებამ შეუშალა ხელი.

ძიებითი საშუალო სკოლის მაშინდელი მოსწავლეები დიდი სიყვარულით იგონებენ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს, უფროს მრჩეველსა და მეგობარს ია ჩხაიძეს.

დიდი სამამულო ომის დაწყების დღეს, 1941 წლის 22 ივნისს, „ლენინის დროშაში“ დასტამბულია ია ჩხაიძის ვრცელი წერილი, რომელშიც განხილულია გაზეთის რედაქციასთან არსებული ლიტერატურული წრის წევრების შემოქმედება.

ია ჩხაიძემ 1942 წლის აპრილში ქერჩში დაწერა ლექსი „მებრძოლის ბარათი“, გადმოუგზავნა „ლენინის დროშის“ რედაქციას და აქვე დაიბეჭდა.

ლექსი შესანიშნავად გადმოგვცემს მებრძოლთა ვაჟკაცურ განწყობილებას. დენტითი გაკვამლულ ყოველ სტრეჩონში ფარაჯაში გახვეული მეომრის შეუდრეკელი გული ძვრს:

ჩემი სალამი მინდვრებო, ჩაით ნაჭარგო ქედებო,  
მებრძოლთ გმირების შვილებო, მებრძოლთ გმირების დედებო!  
გაცნობებთ, თქვენი შვილების ცეცხლისებრ ელავს ხანჯალი,  
პარწის ფაშისტების ბუნავი, გადაბუვული ხანძარით.



თქვენი ძუძუთი ნაწოვი, ცაში არწივნი ფრინავენ,  
 ჩვენი ტანკების ნასრესი, მტრები კვენესიან, გმინავენ.  
 ქერჩის მინდვრებმაც კი ნახენ მტრების ლაჩრული ნახტომი,  
 წინ რომ ვეღარა მოდიან, ქვებში მონახეს სადგომი...  
 მოგესალმები გურიავ, ჩაით ნაქარგო ქედებო,  
 მიიღეთ მებრძოლ შვილისგან სალამი გმირთა დედებო.

\* \* \*

მამაჩემის არმიამი მოხალისედ წასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დედამ საქართველოს მწერალთა კავშირიდან მიიღო პატარა ბარათი. გვაცნობთ სად იმყოფება ია ჩხაიძეო. წერილს ხელს აწერდა ირაკლი აბაშიძე, ამ დროს მამა მოქმედ არმიასი იყო, როგორც რიგითი ოფიცერი. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი ეშელონი მოპყვა დაბომბვაში და მამაჩემი ფეხში დაიჭრა. 40 დღეს იწვა ჰოსპიტალში და თავის ნაწილს ჩამორჩა, გამოჯანმრთელებისთანავე გაგზავნეს ფრონტზე, არმავირში. ჩრდილოეთი კავკასია. კრასნოდარი. როსტოვის ოლქი. ტამანის ნახევარკუნძული და ბოლოს 1942 წლის მაისში, ქერჩი. ასეთია ოცეულის მეთაურის ლეიტენანტ იაკობ ჩხაიძის — მეომარი მწერლის მიერ განვლილი საბრძოლო გზა იგი ქერჩის მისადგომებთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების დროს შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. როგორც სახლში დაბრუნებულმა მისმა ფრონტელმა მეგობრებმა გადმოგვცეს, აქვე გადაუყვანიათ ქართულ დავაშიაში და ქერჩის ქვის სამტეხლოებთან ოჯარგება მისი გზა-კვალი...

ამ ფრონტულ გზაზე იგი არ უვიწყებდა ჩვენს ოჯახს, გვიგზავნიდა დანაზოგ ფულსაც თავისი ფრონტული ხელფასიდან. ცეცხლის ნაზიდან გამოგზავნილ სამკუთხა წერილებში გულთბილად იგონებს ყველას, ხშირად ახსენებს მშობლიურ სოფელ მშვიდობაურს. ძიმიტის სკოლას, მანწავლებლებსა და მოსწავლეებს, თავისი ხელით დარგულ მანდარინებსა და ხურმებს. ერთ-ერთ ბარათში პირადად მე, რვა წლის ბავშვს, შემდეგს მწერს:

„ჩემო ნური, ოჯახის უფროსი შენ ხარ ახლა. აბა შენ ოცო, როგორი კარგი ბიჭი გამოხვალ. შენ ექიმი უნდა გახდე. როგორც ფრონტზე ვხედავ, ექიმობა დიდად საინტერესო და სასახელო პროფესიაა. ვურტყამთ გერმანელებს. შალე ბოლოს მოვუღებთ; შავ ზღვაში გადავყრით და გამარჯვებული დავბრუნდებით. ვიბრძვით, რომ შენ და შენმა ამხანაგებმა კარგად იცხოვროთ. რომ თქვენ აღარ მოგესწროთ ეს საზიზღარი ომი. დედას დაუჯერე. ბებიას და ნანულის ნუ აწყენინებ. ჩემს წიგნებს და ხელნაწერებს გაუფრთხილდი, იკითხე ბევრი. შალე დავბრუნდები“.

აქვე მომყავს ნაწყვეტი 1942 წლის 15 აპრილს დედაჩემისადმი გამოგზავნილი წერილებიდან:

„მე კარგად ვარ, ვიმყოფები ყირიმის ფრონტზე და მედგრად ვურტყამთ პირსისხლიან ფაშისტებს, რომელთა დღეები დათვლილია. ვის შერჩენია ხალხის წამება, ჰიტლერს რომ შერჩეს! შალე იგემებს თავისი ხელით დარგული მცენარის მწარე ნაყოფს. — საშინელ დამარცხებას. ნური გაიზარდოს თავისუფლად, ვფიქრობ მაგას აღარ მოუხდება წყეულ ფაშიზმთან ბრძოლა და ახალი ცხოვრების ბედნიერი მოქალაქე იქნება. მომწერე ყველაფერი, როგორ არის დედა, ნანული და ნათესავები. შემატყობინეთ ისიც კი, როგორ ხარობენ ჩემი მანდარინები, ხომ არ ავნო რამემ? ბავშვებს ნუ მოაშივებ. ქერჩი გავწმინდეთ ფაშისტებისგან. და შალე გამარჯვებული დავბრუნდებით“.

სამწუხაროდ ეს მისი უკანასკნელი წერილი იყო. მწერლის არქივში ვი ფრონტუ

ლი ბარათია შემონახული. მეტი აღარ დასცალდა. 1942 წლის მაისის შუა რიცხვებში ქერჩთან გამართულმა სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა იმსხვერპლა იგი, დაიღუპა ისე, როგორც დაიღუპნენ სხვა და სხვა ფრონტებზე ახალგაზრდა მწერლები სვეტოვან იხიანი, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი, პალექსანდრე სულავა, შალვა იოსელიანი, ვაჟიკა ფხოველი, სანდრო ულენტი, შალვა სოხლანი. ვლადიმერ უბილავა... შალვა იოსელიანი და ვლადიმერ უბილავა სახთან ერთად იყვნენ ფრონტზე.

ვლადიმერ უბილავა 1941 წლის ბოლოს ირაკლი აბაშიძეს წერდა: „ჩემთან არის ახალგაზრდა მწერალი ია ჩხაიძე. ის მეთაურია, მე რიგითი ჯარისკაცი. ვირიცხებით საარტილერიო ასეთულში. დარწმუნებული იყავით, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად“.

უფრო მოგვიანებით, თვით ირაკლი აბაშიძეც წავიდა ფრონტზე და ქერჩში შეხვედრია მამაჩემს. იგი ხშირად იგონებს ამ შეხვედრას და, საერთოდ, მამაჩემს: ტელეგრაფებში, პრესაში და ჩემთან პირად საუბარშიაც.

\* \* \*

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მრავალჯერ აყვავილდა ტყემალი, აღუჩა და ატამი. შეიცვალა ცხოვრება. გვიმნარი და ბუჩქნარი მთლიანად გაიკაფა. მათ ნაცვლად გალაიჭიმა ჩაისა და მანდარინის ბაღები... აღიმართა ორსართულიანი სახლები.

შეიცვალა ჩვენი ეზოც. დაბალი ფიცრული ოდა-სახლის ნაცვლად ორსართულიანი შენობა ავაგეთ. მამაჩემის ხელით დარგული მანდარინები 1949-50 წლების სუსხიანმა ზამთარმა გაჰყინა. მეხმა დახეტქა მამაბაპური წაბლებიც. სამაგიეროდ ისევ აშრაილდნენ ახალი მანდარინები და წაბლები. მათი მომვლელი და მწრუნველი კი უგზოუკვლოდ დაიკარგა 1942 წლის მაისში.

...უგზოუკვლოდ დაკარგული როდი ითვლება დაღუპულად. ხდება ხოლმე, როცა დაღუპულად ჩათვლილი ადამიანებიც კი რამდენიმე წლის შემდეგ სახლში ბრუნდებიან. ამის მაგალითი მრავალია. შვილის დაბრუნების იმედით ცხოვრობდა და სულდამულობდა ბებიაჩემი, თითქმის ას წელს მიუახლოვდა და 1957 წელს გარდაიცვალა. მოკვდა ისე, რომ მის თვალს ცრემლი არ წაჰკარებია. სამარეში ჩაჰყვა შვილის დაბრუნების იმედი, ცოცხალს ვერ ვიტირებო, ამბობდა.

...ისევ ისე ზვიადად და მღუმარედ დგანან გურიის თოვლიანი მთები და მათი მბრძანებელი საყორნია. ისევ ისე დაჰკრილ ნადირივით მოღრიალებს ბახვისწყალი. მამაჩემი კი... აი, რას თხოვდა იგი ერთ-ერთ ფრონტულ წერილში დედაჩემს: „ნინო როგორც კი მიწნარდება მდგომარეობა, აუცილებლად მიდი მწერალთა კავშირში. „ჩვენი თაობის“ რედაქციაში ინახება მოთხრობა „ჩემი მეგობრის ოჯახობა“, ნახე რედაქციის მდივანი ნიკა აგიაშვილი და დაბეჭდვინე. უარს არ გეტყვიან. თუ მოახერხო, გადაწერე ჩემი მოთხრობები და ცალკე წიგნად გამოაცემინე“.

ია ჩხაიძის თხოვნა წიგნის გამოცემის თაობაზე მისი დაკარგვიდან 21 წლისთავზე შესრულდა. როგორც აღვნიშნეთ 1968 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოსცა მისი მოთხრობების პირველი კრებული „გოლიათი“. წიგნში შევიდა მხოლოდ ექვსი მოთხრობა: „გოლიათი“, „ცხრა შვილის მამა“, „პირველი ცხენოსანი“, „ვერდია“, „გალახუნა“ და „ცაცანას ქორწინება“... „ჩემი მეგობრის ოჯახობა“ კი დაიკარგა. არც მის პირად არქივშია შემორჩენილი ამ მოთხრობის დედანი...

1972 წელს გამომცემლობა „საბჭოთა აკარამ“ გამოსცა ია ჩხაიძის მოთხრობების შედარებით სრული კრებული. 1984 წელს კი გამოვიდა მისი გამოქვეყნებული მოთხ-

რობების წიგნი „ბაკურია“. იგი გამოსცა გამომცემლობა „მერანია“. კრებულში შევიდა მოთხრობები „ბაკურია“, „კინოში“, „გლესკორი ზორა“ და „ქურდები“...

მამაჩემის შემოქმედებაზე გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია უურნალ „ციცკარის“ 1982 წლის მე-5 ნომერში კრიტიკოს რევაზ ჩხარტიშვილის ვრცელი სტატია „რაც დავიწყებით არ იბინდება“.

1968 წლის 23 თებერვალს თბილისში, მწერალთა სასახლეში. საბჭოთა არმიის შეკმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმოდ გაიხსნა დიდ სამამულო ომში დაღუპული მწერლების მემორიალური დაფა. მემორიალზე სხვებთან ერთად მოქროვილი ასობით ამოკვეთილია მამაჩემის სახელიც.

სოფელ მშვიდობაურის ცენტრში გახსნილ შესანიშნავ საბრძოლო დიდების მემორიალზე მამაჩემს, ომში დაღუპულ თვის მეზობელ ვაჟკაცებთან ერთად, თვალსაჩინო ადგილი აქვს გამოყოფილი. ეს ვაჟკაცები კი მისი მეგობრები თუ უოფილი მოსწავლეები იყვნენ, რომელთა შორის ბევრი მამაჩემის მოთხრობების პერსონაჟების პროტიპები არიან.

მანარაძის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის, ბავვის საშუალო სკოლისა და სასოფლო საბჭოს, ბათუმის საბრძოლო დიდების მუზეუმში და სხვაგანაც თვალსაჩინო ადგილასაა გამოფენილი მამაჩემის წიგნები, სურათები და სხვა დოკუმენტები.

ყოველ 9 მაისს — დიადი გამარჯვების დღეს — საქართველოს პრესა, რადიო და ტელევიზია თბილი სიტყვებით იგონებენ უდროოდ დაღუპულ ნიჭიერ მწერლებს — მირზა გელოვანს, გიორგი ნაფეტვარიძეს, სევერიან ისიანს, ვლადიმერ უბილაგას, ალექსანდრე სულავას, დავით პატატიშვილს, შალვა იოსელიანს, ვაჟიკო ფხოველს, ნიკოლოზ კობალიანს და ია ჩხაიძეს...

რამდენიმე სიტყვა ია ჩხაიძის პირადი არქივის, მისი ხელნაწერების შესახებ, რომელიც სათუთად შემოიწანა დედაჩემმა.

ამ არქივში აღმოჩნდა მოთხრობები: „ბაკურია“ (დაიბეჭდა უურნალ „ქოროში“ 1960 წელს), „ნატუსალა“ (გამოქვეყნდა 1972 წელს), „მენავები“ („დილა“, 1966 წ.). აქვეა და დღის სინათლეს ელიან: „მეტერ-მოყვარე“, „ძველებმა იცნეს ერთმანეთი“, პიესა „პატოსანი“, საბავშვო მოთხრობები „ორი ბიჭი“, „მომღერავენი“, ზღაპარი „ბიჭი და მოხუცი სპილო“.

შემონახულია მწერლის დღიური, რომელიც მრავალმხრივაა საინტერესო. აი, რამდენიმე ნაწყვეტი ამ დღიურიდან. იგი დაწერილია 1939-40 წლებში:

„...1939 წ. 23. IV: საჭმამასერი: ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს, მე მასწავლებელი ვარ. მახარებს ჩემი მოწაფეების ცნობისმოყვარეობა, მონდობება. ჩემს სადამრიგებლო კლასში (მოზრდილთა მე-9 კლასი) არის 45 წლის მოსწავლე ქალი, პარტიული მე ვაკვირდები და ვსწავლობ მის თვისებებს. ზოგიერთები დაცინიან, მე კი იდეალურ ქალად მიმაჩნია. ვფიქრობ, გამოღვიუნო ჩემი მოთხრობის გმირად. მინდა ვიმუშაო კლუბში, დავწერო ახალი მოთხრობები. მინდა კარგად შევასწავლო მოსწავლეებს გრამატიკა, ლიტერატურა. გატაცებული ვუნხნი პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს... უველას მოგონა „შინელი“ და „რევიზორი“, „მწირი“ და „ჩვენი დროის გმირი“. ყოველივე ეს მაძლევს უამრავ საწერ მასალას...“

1. V. გაკვეთილი მაქვს მეათე კლასში. ვამუშავებ ოსტროვსკის შემოქმედებას. მზიბლავს ამ მწერლის გმირული თვებადასავალი. მისი სიცოცხლის სიყვარული. ბევრს ვფიქრობ ჩემს ახალ მოთხრობაზე, ესაა „სისხლიანი ჯვრები“. გადავწყვიტე შევცვალო „ლამაზია, მაგრამ უსიცოცხლოა“.

3. V. დღეს გავიარე „ბერძნის წყაროსთან“. დამინტერესა მისმა სახელწოდებამ.

გამოვიტოხე ამბები. გადავწყვიტე დავწერო პატარა ნოველა ამ სათაურით. სიუჟეტი მზალ მაქვს. მხოლოდ ოსტატობაა საჭირო. ამას კარგად ვგრძნობ. წერა არაა ადვილი. სხვა საქმეებით დატვირთვაც მიშლის ხელს...

1940 წელი. 23. X. ღამითი. ბევრს ვმუშაობ. ვამზადებ კედლის გაზეთს. მინდა გამოვცე მოსწავლეთა უფურნალი. ვაგროვებ მასალებს. ძლიერ მახარებს ჩემი მოწაფეების ლექსების წაკითხვა.. წვიმს. ვჭიქრობ ოჯახზე, ბავშვებზე. გადავწყვიტე დავწერო მოთხრობა „სტუდენტი“. გაზეთებს კარგი ცნობები მოაქვს. ფინეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები წინ მიდიან“.

ამ არქივში შემონახულია მრავალი გულთბილი წერილი ანდრო თევზაძის, ნიკა აგიაშვილის, კოტე ხიმშიაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ბორის ჩხეიძის და სხვა თბილისში მომუშავე მამაჩემის მეგობრებისა. არის აგრეთვე მათთვის გავზავნილი რამდენიმე წერილის ასლიც:

1941 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელ რედაქტორს გიორგი ნატროშვილს იგი შემდეგს წერდა: „მე აშუამად ვეწევი პედაგოგობას. ვმუშაობ მახარადის რაიონში, სოფ. ძიმითში. ვარ კარგად მხოლოდ ესაა, რომ დაშორებული ვარ მწერალთა კერას. სამაგიეროდ ვდგავარ ხალხში. და ეს არც თუ ისე ცუდია. ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც ბედავს ადამიანის სულის ინჟინრად განდომას“.

როგორც ამ პირადი წერილებიდან ჩანს, ია ჩხაიძეს ომისწინა დღეებში სხვადასხვა რედაქციებში მიტანილი ჰქონია შემდეგი მოთხრობები: „დღისტი“ — „მნათობში“, „ჩემი მეგობრის ოჯახობა“ — „ჩვენს თაობაში“, „ბედნიერი დღე“ — „პიონერში“, „გუშაგი“ — „ოქტომბრულში“, მაგრამ ისინი დაკარგულა.

გარდა ზემოდ ჩამოთვლილისა, არასრულადაა შემონახული ან დაუშუშავებელია მოთხრობები „სტუდენტი“, „სისხლიანი ჯვრები“, „თურქმენეთის ფარშევანგები“, „ღრუბლები“ და პიესა „ჩოლოქის ტრაგედია“, სხვა მოთხრობების ნაწყვეტები, სანქცონდონოდ შედგენილი სიუჟეტები, დაუმთავრებელი პიესები, ხალხური ლექსები და ანდაზები. პედაგოგის სამუშაო გეგმები, მოსწავლეთა ლექსები და რვეულები. სტუდენტობისდროინდელი ლექციების ჩანაწერები.

ხელნაწერებისა და პირადი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი ომის დაწყებისას დარჩა თბილისში, მამაჩემის ბინაში (პირველი მაისის ქ. № 6). ეს ბინა შემდეგ სხვამ დაიკავა და ისინიც დაიკარგა.

\* \* \*

ძნელია უდროოდ დაღუპულ ადამიანზე, ისიც მშობელზე, წერა. ერთ-ერთ სტუდენტური ლექციების რვეულის უდაზე, მამაჩემს მიუწერია: „მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ჰანეს ბიოგრაფიის წაკითხვამ. რამდენი ტანჯვა, რამდენი იმედის გაცრუება... მოკვდა უნიჭიერესი კაცი და მის დასაფლავებას დაესწრო მხოლოდ ასიოდე კაცი... და დღესაც გერმანია ზიზღით, იშვინებს ამ ბრწყინვალე პოეტის, თავის საყვარელი სამშობლოს უდიდესი მომღერლის სახელს“.

რამდენიმე წლის შემდეგ ჰიტლერული გერმანიის მსხვერპლი გახდა მალიონობით ადამიანი. მათ შორის მამაჩემიც.

როგორც მამაჩემის არქივიდან ჩანს, მის შემოქმედებას დიდ პატივს სცემდნენ თბილისში მცხოვრები აწ გარდაცვლილი მწერლები ნიკა აგიაშვილი, ანდრო თევზაძე, ბორის ჩხეიძე, ელიზბარ ზედგენიძე, გიორგი კალანდაძე, როდიონ ქორქია, რევაზ მარგანი, ლადო ასათიანი, კოტე ხიმშიაშვილი, ლადო ბალიაური, იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ უბილავა, გაბრიელ ჯაბუშანური, სიმონ წვერავა, ალექსანდრე საჯაია... ეს უკანასკნელი, დედაჩემის გადმოცემით, 1941 წლის ზაფხულში მშვიდობაურში

უნდა ჩაშოსულიყო, ჩვენს ოჯახში — გურიის გასაცნობად, შემდეგ კი დასასვენებლად — ბახმაროში. მაგრამ ომმა არ დააცალა.

ია ჩხაიძეს დღესაც გულთბილად იგონებენ ირაკლი აბაშიძე, ლადო სულაბერიძე, ალექსანდოე შანიძე და სხვები.

მაშაჩემის პირველი წიგნი „გოლიათი“ გამოვიდა ირაკლი აბაშიძის თაოსნობით. ანდრო თევზაძეს უნდოდა გამოეცა მისი სრული კრებული, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა.

...ყოველ 9 მაისს დიდი სიხარული მოაქვს ყველგან და ჩვენს პატარა ოჯახშიც. ყველანი, მაშაჩემის მემკვიდრეები მშვიდობაურში ვიკრიბებით დედაჩემთან, ვკითხულობთ გაზეთებს, ვუსმენთ რადიოს, შევყურებთ ცისფერ ეკრანს, სადაც სხვებთან ერთად ახსენებენ ია ჩხაიძეს და ეს დიდად გვამაყვება.

მშვიდობაურის ცენტრში კი, საბრძოლო დიდებო მემორიალთან, მთელი სოფელი იკრიბება. იგონებენ შინმოუსვლელებს და მათ შორის მწერალსა და პედაგოგს ია ჩხაიძეს, რომელიც სამშობლოს დასაცავად ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა...



## ოთარ ფულუკია

### დგას ობელისკი

როცა გივონებთ, უძირო ფიქრებს  
წარსული ომის კვალი ატყვია...  
დგას ობელისკი, ღიმილის ბიჭებს  
შაჟი არშია შემოსალტვია.  
ამაღლებული მათი სახელი,  
მზის სიკაშკაშე და გაზაფხული,—  
არის უკვდავი შუქი ნათელი,  
დიდების სვეტში გამოსახული.  
არ გვავიწყდება წლები  
მიმქრალი,

დარდი, ტკივილი და მღელვარება—  
დგას ობელისკი — შავი ფიქალი,  
თბილი ცრემლის გაელვარება.  
ველარ იხილეთ ღურჯი აისი,  
ბინდად ქცეულხართ იღუმალ  
გზნებით...  
წაროს სიმღერად მოვა მაისი  
და ტკბილ ჰანგებში კვლავ  
გაცოცხლებით.





აბელ სურბულაძე

## შრომითი და საბჭოლო გმირობის ფურცლები

ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტკიცე ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან.

ვ. ი. ლენინი

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმისთანავე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს უაღრესად ეფექტური ღონისძიებანი ძალების მობილიზაციისა და თავდაცვის უზრუნველყოფისათვის. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 29 ივნისის დირექტივა „ფრონტისპირა ოლქების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს“, რომელშიც აისახა სოციალისტური სამშობლოს დაცვის ლენინური იდეები. ამ იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის 1941 წლის 2 ივლისის ცნობილ გამოსვლაში.

აღნიშნულ დოკუმენტებში პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უპირველეს ამოცანად დასახეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის უსწრაფესად გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე და ფრონტის ინტერესებისათვის დამორჩილება. ეს მოთხოვნა უშუალოდ გამომდინარეობდა ლენინური მითითებებიდან, რომ „რაკი საქმე ომზე მიდგა, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს... ამ მხრივ ოდნავი მერყეობაც კი შეუძლებელია“. ამასთან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ომის პირობების შესაბამისად მთელი იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნას, რადგან „მასების მიერ ომის მიზნებისა და მიზნების შეგნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს უზრუნველყოფს გამარჯვებას“ (ვ. ი. ლენინი).

მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ენერგიულად შეუდგნენ აღნიშნული პროგრამის განხორციელებას. ამ საქმეში აქტიურობდნენ საბჭოთა აჭარის მშრომელები. მართალია, საბრძოლო ოპერაციები უშუალოდ აჭარის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, მაგრამ რამდენადაც აქ გადიოდა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი და სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ფაშისტური გერმანიის ბლოკს დაკავშირებული სახელმწიფო, ამდენად იგიც ფრონტისპირა რეგიონად გამოცხადდა.

ომის მეორე დღესვე, 23 ივნისს, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის

ბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება „აჭარის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ ომიანობის პირობებთან დაკავშირებით“, რომლითაც მოითხოვა, საბჭოთა მთავრობის 22 ივნისის განცხადების შესაბამისად „გარდაქმნათ და სწორედ შეეხამებინათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ქვეყნის სამეურნეო ამოცანებთან, მიეღოთ გადაამკრელი ზომები საწარმოო გეგმებისა და თავდაცვითი დაწესებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის“.<sup>1</sup>

კავკასიაში მტრის შემოჭრისა და დასავლეთ საქართველოსთან ფრონტის ხაზის მოახლოების შემდეგ, საშიშროების ზრდასთან დაკავშირებით, 1942 წლის 4 მაისს ბათუმში შემოიღეს განსაკუთრებული სამხედრო რეჟიმი, ხოლო იმავე წლის 12 ოქტომბერს შეიქმნა ბათუმის თავდაცვის კომიტეტი. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამხედრო ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციამ შემდეგ აამალა აჭარის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა ფრონტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ცნობილი დირექტივების შესაბამისად, აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებმა დაიწყო სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა. სამრეწველო საწარმოებს მიეცათ დავალება სამხედრო პროდუქციის დაუყოვნებლივ გამოშვების, ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული საწარმოების მიღებისა და ადგილზე ამუშავების შესახებ. ყოველივე ეს დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული (არ იყო საჭირო თანხები, ბინები და ა. შ.), მაგრამ ამის მიუხედავად, აჭარის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, საკაპიტრო და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა დავალება მინც შეასრულეს. ისინი უკვე 1941 წლის ივლისშივე შეუდგნენ საპაერო თავდაცვისათვის საჭირო ხელსაწყოების დამზადებას. ხოლო იმავე წლის დამლევსათვის გადავიდნენ იარაღის (ნაღმტყორცნები, ნაღმები, ავიაბომბები, და ა. შ.) მასობრივ წარმოებაზე. მარტო 1942 წელს მათ დაამზადეს 50 ათასამდე ნაღმი და სხვა სახის საჭურველი.<sup>2</sup> ადგილობრივი სამრეწველო და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები ომის განმავლობაში 100-ზე მეტი დასახელების საგნებს (სამედიცინო პრეპარატები, საპაერო თავდაცვის ხელსაწყოები, ტანსაცმელი და სხვ.) აზადებდნენ ფრონტის დაკვეთით.<sup>3</sup>

დიდი ამოცანები დაეკისრა სოფლის მეურნეობას. მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, განსაკუთრებით მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოება სოფლის მეურნეობის მუშაკთა უპირველესი ამოცანა გახდა. 1942 წლისათვის გაიზარდა: სიმინდის ნათესი 2.054 ჰექტარით, კარტოფილისა — 1.862, თამბაქოსი — 123, სხვა ბოსტნეულ-ბალჩეულის კულტურებისა — 492 ჰექტარით.<sup>4</sup>

სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის პროცესში დიდი ყურადღება მიექცა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ზრდას. ფართოდ დაინერგა სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა აგრეთვე მრავალღაზგოსანთა და პროფესიების შემთავსებელთა, ორასოვანთა და მრავალასოვანთა მოძრაობა. 1941 წლის დამლევს ბათუმის მანქანათმშენ ქარხანაში მუშაობდა ორასოვანთა სამეურნეობები, რომლებიც იღვწოდნენ მომჭირნეობის, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორისაც. ინტენსიური ხასიათი ჰქონდა მას ჩაის მკრეფავებში.

საგულისხმოა, რომ აჭარის მშრომელები ერთ-ერთი პირველები ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ მხრივ სამაგალითო დარჩა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის 1942-1944 წლების მიღწევები. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საწარმომ რვაჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ნავ-

თომბრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და სამკერ  
— ფულადი პრემია.

საკავშირო სოციალისტურ შევიბრებაში აქტიურად მონაწილეობდა აჭარის სო-  
სწავლე-ახალგაზრდობა. 1943 წელს მათ მოკრიფეს 6 მილიონამდე კილოგრამი ჩაის  
ფოთოლი (ნაცვლად ორ მილ.: კილოგრამისა). 10 მილიონზე მეტი ცალი ციტრუსოვან-  
თა ნაყოფი და დაამზადეს 136 ტონა ტუნგი.<sup>5</sup> სოციალისტურ შევიბრებაში ნაკისრ ვა-  
ლდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო ალკ ცენტრალურმა კო-  
მიტეტმა 1943 წელს საპატიო სიგელით დააჯილდოვა ქობულეთის კომკავშირული  
ორგანიზაცია, აგრეთვე ამავე რაიონის სამი პირველადი ორგანიზაცია.<sup>6</sup>

სამრეწველო საწარმოებსა და საკომმუნენო მინდვრებზე თავდაუზოგავ შრო-  
მასთან ერთად აჭარის მშრომელებმა სხვა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ფრონტს.  
ამ მხრივ უნდა მოვიხსენიოთ მათი აქტიური მონაწილეობა მეზობლებისათვის ტანსაც-  
მელის, სახალწლო და სხვა სახის საჩუქრების შეგროვების კამპანიაში. მარტო 1941  
წელს ქობულეთის რაიონის მშრომელებმა ფრონტზე გაგზავნეს 580-ზე მეტი ამანათი.  
სამადლობელ წერილში, რომელიც მეზობლებმა გამოგზავნეს, ნათქვამი იყო: „ჩვენ  
ჩვენ ნაწილის მეზობლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა... დღეს მივიღეთ დიდ-  
ძალი საჩუქრები აჭარის მშრომელებისაგან... თქვენმა ძვირფასმა საჩუქრებმა ჩვენ უსა-  
ზღვროდ აღგვაფრთოვანა. გიძღვნი, ძვირფასო ამხანაგებო, გულის სიღრმიდან აძოღ-  
ბულ წითელარმიულ მადლობას. ჩვენ გმირულად ვიბრძვით და ვიბრძობებთ გერ-  
მანელ ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ, ვანადგურებთ და კვლავ ვავანადგურებთ  
საზიზღარ მტერს, დიდების ახალ ფურცელს ჩავწერთ ჩვენი სამშობლოს თავისუფ-  
ლებისა და ღირსებისათვის საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაში“.<sup>7</sup>

აღნიშნულის გარდა, აჭარის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 21 მი-  
ლიონზე მეტი მანეთი ფულად და 6 მილიონზე მეტი მანეთის სახელმწიფო სესხის ობ-  
ლიგაციად, აგრეთვე ძვირფასეულობანი.

აჭარის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ სატანკო კოლონის „საქართველოს კოლ-  
მეურნის“ მშენებლობაში. ამ მხრივ დიდი თანხები შეიტანეს: ქედის რაიონის სოფ.  
ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯ. ბერიძემ — 50 ათასი მანეთი. ხულოს  
რაიონის სოფ. გოგაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. თურმანიძემ — 25 ათა-  
სი მანეთი და სხვ. ქობულეთის რაიონის მშრომელებმა გაიღეს მილიონი მანეთი. სულ  
აჭარაში ამ საქმისათვის შეგროვდა 10.052.000 მანეთი.<sup>8</sup> 1942 წელს ავიაც-  
კადრილის „აჭარის კომკავშირელის“ მშენებლობის ფონდში კომკავ-  
შირელებმა შეიტახეს 900 ათას მანეთამდე, ხოლო ავიაცკადრილის „საბ-  
ჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში მარტო ხულოს რაიონის ახალგაზრდებმა  
გაიღეს 500 ათასი მანეთი, წითელი არმიის მეზობლებისათვის შეაგროვეს და გაგზა-  
ვნეს 300 ათასი მანეთის საჩუქრები და სხვ. საერთოდ, დიდი სამამულო ომის წლებ-  
ში აჭარის მშრომელებმა საბჭოთა არმიის ტექნიკის მშენებლობის ფონდში შეიტანეს  
27,371.400 მანეთი, რაც სხვადასხვა დროს უმაღლესი მთავარსარდლის მადლობით  
აღინიშნა.

აჭარის მშრომელები აქტიურად გამოეხმაურნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის  
1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილებას ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიო-  
ნებში სახალხო მეურნეობის აღდგენის შესახებ. საკითხი განიხილა და მოიწონა  
საქართველოს კ. აჭარის საოლქო კომიტეტმა და ადგილობრივ ორგანიზაციებს მისცა  
შესაბამისი მითითება. ამ მიზნით შეიქმნა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული  
კომისიები, რომლებმაც დიდი მუშაობა ჩაატარეს ოკუპაციით დაზარალებული რაიო-  
ნების დასახმარებლად, კერძოდ, სისტემატურად ეწყობოდა შაბათობები და გამომუ-

შეგებული თანხა მთლიანად ამა თუ იმ ოლქის ან ქალაქის აღდგენის ფონდში გადა-  
რიცხებოდა. მაგალითად, სტალინგრადის აღდგენის ფონდში შეიტანეს: ხულოს  
რაიონის მშრომელებმა — 650.107 მანეთი, აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო  
სახლმა — 127,040 მანეთი. რეგულარულად ეწყობოდა დახმარების კვირეულები,  
საიდანაც მიღებული თანხები სტალინგრადის ოლქის დაზარალებულ ბავშვებს ეგზავ-  
ნებოდა. ამავე მიზნით აგროვებდნენ აგრეთვე ტანსაცმელს, სურსათს, ხილს (განსა-  
კუთრებით ციტრუსებს), ინსტრუმენტებს, საოჯახო საგნებს, ლიტერატურას. აჭარის  
მშრომელებმა იკისრეს შეფობა დომბასის ქალაქ კრასნი ლუჩის მაღაროების აღდგე-  
ნით სამუშაოებზე და 1943 წელს საახალწლოდ 3 ვაგონი საჩუქარი გაუგზავნეს ამ  
საწარმოს მშრომელებს.

ომის პირობების შესაბამისად გარდაქმნეს საქმიანობა აჭარაში მოქმედმა სამე-  
ცნიერო-კვლევითმა და სხვა შემოქმედებითმა დაწესებულებებმა, რომლებმაც დიდი  
მუშაობა გასწიეს ახალი რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებაში. სწორედ ომის  
წლებში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალმა გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები, რისთვისაც მის ავ-  
ტორს აკად. ქ. ბახტაძეს სტალინური პრემია მიენიჭა. საკონსერვო მრეწველობის  
საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მუშაკებმა დაა-  
მუშავეს ციტრუსოვანთა, ნარჩენებიდან ეთეროვანი ზეთის დამზადების ახალი მეთო-  
დი. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობისათვის და დიდძალი თანხა  
დაუზოგა სახელმწიფოს, სამკურნალო მკენარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურმა სადგურმა (ქ. ქობულეთი) შექმნა სამკურნა-  
ლო თვისებების მქონე ქიმიური ნაერთი, რომელიც სწრაფად აშუშებდა ჭრილობას;  
ამავე დროს შეისწავლა და პრაქტიკაში დანერგა 50-ზე მეტი ახალი სამკურნალო მცე-  
ნარე.

ძტერზე გამარჯვების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ შემოქმედებით  
ორგანიზაციებს. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, საქართველოს მუზეუმებს შო-  
რის ერთ-ერთმა პირველმა, 1941 წელს მოაწყო გამოფენა „საბჭოთა ხალხი დიდ სა-  
მაშულო ომში“, რომელსაც პრესამ მაღალი შეფასება მისცა. საჯარო ბიბლიოთეკამ მე-  
ომრებისა და ჰოსპიტლების მომსახურებისათვის შექმნა თავისი ფილიალები. ბათუმის  
თეატრი საგმირო-ჰეროიკული პიესებით ხელს უწყობდა საზოგადოების აღზრდას  
სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით. სიმღერისა და ცეკვის აჭარის ანსამბლმა ომის  
წლებში 300-მდე საშეფო კონცერტი გამართა კავკასიის ფრონტის მეზობლობთან,  
260-მდე კონცერტი — საკოლმეურნეო მინდვრებსა და სოფლებში, საიდანაც მიღებუ-  
ლი თანხა (283.00მ მანეთი) თავდაცვის ფონდში გადარიცხეს. ლიტერატურის მუშაკებმა  
არაერთი ნაწარმოები შექმნეს ომის თემაზე.

\* \* \*

**ყოველ ომში გამარჯვება საბოლოო ანგარიშით განპირობებულია  
იმ მასების სულისკვეთების მდგომარეობით, რომლებიც ბრძოლის  
ველზე ღვრიან სისხლს.**

**ვ. ი. ლენინი**

აჭარის მშრომელთა საბრძოლო ეხთუზიანობი და შემართება, მისი თავგანწირული  
ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მკაფიოდ გამოამჟღავნა უშუა-  
ლოდ ბრძოლის ველზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ დასაყრობად წინასწარ დაგეგმილ ტერიტორიაზე განი-  
კის გამოწვევისა და ზურგის დეზორგანიზაციის მიზნით ფაშისტებმა შექმნეს სპეცია-  
ლური საჯარისო ერთეული „ბრახდენბურგ-800“. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო  
შექმნა გამანადგურებელი ბატალიონებისა. აჭარის მშრომლებმა ამ საქმეშიც გამოი-  
ჩინეს თავი, აქ, პირველად საქართველოში, 25-27 ივნისს ჩამოყალიბდა 1 საქალაქო  
და 4 რაიონული გამანადგურებელი ბატალიონი 40-მდე დამხმარე ჯგუფით, რომლე-  
ბიც იცავდნენ რკინიგზის ხაზს, ნავსადგურს, მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტებს,  
ენმარებოდნენ მესაზღვრეებს. საერთოდ, გამანადგურებელმა ბატალიონებმა და მათ-  
მა დამხმარე ჯგუფებმა დიდი როლი შეასრულეს ზურგის განმტკიცებაში.

აჭარაში ფართო ხასიათი ჰქონდა მოხალისე წასკლას. აჭარის სამხედრო კომი-  
სარიატში შექმონდათ კოლექტიური განცხადებებიც, პირველი მოხალისეები იყვნენ  
კომუნისტები და კომკავშირელები. 1941 წლის დამლევისათვის ფრონტზე წავიდა 2  
ათასზე მეტი კომუნისტი. ე. ი. აჭარის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის  
ერთი მესამედი. კომუნისტებს მხარში ედგნენ კომკავშირელებიც. კომკავშირის აჭარის  
საოლქო კომიტეტმა მოხალისე კომკავშირელთა ოთხი მობილიზაციის ფრონტს მისცა:  
1941 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში — 230 კაცი, ხოლო 1942 წლის დამდეგს  
80 ახალგაზრდა. სულ აჭარიდან კომის განმავლობაში ფრონტზე გაიწვიეს 24 ათასზე  
მეტი კაცი, რომელთაგან უშუალოდ ბრძოლებში მონაწილეობდა 13 ათასამდე მეომარ-  
ი.<sup>10</sup> მტერთან შერკინებაში დაიღუპა 9,510 მეგრძოლი, გამოჩენილი მამაკობისათვის  
აჭარის სამხედრო კომისარიატიდან გაწვეულ 12 მეგრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავ-  
შირის გმირის საპატიო წოდება, ხოლო 12,718 დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორ-  
დენებითა და მედლებით.<sup>11</sup>

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ს. დუმბაძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის პერიოდ-  
ში, ბათუმი, 1976, გვ. 8.
2. ს. ტაბალუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის ღიდ სამამულო ომში,  
ბათუმი, 1974, გვ. 21.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 559. ს. 30,  
ფურც. 12.
- 4 ს. ტაბალუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.
5. იქვე, გვ. 48-49.
6. ნ. პატარაია, აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიიდან, ბათუმი. 1958,  
გვ. 151.
- 7 ს. ტაბალუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
8. ს. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
9. შ. ქურიძე, მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1970. გვ. 25.
10. ი. ცერცვაძე, უკვდავია მათი სახელები, ბათუმი, 1969, გვ. 6.
- 11 რ. ართმელაძე, სამშობლოს ღირსეული შვილები, ბათუმი, 1972, გვ. 213  
(რუს. ენაზე).



# გამარჯვების დროშა რაიხსვაგზე



ბერლინის შტურმი

1945 წლის 20 აპრილს, 22 საათსა და 50 წუთზე, მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარია რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს. 1418 დღე-ღამეს ატარა იგი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გმირმა საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ატარა ამაყად და ძირსდაუხრელად... და შეუდარებელი იყო სისხარული, რომელიც იმ ნანატრ წუთებში განიცადეს ბერლინის შტურმის მონაწილეებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა.

ბერლინის შტურმი ძირითადად განახორციელა 150-ე დივიზიამ, რომლის მეთაური იყო საბჭოთა კავშირის გმირი, ამჟამად გადამდგარი გენერალ-პოლკოვნიკი. შესანიშნავი მწერალი და მამაცი მეომარი ვასილ შატილოვი. მისი წიგნი „დროშა რაიხსტაგზე“ სამჯერ გამოიცა, ითარგმნა და დაისტამბა რამდენიმე უცხოურ ენაზე. გარდა ამისა, კიდევ გამოქვეყნდა ვ. შატილოვის ოთხი წიგნი და ოცამდე მოთხრობა.

სამხედრო მწერალმა უკვე დაამთავრა მუშაობა ტრილოგიაზე, რომელსაც „1418 დღე“ დაარქვა. მასში შესულია წიგნები „უკრაინის მიწაზე“, „ჩრდილოეთ-დასავლეთით“ და „მედროშეები უტევენ რაიხსტაგს“.

## რაიხსტაგიდან 500 მეტრის დაშორებით

1945 წლის გაზაფხული მარად დაუვიწყარია. მისში დამთავრდა უკანასკნელი თავი დიდი სამამულო ომის უკვდავი წიგნისა.

1945 წლის 20 აპრილს 150-ე მსროლელი დივიზიის ნალმტყორცნელმა, ზემდგემა ივანე იგნატოვმა, როდესაც თავის იარაღს დგამდა მოლტკეს ხიდთან, რაიხსტაგიდან 500 მეტრის დაშორებით, შემთხვევით გატეხა ყუთი, რომელსაც ჯარისკაცები ტყვიებისა და ნამსხვრევებისაგან თავის დასაცავად იყენებდნენ.

ყუთში საათები აღმოჩნდა... ასობით ახალი ჯიბის საათი — ფოსფორის ციფერბლატიანი, პატარა წამოზომი ისრიანი. რაიხსტაგში ორი ათასი ფაშისტი იყო გამაგრებული. ამოქოლილი ფანჯრების ამბრაზურებიდან ასობით ზარბაზანი და ტყვიამფრქვევი აფრქვევდა გამანადგურებელ ცეცხლს. ომის ამ უკანასკნელ წამებში სიკვდილი ისეთივე ულმობელი სისასტიკით ემუქრებოდა ჯარისკაცს, როგორც ომის დასაწყისში, როგორც ყოველთვის, დღითა და ღამით.

რაიხსტაგზე დროშის აფრიალებას რამდენიმე წელი ოცნებობდნენ, ურყევი იმედით ელოდნენ, სწამლათ და სჯეროდათ, რომ ეს ნანატრი დღე დადგებოდა. ყველას, ვინც მაშინ მოლტკეს ხიდზე გადიოდა, მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა — რაიხსტაგისაკენ. მებრძოლეებმა საათები ტომარაში ჩაყარეს და თავიანთი ამხანაგი, რიგითი ვ. კობლევი გაგზავნეს ხიდთან, რათა საათები დაერიგებინა ყველასათვის, ვინც ამ გზით მიდიოდა.

რიგითმა კობლევემა დაიკავა თავისი საგუშაგო და ასრულებდა ბრძანებას. აჩერებდა ყველას — რიგით ჯარისკაცებს, ოფიცრებს, გენერლებს და ერთნაირ საათებს ურიგებდა, რათა მათ აღენიშნათ ერთ და იგივე, დიდი ხნის ნანატრი მომენტი — რაიხსტაგის აღება.

30 აპრილს, დღით, 150-ე დივიზიის მეთაურმა ვასილ ბატილოვმა გაიარა მოლტკეს ხიდზე და, როგორც ყველა, ისიც გააჩერა ჯარისკაცმა: „ამხანაგო გენერალო, მიიღეთ საათი“. გენერალ-პოლკოვნიკმა ვერ გაიგო საქმის ვითარება, გარშემო ქურუვები

სკლებოდნენ, ტყეები ზუზუნებდნენ. რაიხსტაგის მისადგომები ცეცხლში იყო გაბ-  
ვეული. „რა საათი?“ — იკითხა და უნდა გზა განევტო წინა ხაზისაკენ, მაგრამ რიგი-  
თმა ჯარისკაცმა გზა გადაუჭრა და გაუმეორა: „ამხანაგო გენერალო, მიიღეთ საათი.  
ვინც რაიხსტაგისაკენ მიდის, ამ საათზე ომის დამთავრების დრო უნდა აღნიშნოს“.

დაიწყო გააფთრებული ბრძოლები — უკანასკნელი და გადამწყვეტი საკუთარ  
ბუნაგში დამწყვეტულ ფაშისტთა შესამუსრაებად.

30 აპრილს ბევრი საბჭოთა მეომარი ვეფხვისებური ნახტომით შეიჭრა რაიხსტა-  
გის შენობაში. სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი დაეცა მამაცთა სი-  
კვდილით. 1 მათს გაზაფხულის ამ უმშვენიერეს დღეს, მსოფლიოს მშრომელთა  
საერთაშორისო სოლიდარობის დღეს რაიხსტაგზე უკვე ფრიალებდა გამარჯვების დრო-  
შა, რომელიც მამაცმა მზვერავებმა — 22 წლის მ. ეგოროვმა და 25 წლის მ. ქანთა-  
რიამ აღმართეს.

გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. შატილოვმა და ჯარისკაცებმა გააჩერეს საათები. ისრე-  
ბმა 21 საათი და 50 წუთი აჩვენეს... რაიხსტაგის აღებამ ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე  
შეიწირა, მათ თან წაიღეს ეს უკანასკნელი სასწოვარი. 2 მათს საბჭოთა ჯარებმა  
მთლიანად დაიკავეს ბერლინი. არავის უნდა დაავიწყდეს, თუ რა დაგვიჯდა ფაშისტურ  
გერმანიაზე გამარჯვება. 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა  
1941-1945 წლების დიდმა სამამულო ომმა. ათეულობით მილიონი დაობლდა, და-  
ქვრივდა და დაინვალიდა. ამის დავიწყება არ შეიძლება, ეს ყოველთვის უნდა გვახ-  
სოვდეს!

### ცოტა რამ ვასილ შატილოვზე

ვასილ მიტროფანეს ძე შატილოვი დაიბადა 1903 წელს. 25 წლისამ თბილისში  
დამთავრა სამხედრო სასწავლებელი. საქართველოში ძნელია დაასახელოთ კუთხე,  
რომელიც მას არ ენახა. გამოჩენილი მხედართმთავარი მოხიბლულია საქართველოთი.  
წლებს არ გაუხუნებია მისი მარად უბერებელი, ჩაუქრობელი ენერჯია.

1979 წლის 20 აპრილს ჩამოვიდა ბათუმში და რამდენიმე დღეს ეცნობოდა აჭარის  
ავტონომიურ რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს. აჭარა, განაცხადა მან, ლამაზი  
მხარეა, ბათუმი მწვანეშია ჩაფლული, სუფთა და სასიამოვნოა. საერთოდ მინდა  
ვთქვა, რომ საქართველოს და მის ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ.

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ ვ. შატილოვი მოიწვია ფაშისტურ გერმანიაზე  
გამარჯვების 34-ე წლისთავთან დაკავშირებით ლექცია-საუბრების გასამართავად. მას-  
თან ერთად ჩამოვიდა ბერლინისა და რაიხსტაგის შტურმის მონაწილე, გადამდგარი  
ლეიტენანტი, ყურნალ „კრივოდლის“ კორესპონდენტი კონდრატე უბილავა. იგი  
მსროლელი კორპუსის რადიოოცეულის უფროსი იყო და კორპუსის სარდლობამ  
შისი მეშვეობით შეატყობინა უმაღლეს მთავარსარდლობას რაიხსტაგზე გამარჯვების  
დროშის აღმართვა. რაიხსტაგის ოპერაციისათვის კ. უბილავა სამამულო ომის პირვე-  
ლი ზარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ვასილ შატილოვმა აჭარის რაიონებსა და ქ. ბათუმში საინტერესო ლექციები  
წაიკითხა თემებზე: „მესამე რაიხის დაცემა“, „რაიხსტაგის შტურმი“ და სხვა. ხელვა-  
ჩაურისა და ქობულეთის რაიონების სოფლებში ლექციების შემდეგ შეხვდა პარტიულ-  
სამეურნეო აქტივს, ახალგაზრდობას.

### მიხეილ ეგოროვი და ელიზონ მანთარია

საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ერთსულოვნად აღსდგა  
სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ განმათა-

ვისუფლებელ ომში გმირი საბჭოთა ხალხის, მისი არმიის სულისჩამდგემლ, ხელ-  
მძღვანელ და მებრძოლ ორგანიზატორად კომუნისტური პარტია გამოვიდა. „ჩვენი საქ-  
მე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვინებდა“,  
გვამხნევებდა პარტია და ჩვენ გვეჯეროდა მისი ნათქვამი, მუშები, კოლმეურნეები,  
ინტელიგენცია, დიდი თუ პატარა, გულდასმით ისმენდნენ თავდაცვის სახელმწიფო  
კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის რადიოთი გამოსვლას 1941 წლის 3 ივლისს.

ომის გამოცხადებისთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდე-  
ბით მარტო საქართველოდან ფრონტზე წავიდა და სამშობლოს დამცველთა რიგებში  
ჩაღვა 52.600 კომუნისტი, 160.000 კომკავშირელი, მათ შორის 13 ათასზე მეტი მოხა-  
ლისე იყო. ათასობით საბჭოთა ადამიანი უზადლო გმირობის გაუხუნარი ფურცლე-  
ბი ჩაწერა დიდი სამამულო ომის ისტორიაში. ორ მათგანს — რუს მიხეილ ეგოროვს  
და ქართველ მელიტონ ქანთარიას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს  
ჩვენს პლანეტაზე იცნობენ. მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ 171-ე და 150-ე მსროლელი  
დივიზიების მებრძოლებთან ერთად, სისხლიანი ბრძოლით გაიკვლიეს გზა და გა-  
მარჯვების დროსა აღმართეს ფაშისმის ბუნაგის თავზე — რაიხსტაგზე. ასეულის მე-  
თაურმა სიმონოვმა, რომელმაც გმირულად დაღუპული პიატნიცი შესცვალა, ბრძანება  
ვასცა და თავისი ასეული რაიხსტაგის ასაღებად იერიშზე გადაიყვანა. „ვაშას“ ძახილით  
ჩაებნენ ბრძოლაში ნეუსტროევის, დავიდოვისა და სამსონოვის ბატალიონები. მიხეილ  
ეგოროვი და მელიტონ ქანთარია სულ მიღლა და მიღლა მიიწვედნენ.

მ. ეგოროვი და მ. ქანთარია ავტომატის ცეცხლით სწობდნენ რაიხსტაგის კიბე-  
ების დამცველ ფაშისტებს. ბრძოლის ყველაზე მძაფრ მომენტში რაიხსტაგში შეიჭრა  
სამსონოვის ბატალიონი. ეგოროვმა და ქანთარიამ დაატყვევეს კიბეებს ამოფარებული  
უკანასკნელი დამცველები და გზა რაიხსტაგის სახურავისაკენ გაწმინდეს, შემდეგ წითე-  
ლი დროშით გაემართნენ რაიხსტაგის გუმბათებისაკენ. მათ ირგვლივ სკდებოდა ყუმბა-  
რები. დროშა ათ ადგილას გახვრიტეს ნამსხვრევებმა. 1945 წლის 30 აპრილს ორმა ვაბე-  
დულმა მზვერავმა სერჟანტებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ რაიხსტაგის გუმბათზე აღ-  
მართეს გამარჯვების საბჭოთა დროშა — ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის  
მსოფლიო ისტორიული გამარჯვების სიმბოლო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 8 მაისის ბრძანებუ-  
ლებით. სერჟანტ მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიას რაიხსტაგზე შეტევის დროს მა-  
ცობის გამოჩენისათვის 4 სხვა გმირთან ერთად (სერჟანტი მ. ეგოროვი, კაპიტანი  
ვ. დავიდოვი, კაპიტანი ე. ნეუსტროევი, უფროსი ლეიტენანტი კ. სამსონოვი), მიენიჭა  
საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მ. ქა-  
ნთარია დაბრუნდა სამშობლოში, რამდენიმე წელს შრომობდა კოლმეურნეობაში, შე-  
მდეგ ერთხანს მუშაობდა მწერველად ტყვარჩელის მაღაროებში ზეინკლად — ოჩამ-  
ჩირის რაისამრეწველო კომბინატში, ამჟამად კი ქ. ოჩამჩირის № 4 სამშენებლო-სამონ-  
ტაჟო სამმართველოში მუშაობს ბრიგადირად.

მ. ქანთარიას და მ. ეგოროვს სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდათ, ყოველდღი-  
ურად ფოსტას მათ ბინებში მიჰქონდა ასობით წერილი... 1978 წელს მ. ეგოროვი  
ტრაგიკულად დაიღუპა. მ. ქანთარია ოჯახით გაემგზავრა დაკრძალვაზე. მელიტონი  
ღრად დამაწუხრა ფრონტელი მეგობრის, შესანიშნავი ადამიანის დაკარგვამ. მიხეილის  
მეუღლე ალექსანდრა მასწავლებელია, ორთავე ქალიშვილმა მისიბაძი ოჯახი შექმნეს,  
წიგანდად ქცეულ მ. ეგოროვის ლამაზ ოჯახთან მეგობრობა კვლავ გრძელდება.

იასონ ცირცვაძე,

ომისა და შრომის ვეტერანი, გადამღარი მაიორი.

# გაგაცხი შუკარღენი



მძიმე ბრძოლებადატანილი, შეჯავშული მოსკოვი — ჩვენი დიდი სამშობლოს გული და მტერშეუვალი ბასტიონი, იმედის თვალთ რომ შეყურებდა მთელი მოსოფლიო. აქ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელ კურსებზე გაიცივნეს ერთმანეთი გივი ურუშაძემ და რუბენ ავაბალიანმა.

დაძაბულ სწავლასა და მყვადინებობაში გადიოდა ღღეები. მტერი გააფთრებით ვკრტევდა მთელს ფრონტზე, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე რომ გადაქიმულიყო. სამხრეთით, სტალინგრადის მისადგომებთან, გაიჭრნენ ფაშისტთა დივიზიები, ჩრდილოეთით კი ლენინის ქალაქს — ოქტომბრის აკვანს დაემუქრნენ. დაიწყო ლენინგრადის გმირული ეპოპეა, რომელმაც 900 დღე-ღამეს გასტანა.

და აი, სწორედ მრისხანე 1942 წლის შემოდგომაზე დაამთავრეს გივიმ და რუბენმა კურსები. სუთ თანაკურსელთან ერთად გაგზავნეს ბალტიის წითელდროშოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეავტომატეთა განსაკუთრებულ ქვეგანაყოფში, რომელიც ცნობილ საზღვაო ციხე-სიმაგრე კრონშტადტში განლაგებულიყო. აქ მათ მეავტომატეთა ოცეულები ჩააბარეს.

ლენინგრადის მისადგომებს ზღვიდან მკერდით იცავდნენ ღღეგენდარული კრონშტადტელები. ქალაქის ბლოკადის უმძიმეს დღეებში მათ არნახული ამტანობა, მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს. მკიდრო რკალად გარშემორტყმული მტერი ყუმბარებს უშენდა გმირ ქალაქს, ადამიანები შიმშილითა და სიცივით იხოცებოდნენ, მებრძოლებს აკლდათ იარაღი და ტყვია-წამალიც, მაგრამ არცერთ მათგანს წამითაც არ გაუვლია გულში ქალაქის დათმობა.

სამშობლოს მგზნებარე სიყვარული, მტრის დაუოკებელი სიძულილი აკეთებინებდა ამ ადამიანებს შეუძლებელს, კაცის ძალ-ღონეს რომ აღემატებოდა.

მტერმა ვერ შეძლო პატარა კუნძულის გარნიზონის შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა — ლენინის ქალაქი მათთვის ზღვიდან მიუწვდომელი აღმოჩნდა.

კრონშტადტელები პასიურ თავდაცვას როდი სჯერდებოდნენ, ხშირად კონტრშეტევაზე გადადიოდნენ და მოწინააღმდეგეს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ. ამ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ მეზღვაურები — მეავტომატეები, რომლებიც ხან კატარღებით, ხან კი ფინეთის ყურის ყინულის საფარველის გავლით მტრის პოზიციებში იჭრებოდნენ და თავზარს სცემდნენ მას. გივი ურუშაძისა და მისი თანაკურსელი მეთაურების მეავტომატეთა ოცეულები ხშირად ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ, ერთად მიდიოდნენ შეტევაზე და იმარჯვებდნენ, მაგრამ ზოგჯერ ძვირად, ძალიან ძვირად უჯდებოდათ ეს გამარჯვება, ყოველი გოჯი მიწის გამოხსნა — ბევრი ჯარისკაცი და მეთაური დაეცა გმირის სიკვდილით ამ უთანასწორო სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებებში.

1943 წლის 16 თებერვალს მეავტომატეებმა ბრძანება მიიღეს ქალაქ ნარვის მისადგომებთან დესანტი გადაესხათ და პლაცდარში დაეკავებინათ. მტერმა მედესანტეები შეამჩნია და გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა. ყუმბარებისა და ტყვიებისაგან დუღდა და იწვოდა ბალტიის ზღვა. ერთი ყუმბარა პირდაპირ იმ ნავს მოხვდა, რომელშიც აბაშელი მიხეილ დავითაია და მისი მებრძოლები იხსდნენ. ყველანი წყალში შთანთქა... ერთ-ერთი კუნძულის განთავისუფლების დროს მტრის ტყვიით განგმირული დაეცა გივის თანაკურსელი ასატურ ვართანიაი. ასეული, რომელშიც მისი ოცეული შედიოდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, უთანასწორო ბრძოლაში ბევრი მეომარი დაჰკარგა. მის დასახმარებლად გივი ურუშაძის გაძლიერებული ოცეული გაგზავნა. როცა კუნძულს მიუახლოვდა. გერმანელებმა მას ყველა სახეობის იარაღის

გვარდინა ცეცხლი შეაგებეს. მებრძოლები წყალში გადაეშენენ, ცურვით მიადრეხნენ ნაპირს და რკალში მომწყვდეულ ასეულს შეუერთდნენ. მთელი დღე და ღამე გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლა ფინეთის ყურის ამ პატარა კუნძულზე. მხოლოდ მეორე დღის განთიადზე შეძლეს მებრძოლებმა შევეტომატეებმა მტრის წინააღმდეგობის დაძლევა და მისი სრული განადგურება. გვიგამ და მისმა მევეტომატეებმა ამ ბრძოლაში მამაცობისა და თავგანწირვის მაგალითები უჩვენეს.

ასე მზადდებოდა დიდი შეტევა ლენინგრადის ბლასადის გასარღვევად, და როცა 1944 წლის იანვარში ეს დრო დადგა, გვი ურუშაძე და რუბენ აგბალიანი უკვე მევეტომატეთა ასეულებს ედგნენ სათავეში. ბალტიის ფლოტის საზღვაო ფეხოსანთა ბრიგადის შემადგენლობაში ამ ასეულებმა მონაწილეობა მიიღეს ფინეთის ყურის მთელი რიგი კუნძულების განთავისუფლებაში.

1944 წლის 15 ივნისს ლეიტენანტი გვი ურუშაძე ლენინური პარტიის რიგებში მიიღეს და იმავე დღეს ერთ-ერთ კუნძულზე დესანტის გადასხმა დაავალეს. ეს ამოცანა ფრიადზე შესრულდა. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის ახალგაზრდა ოფიცერი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

შემდეგ ერთმანეთს მიჰყვა ტალინის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლები. აღმოსავლეთ პრუსიის ოპერაცია. კენიგსბერგის მუხრმი, ფრიშ-გაფის ნახევარკუნძულზე დესანტის გადასხმა, პოლონეთის ქალაქების გამოსხნა. მამაცი მეთაურის მკერდი კიდევ ათმა საბრძოლო მედალმა დაამშვენა.

1945 წლის აპრილამდე ერთად იბრძოდნენ გვი ურუშაძე და რუბენ აგბალიანი. გერმანიის ტერიტორიაზე გაიყარა ფრონტელი მეგობრების გზა.

სამხედრო სამსახური გვი ურუშაძემ 1947 წლის გაზაფხულზე დაამთავრა სევასტოპოლში, სადაც ერთ-ერთი ნაწილის ფიზიკური მომზადების უფროსი იყო. გვიგის ამ გატაცებაზე, რომელიც მისი ცხოვრების მთავარ საქმედ იქცა, განსაკუთრებით გვიანდა გაიამბოთ. პროფესიის არჩევაზე დიდხანს არ უფიქრობდა — თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი დაამთავრა და მახარაძეში დაბრუნდა. იქ ერთხანს ფიზიკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. სულ მალე რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი გახდა, 1941 წელს კი ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნეს. აქედან ჩადგა ოცი წლის ჭაბუკი სამშობლოს დამცველთა რიგებში.

დემობილიზაციის შემდეგ გვი ბათუმში დაფუძნდა. მუშაობა დაიწყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის მასწავლებლის საპორტული განყოფილების უფროსად, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დააწინაურეს. ათი წლის მანძილზე იგი ბათუმელ სპორტსმენთა თავკაცი იყო. შემდეგ სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდისათვის გაწეული ამავისათვის ჯერ აჭარის ასსრ, შემდეგ კი საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს. არის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი სპორტის კომპლექსურ სახეობებში, დაჯილდოებულია სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით, აგრეთვე სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საპატიო სამკერდე ნიშნით. მისი გვარი შეტანილია აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო წიგნში.

გვიმ ოჯახიც სპორტული შექმნა. მისი მეუღლეა წახუტლში ცნობილი ტანმოვარჯიშე. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ანგელინა გაბრიაძე. ვინ არ იცნობს მის აღზრდილებს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის უფროს

მწვრთნელს რუსიკო სიხარულიძეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს ქეთევან გოგინია-  
შვილსა და ნანული ხაბურძანიას. სპორტის ოსტატებს ირინე ქორიძესა და ოლეგ  
ბურლაკოვას.

გივისა და ანგელინას ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი ჰყავთ.

ომგანახლებილი ვაჟკაცი ლენინგრადის საპატიო მოქალაქეა. ყოველი წლის 9 მაისს  
— გამარჯვების დღეს — იგი ლენინის ქალაქში ხვდება.

...რუბენ აგბალიანი წლების მანძილზე ეძებდა ფრონტულ მეგობარს. ალბათ დაი-  
ღუპათ, ფიქრობდა, როცა წერილზე პასუხს ვერ იღებდა. ამ რამდენიმე წლის წინათ  
შვებულებით ბათუმში ჩამოვიდა. თავისიანებთან საუბრის დროს გივი ურუშაძეც ახ-  
სენა. უთხრეს: ასეთი კაცი ბათუმში ცხოვრობს და სავაჭრო გაერთიანება „სპორტ-  
საქონლის“ დირექტორად მუშაობს. „მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ სახელისა და  
გვარის უბრალო დამთხვევაა?“ მინც მიიყვანეს გივი ურუშაძესთან.

ამ დაუეიწყარ შეხვედრაზე ხშირად გაისმოდა შეძახილები: „გახსოვს, გივი?“. „შენ  
კი გახსოვს, რუბენ?“ ახსოვდათ, ყველაფერი ახსოვდათ, ერთმანეთისათვის ბევრი,  
ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი...

მირზა ჯამუზაძე

## გ მ ი რ ი

დადის ჩვენს ქალაქში წარმოსადეგი კაცი, ღიმილით ესალმება ნაცნობ-მეგობ-  
რებს, თუ შეაჩერებ, საუბარსაც გაგიბამს. უყვარს ადამიანები, აფასებს კაცს. თუ ვინ-  
მემ კარგი საქმე გააკეთა, ქვეყანას მოსდებს, საკუთარზე არაფერს იტყვის. გამორჩეუ-  
ლად უპრეტენზიოა და იმიტომ კი არა, რომ არაფერი დაუმსახურებია, უფრო იმიტომ,  
რომ რაც გაუქეთებია, თავის მოვალეობად თვლის, მოვალეობის შესრულება კი გახს-  
კვირ და განსაკუთრებულ საქმედ არ მიაჩნია.

ლამაზი ცხოვრების გზა განვლო ანატოლი ლეშჩევი, მამაცი, პატრიოტ-ინტერნა-  
ციონალისტი კაცის გზა.

მის პირად არქივში ბევრს საინტერესოს ნახავს და გამოარჩევს კაცი. მაგრამ უპირ-  
ველესი მაინც ის წერილია, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-  
მის თავმჯდომარე მ. კალინინი და პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი აწერენ ხელს.

გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის  
დავალებათა სანიმუშოდ შესრულების, გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ  
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თქვენ მოგენიქათ საბჭო-  
თა კავშირის გმირის წოდება, ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის  
გადმოცემით, — კვითხულობთ დრო-ჟამისაგან გაყვითლებულ წერილში.

21 წლისა იყო მაშინ ანატოლი ლეშჩევი. ცოტა ვინმეს თუ მოუხდია ამ ასაკში ასე  
ვაჟკაცურად მამულის ვალი. ცოტა ვინმეს თუ მოუხწრია ასე ამაღლება.

1944 წლის აგვისტო იდგა. პირნაბრუნები მტერი დროდადრო ისევ ძალიანდებო-  
და. ასე მოხდა ტატარბურართან, ქალაქ იზმაილის ახლოს. პოლკოვნიკ ნ. ზავიადო-  
ვის წითელდროშოვანი, სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენოსანი კრამატორსკის მე-  
ხუთე გვარდიული მექანიზებული ბრიგადა მუსრს ავლებდა ფაშისტებს. ახლა ადვილი

სათქმელია, თორემ რამდენი სისხლის, სიცოცხლის ფასად ჯდებოდა ეს, რა ვაუკაცობა, სიფრთხილე თუ გამბედაობა იყო საჭირო ყოველი ფეხის ნაბიჯზე.

მყუდროება არსაიდან ირღვეოდა. ხანდახან ქარი თუ ააშრილებდა სიმინდის ყანას. არტილერისტები და რამდენიმე მეავტომობილე ყორღანზე ავიდნენ, რომელსაც გზატკეცილი ჩაუდიოდა.

ჩქარობდნენ. 76-მილიმეტრიანი ქვემეხი უნდა გაემართათ. გვარდიის უფროსმა სერგენტმა ანატოლი ლეშჩევმა სწრაფად შეაფასა ვითარება და ყველას თავისი საქმე მიუჩინა.

დიდხანს ლოდინი არ დაგვიკირვებია. იგონებს ვეტერანი, მტერმა ჯერ ცხენოსნები შემოგზავნა დაზვერვაზე და საფრთხე რომ ვერ იგრძნო, ქვეითი ნაწილიც მოაყოლო. წინ საქურვლით დატვირთული ოთხთვალეები მოუძღოდათ. არხეინად მოდიოდნენ. ახლოს მოგუშვით, ასე 400-500 მეტრზე. უკვე საავებსაც ვარჩევდით, თვითდაჯერებული ლაპარაკის ხმაც აღწევდა ჩვენამდე.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

— ცეცხლი! — გაისმა ახალგაზრდა მეთაურის მკექარე ხმა.

ქურვი პირდაპირ ოთხთვალას მოხვდა და ნაკუნ-ნაკუწ აქცია.

ისევ ზუსტი გასროლა, ისევ!...

მტერი პანიკამ მოიცვა. დაფეთებული ჯარისკაცები აქეთ-იქეთ აწყდებოდნენ, ამასობაში ჩვენები ცეცხლს აძლიერებდნენ, ზუსტად ურტყამდნენ მიზანში. ერთგან მონგრეხებული ადგილი შეარჩიეს და ფეხის მოკიდებაც სცადეს ფაშისტებმა, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს.

ამასობაში ჩვენებმა მტრის ბატარეა ამოიღეს მიზანში. პირველი გასროლა ზუსტი გამოდგა, ამას მოჰყვა მეორე, მესამე გასროლა და ბატარეაც სამუდამოდ დადუმდა.

თითქოს სულის ამოთქმის საშუალება მიეცათ. თუმცა არა, მტერმა ახლა კავალერიის ესკადრონი ჩართო ბრძოლაში, მაგრამ ტანაყრილი სიმინდის ყანებში ცხენები მალე დადგნენ.

— მტრისათვის შენდობა არ არსებობს! — უთხრა ამხანაგს ანატოლიმ, ავტომობილს დასტაცა ხელი და ანიშნა. მომყვებო. შეუმჩნევლად უახლოვდებოდნენ ცხენოსნებს, მათ კვალს გაჰყვნენ სხვებიც. სათოფეზე რომ მიუახლოვდნენ, ცეცხლი გახსნეს. ავტომობილის ყოველ ჯერზე მოცელილივით ცვიოდნენ მტრის მხედრები.

— მტრისათვის შენდობა არ არსებობს! — გამოსტრა ანატოლიმ, წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი გადაიბრინა, მამაც მეთაურს მებრძოლებმაც მიბაძეს, კიდევ რამდენიმე მოკლე გადარბენა და ლეშჩევმა თვალებს არ დაუჯერა. მოტიტვლებულ ადგილზე გროვად ეყარა იარაღი, დამარცხებული ფაშისტები საცოდავად ჩამწყრივებულიყვნენ და შეშინებულები ელოდნენ განაჩენს. 100-მდე ოფიცერსა და ჯარისკაცს ბრძოლის გაგრძელება უაზრობად ჩათვალა და ტყვედ დანებება გადაწყვიტა.

ასე ჩაიღინა 21 წლის ამურისპირელმა ჯაბუკმა გმირობა უძველეს ქალაქ იზმაილოვთან, გმირობა, რომელიც ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავით“ აღინიშნა, ასე შევიდა მისი სახელი სამშობლოს დამცველთა სახელოვან მატრიანეში.

და ეს ამბავი თავად ანატოლი ლეშჩევმა შორეულ ავსტრიაში შეიტყო 1945 წლის მაისში, როცა მის მკერდს უკვე ამშვენებდა წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები საბრძოლო დამსახურებისათვის, „ბულგარეთის განთავისუფლებისათვის“, „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, მალე ამას კიდევ ერთი მედალი დაემატა — „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ცხრა წელიწადია ჩვენი ქალაქის მკვიდრია ანატოლი ლეშჩევი. ცხრა წელი არც ისე ბევრია, მაგრამ ამ გულითაღმა კაცმა ისე გაითვისა ჩვენი მხარე, ისე შეეჩვია

ჩვენს ადამ-წესებს, იმდენი ამხანაგი და მეგობარი გაიჩინა, რამდენიც ზოგჯერ ძველისძველ ბათუმელსაც არა ჰყავს.

დაულალავი კაცია ანატოლი ლეშჩევი. შინ იშვიათად ნახავთ, მუდამ ახალგაზრდებსაცენ მიუწევს გული. მათთან ყოველი შეხვედრა მოვლენაა მისთვის. ტყუილად ჰგონია ზოგიერთს, დღევანდელი ახალგაზრდობა უწინდელს ჩამორჩებაო, არ არის ეს სწორი, ამბობს ვეტერანი, იქნებ ჩვენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს რაღაც არ მოგვწონს. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც არ გვესმის ისე, როგორც საჭიროა, რაღაცაში ვერ ვუგებთ ახალგაზრდებს.

ამას წინათ ბათუმის № 1 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს ვეწვიე, მიიხრა ანატოლი ალექსის ძემ კარგ ბიჭებს შევხვდი, გულითადად ვისაუბრეთ, ძირითადად დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50 წლისთავის ზეიმზე. ის, მძიმე დღეებიც გავიხსენეთ. გაფაციცებით ისმენდნენ მომავალი მებრძოლები. ვიგრძენი, როგორ ეამაყებათ, რომ სწორედ მათი სამშობლოა ის ქვეყანა, რომელმაც ფაშისტების ვერაგობისაგან იხსნა კაცობრიობა, რომ სწორედ მათი მამები სწირავდნენ სიცოცხლეს მამულის თავისუფლებას, ოქტომბრის მონაპოვარის გადარჩენას, მომავალ მშვიდობას, აგერ 40 წელიწადია რომ გრძელდება, აგრერივად ვუფრთხილებით.

იმაზეც ვილაპარაკეთ, საერთაშორისო იმპერიალიზმი რომ ძაბავს ვითარებას, ნატოს მმართველი წრეები სახიფათოდ რომ აყდარუნებენ იარაღს. ჩვენი სახელმწიფო ყოველივე ამას სამშვიდობო ღონისძიებებს უპირისპირებს და მედგრად დარაჯობს ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას.

ასეთი შეხვედრები აუცილებელი, საჭირო და სასარგებლოა. ომის შემდეგ დიდი დრო გავიდა, ახალგაზრდებმა ყველაფერი როდი იციან. ზოგჯერ ბუნდოვანი, არასწორი წარმოდგენები აქვთ მოვლენებზე, ყურმოკრულის მიხედვით მსჯელობენ რთულ საკითხებსა და პრობლემებზე. ჩვენ, ვეტერანებმა თუ არა, ვინ უნდა შეიტანოს ამ საქმეში სიტყვადე!

დავევმშვიდობა, მაგრად ჩამოგვართვა ხელი. მხნე ნაბიჯებით გასწია. წლების სიმძიმე არც კი ეტყობა, ომის ქარტეხილმა რომ გადაუარა. მიდის უბრალოდ, შეუქმნე-ვლად, გმირობა არც ჩაუდენია, თითქოს...

თავაზუ გენძეხაძე

## 139 საბრძოლო გაფრენა

როცა ჩვენმა სამშობლომ მოსკოვთან გამარჯვების 40 წლისთავი იზეიმა, ლენინის, წითელდროშოვანი და სუვოროვის ორდენისაღნი მოიერიშეთა სახელგანთქმული მეექვსე ავიაპოლკის მებრძოლთა შორის გიორგი ინასარიძეც იყო.

— ჩვენს პოლკში, — გვითხრა მეექვსე ავიაპოლკის ყოფილმა მეთაურმა, ვადამდგარმა გენერალ-მაიორმა ლეონიდ რეინომ, — იბრძოდა გიორგი ინასარიძე — ბრწყინვალე მფრინავი და დიდებული მეგობარი, რომელიც ყველას გვიყვარს. სულითა და გულით ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლეს.

სამწუხაროდ, ამ სურვილის აღსრულება გიორგის არ ეწერა. გასული წლის თებერვალში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

გიორგი ინასარიძის ბიოგრაფია ჩვეულებრივია 30-იანი წლების ახალგაზრდისა-

თვის. იგი 1920 წელს დაიბადა ხარაგაულის (ამჟამად ორჯონიკიძის) რაიონის სოფელ ვარაწში, 1936 წელს დაამთავრა ბორჯონის არასრული საშუალო სკოლა, ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შევიდა და პარალელურად კლუბშიც სწავლობდა.

1938 წელი. აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატი გიორგი ინასარიძეს კომკავშირული საგზურით სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში გზავნის. იგი წარმატებით ამთავრებს მას და სამხედრო-საჰაერო ძალების უმცროსი ლეიტენანტის წოდებას იღებს. როგორც სანიმუშო კურსანტსა და უნარიან პილოტს, გიორგის სასწავლებელში მფრინავ-ინსტრუქტორად სტოვებენ.

სამშობლოს ზეცას შავი ღრუბლები გადაეფარა. დაიწყო გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთან სამკედრო-სასიცოცხლო ომი. გიორგი პირველივე დღიდან ქვეყნის დამცველთა რიგებშია, მტერს ებრძვის ჯერ როგორც რიგითი მფრინავი, შემდეგ ხდება უფროსი მფრინავი, რგოლის მეთაური, ესკადრილიის მეთაურის მოადგილე, ესკადრილიის მეთაური, პოლკის უფროსი შტურმანი.

პირველი საბრძოლო ნათლობა სწორედ მოსკოვის მისადგომებთან მიიღო. იგი სობოდა მტრის კოლონებს, გააფთრებით რომ მოიწევდნენ დედაქალაქისაკენ, უტევდა მათს პოზიციებს. ბრძოლაში იზრდებოდა ახალგაზრდა მფრინავის ოსტატობა.

დავალებას დავალება მოსდევდა. ერთ-ერთი საჰაერო შერკინებისას გიორგი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა განაგრძო, საოკარი სიმამაცე გამოავლინა. შემდეგ კანონზომიერი იყო: 1942 წლის 23 სექტემბერს მის მკერდზე წითელი ღროშის ორდენი აკიფდა.

მოსკოვთან საბჭოთა ჯარებმა მტრის ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს, შემდეგ კი კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ჩვენი ნაწილები მოსვენებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს არც დღისით და არც ღამით, მფრინავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ მის უკანდახეულ ქვეგანაყოფებს. ქალაქ რუევის რაიონში სანაქებოდ მოქმედებდა გიორგი ინასარიძის 4-თვითმფრინავიანი ჯგუფიც. ბრძოლები სულ უფრო მძაფრდებოდა. ქვეით ჯარს გამუდმებით სჭირდებოდა ავიაციის მხარდაჭერა. ფრონტის სარდლობამ გიორგი ინასარიძეს უბრძანა ძლიერ გამაგრებულ პუნქტში აღმოეჩინა და გაენადგურებინა მტრის საცეცხლე წერტილები. ჯგუფმა დავალება შეასრულა, მდინარეზე ფაშისტების გადასასვლელიც მოსპო და კურსი თავის აეროდომისკენ აიღო. გზაზე ხუთი გერმანელი სვაი დაესხათ თავს. ინასარიძის ბიჭებმა უკუაქციეს მოწინააღმდეგე. ამ მძიმე დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის გიორგი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ეს იყო ბელორუსიაში 1943 წლის ზამთარში. გერმანელთა ჯარებმა ალყა შემოარტყეს პარტიზანების დიდ დაჯგუფებას. სახალხო შურისმგებლებს არ ჰყოფნიდათ იარაღი, ელეოდათ ტყვია-წამალი და სურსათ-სანოვავე. გიორგის რგოლს დაევალა პარტიზანების მომარაგება. მფრინავებმა აღმოაჩინეს პარტიზანების ადგილსამყოფელი და ძვირფასი ტვირთი ჩამოუგდეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, მტრის თვითმფრინავებმა გამძაფრებით შემოუტყეს. ჩვენი არწივები თავიანთ აეროდრომზე ისე დაეშენენ, რომ არავინ დაუკარგავთ. გიორგიმ ამ ოპერაციისათვის მეორე წითელი ღროშის ორდენი დაიმსახურა, შემდეგ მესამე. 1944 წელს სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1944 წელს შევიდა იგი სკკპ რიგებში და მთელი სიცოცხლის მანძილზე ღირსეულად ატარა დიადი ლენინური პარტიის წევრის მაღალი სახელი.

კენიგსბერგისათვის გააფთრებული ბრძოლებისას გიორგი ინასარიძე ფრონტის სარდლის ბრძანებით საბჭოთა მფრინავი-ასების სპეციალური ჯგუფის უფროსად დაინიშნა, ამ ჯგუფს დაევალა შეტყვის ყველაზე პასუხსავე უბანზე უზრუნველყო ქვეითი ნაწილების წინსვლა.


მამაცი მფრინავების მოქმედების შედეგად ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ოთხი კილომეტრით წაიწია წინ. უნარიანი დახმარების, თავგანწირულობისა და მაღალი შედეგიანობისათვის, გვარდიის უფროს ლეიტენანტს, გიორგი ინასარიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დაჯილდოების ფურცელი 1945 წლის 18 მარტს შეივსო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კი უკვე ომის დამთავრების შემდეგ — 18 აგვისტოს გამოქვეყნდა. ამიტომ ეს დოკუმენტი ჯილდოზე წარდგენამდე არსებულ მდგომარეობას ასახავს. ამ დროისათვის გიორგი ინასარიძეს 139 საბრძოლო გაფრენა ჰქონდა განხორციელებული, მათ შორის 120-ში ოთხიდან 12 თვითმფრინავამდე შედგენილ ჯგუფებს ხელმძღვანელობდა.

ომი დამთავრდა. გიორგი ინასარიძე სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. 1951 წლიდან იგი რესპუბლიკის სამხედრო კომისიის სისტემაში გადაიყვანეს და ათ წელზე მეტხანს თიანეთის ბორჯომისა და რუსთავის სამხედრო კომისარი იყო.

1963 წლიდან გიორგი თადარიგში გავიდა. ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. აქტიურად მონაწილეობდა მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში, ახალგაზრდობის გულსხმიერი მეგობარი და დამრიგებელი იყო.

მიხეილ მუხიძის ხატვა



## **ფოლკლორი დიდ სამამულო ომში**

დიდი სამამულო ომი საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ისტორიაში იმ განსაცდელ-თა რიცხვს განეკუთვნება; რომლის დავიწყებაც შეუძლებელია ვიდრე კაცობრიობა იარსებებს საერთოდ. ეს იყო არა მარტო საბჭოეთის თავზე აღმართული სიკვდილის მახვილი. არამედ მსოფლიოს მიმართ მკრეხელური დილემის გამოცხადება: ყოფნა ან არყოფნა! ხალხის გმირობამ ეს კითხვა პირსისხლიანი ფაშის ფაშის საზარალოდ გადაჭრა: ყოფნა სიცოცხლესა და სიკეთეს ერგო, არყოფნა და სამარე კი ფაშისმს ვაეთხარა. დიდი იყო მრავალეროვანი საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა მებრძოლების გმირობა: თავდადების რწმენით აღსავსე მეომრებს კი სამშობლოს თანდაყოლილ სიყვარულს უსაკეცებდა მხატვრული სიტყვა. სწორედ ასეთ შთამაგონებელ და მისტიმულირებელ განძად შემორჩა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ხალხური ლექსები, რომლებიც ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული არაერთი მეომრის გულის ჯიბეში უნახავთ, ხან ტყვეთა დაცხრილული და ხან სისხლით შეღებილი.

ზოგს ბარათით, ზოგსაც გონებითა და გულით დაჰქონდა სახალხო მეღეჭსეთა საუკეთესო სტრიქონები, მეომრული გასაჭირისა და განსაცდელის უამს გულის გასამაგრებლად, გასამხნეველად, თავდადებისა და გმირობისათვის სულისა და გრძნობის ასანთებ-ასაბრიალებლად.

დღეს, როცა ფაშის დამხობა-დასამარების 40 წლისთავს ვხეიმივით დირს წყითთ თვალი გადავავლოთ აჭარის ხალხურ მთქმელთა ზეპირ შემოქმედებას. ჩვენც მოვიგონოთ და ჩვენს სათაყვანებელ ჭაღარა ვეტერანებსაც მოვაგონოთ, ვინც ახლა რადიოსთან სხედან და წარსულ გმირობაზე თვით ერთი სიტყვის გაგონებაზეც გულს სიამაყე უცხებთ — ჩამეთუ, არაფერია დავიწყებული ამ გმირობისაგან!

ომში დედის ჩალაგებულ საგზალთან, მეუღლის მოქსოვილ ჭრელ წინდასთან, მაძის ბრძნულ-ვაჟაკეთი დარიგებასთან და ბაღების შიშჩამდგარ მშერასთან ერთად ვაჟაკებს ფრონტზე სახალხო მთქმელთა ლექსებიც მიჰქონდათ, ზოგის პირველმთქმელი უკვე მიწას ესვენა, მაგრამ ლექსი ლექსობდა და პატრონის მაგიერ იდგა საბრძოლო მწყობრში. ან კი როგორ დავიწყებდა ქობულეთიდან წასული პირტიტველა ჭაბუკი ცნობილი სახალხო მეღეჭსა მემედ ჭყონიას ამ სიტყვებს:

სამშობლოს მიწის ნამცეცი  
ყოველ სხვა განძზედ ძვირია.  
მას მკერდით დავეჭარებო,  
ვინდ ვიქნე განავშირია;  
მისთვის ვშობილვარ, გავზრდილვარ,  
ხიცოცხლედ მისთვის მჭირია.

მისთვის ლხინად მიჩნს ყოველი,  
ტანჯვა და გასაჭირია.  
თუ ვინდა გულში ჩამერკოს  
მახვილი ამოწვდილია;  
არვის დაუთმობ სამშობლოს,  
ვარ მისი ღვიძლი შვილია...

თავისი მაღალპატრიოტული სულისკვეთებით ეს ლექსი ეხმიანება სულმანთი რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას“. თავად განსაჯეთ:

ჩემში კახაბრის სისხლი სჩქევს,  
გმირ-უშიშარი ქართველის.  
დე, მოვკვდე ოღონდ სამშობლოს  
შუქს ჰჭენდეს სხივი ნათელი.

სამშობლო, ჩემი სამშობლო  
დედის უბეზე თბილია.  
არვის დაფუთობ ამ უბეს,  
ვარ მისი ვამოზრდილია!

სახალხო მთქმელების გამჭირაბ გონებას შეუმცდარად გამოჰქონდა დასკვნები. თუ რა ძალა აღუღაბებდათ თხუთმეტი მოძმის შვილებს ვერაგ მტერთან ბრძოლაში. სწორედ ამას გულისხმობს ხასან ხაბაზის ლექსი: „კომპარტიის ძლიერებით“:

ოქტომბრის შუქი გვიწათებს  
დამშვენებულ არე-მარეს.  
სამშობლოს თავისუფლება  
ნეტა ვის არ გაახარებს!  
დიდი ოქტომბრის ზეიმი  
ათასფრად გაფურჩქნულია.

თხუთმეტ ძმად შეფიცულია  
ერთი ძალა და გულია.  
კომპარტიის ძლიერებით  
და გმირობით ბრძოლის ველზე, —  
მშრომელმა ხალხმა ბრწყინვალედ  
გავიმარჯვეთ ვერაგ მტერზე.

არა, არ ჰქონია სურვილი საბჭოთა ადამიანს სისხლისღერისა, ვერაგი მტერი მო-  
ჰკლა და წესი აუგო იმიტომ, რომ არ შეეძლო არ მოეკლა. სწორედ ეს არის გამძღ-  
ვნიებული ცნობილი სახალხო მთქმელის, მელექსეთა გვარის ღირსეული წარმომადგე-  
ნელის თოფია ქათამაძის უფროსი ძმის — მემედ (მამია) ქათამაძე-ჭვანელის ლექსში  
„ქართველის სიმღერა“:

მე რომ გაღმა არ გაწუხებ, შენ აქ რად ხარ ციხის კართან,  
ძალად მეჭრები სოფელში, არას ანთხევ შხამის გარდა.  
რა დაგიზავე, არ ვიცი მიჯნას რომ ამხადე ფარდა,  
მაგრამ მარტო არ გეგონო, გეახლება ჩემის გარდა.  
ლაშქარი მეტი გაგაჩნის, თანაც ყოფილხარ ცბიერი,  
მაგრამ მე ვიცი შენზედა ძმობით ვიქნები ძლიერი.  
შენ თუ ოჯახი ვიწრო გაქ, და ეზო არ მშვენიერი,  
ვინა სთქვა, რომ მე გირჩინო ცოლ-შვილი შენი, მშვიერი?!  
მამული ასაოხრებლად კარს მოდგა გაშმაგებული.  
ვისაც ქონება ყოველი მარტოდენ მისად ეგულვის.  
ვერაგი და მოღალატე, სინდისზე ხელაღებული,  
რომ არ მოკლა, უნდა გქონდეს მართლაც ხელები შეკრული.  
ძმლავრია ჩემი ქალაქი, სოფელიც განელებული,  
მარტო ვუკაცი კი არა, დიაციც ამხედრებული.  
შეუპოვარი, მედგარი, ბრძოლაში გამხნევებული,  
და ჩემი ტკბილი მამული ოცნებით აყვავებული.

კადევ უფრო შთამაგონებელია მისი უმცროსი ძმის თოფია ქათამაძის იმღრონი-  
ღელი ლექს-სიმღერები. მან პირველმა აქცია ლექსის ობიექტად პირველი გმირი აჭა-  
რიდან — ისრაფილ ჭინჭარაძე, შექმნა ლექსი „სიმღერა ისრაფილ ჭინჭარაძეზე“.

აჭარის მთებს აუზრდინარ,  
შავ ზღვის პირ მახინჯაურთან.  
პირველი გმირი აჭარის

არწივად ჰყავხარ მამულსა.  
აჭარა შენით ამაყობს,  
მტერს უმტვრიე ავი კბილი.



რა დედას გამოუზრდინარ,  
 გმირი. საამაყო შვილი.  
 გვესმოდა, ვისაც შევები,  
 ქრებოდნენ როგორც მტვერია.  
 რჩებოდა გვაში მდელოზე,  
 უვაგების სახარელია.  
 შენგან მოქნეულ ყუმბარას  
 მტრის შტაბი დაურღვევია.  
 ის, როგორც ქაჯეთის ციხე,

ტარიელს დაგინგრევია.  
 მალლით სხივებში ნავარდობ,  
 ახლოს ხარ მზისა თვალისა.  
 არწივისებურ ნავარდობით  
 მამდ გაჰყოლიხარ ჩკალოვსა.  
 ვიცით, აღუთქვით სამშობლოს  
 არც მესს უშინდით, არც ქარებს.  
 ეკვდავ გმირობად დარჩება  
 რაც მტერზე გაილაშქარეთ...

სახალხო მთქმელის ერთი ქმნილება, რომელიც „გამარჯვების ლექსის“ სახელით არის ცნობილი, დღესაც მოგზაურობს ზეპირსიტყვიერებაში ვარიანტების სახით. მისი ერთი ვარიანტი ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

მოსკოვს შეჭარის მსოფლიო, ვით მზისკენ შენამზირები,  
 და როგორც ცაზე ვარსკვლავი, გამრავლებულან გმირები.  
 ვინც სხვის მონობას ლამობდა, იმას სამარე ეღირსა,  
 ვერ გაძლო, გულმა მამღერა სიმღერა გამარჯვებისა.

აჭარის სახალხო მელექსეთა შედარებით უმცროსი წარმომადგენლის ზეირალ-ბახუნტარაძის ლექსში „იმ გმირების ბუდე იყო“. ვკითხულობთ:

ერთ გორაკზე ფიცი დადო  
 ოცდახუთმა ძმადნაფიცმა:  
 მოკვდეთ, მაგრამ ეს გორაკი  
 ვერ ჩაიგდოს ხელში ფრიცმა.  
 მოკვდნენ მაგრამ, შეასრულეს  
 ვაუკაცური მათი სიტყვა,

ვერ აიღო მტერმა გორა,  
 ვერ იხილა იგი მიწა.  
 იმ გორაკზე წმინდა დროშა  
 ფრიალებდა სასოებით.  
 სამშობლო კი გმირთა სახელს  
 წერდა ოქროს ასოებით.

განვლილი განსაცდელებისა და გარდახდილი ბრძოლის გამოძახილია ასახული ზეირალ-ბახუნტარაძის მეორე ლექსში „თხუთმეტი ხმა“.

ერთ კავშირში ტკბილად ცნოვრობს  
 თხუთმეტი ძმა შეფიცული,  
 მეგობრობამ შეაერთა  
 ჩვენი სული, ჩვენი გული.  
 ჩვენს დროშაზე აწერია  
 სამუდამო მეგობრობა.  
 ურთიერთ თანასწორობა,  
 ერთად შრომა, ერთად ბრძოლა.  
 მტერი ბევრჯერ შეეცადა  
 დაეშალა ეს კავშირი.  
 ჩვენ კი უფრო შევმჭიდროვდით,  
 ვძლიეთ ყველა გასაჭირი.

ერთად ვართ, ერთად ვიქნებით,  
 სამუდამოდ შევიფიცეთ.  
 ჩვენ სამშობლო-საბჭოეთი  
 დავიცავით, განვამტკიცეთ.  
 სხვისკენ მტრულად არ მივიწევთ,  
 გვსურს მშვიდობა, მეგობრობა.  
 თუკი ვინმე არ მოითმენს,  
 გაგვიჩაღებს შურს და მტრობას:  
 წინ დავხვდებით მოსულსა მტრებს,  
 გმირი ხალხის დაძახილზე.  
 რომ მტერი და ომის მნდომი  
 წამოვაგოთ ჩვენს მახვილზე.

აჭარის სახალხო მთქმელ-მელექსეთა თანავარსკვლავედში არც თუ ცოტანი არიან ქალები. ახლახან მომეცა საშუალება ჩამეწერა აჭყვისთავის მკვიდრის ასეი საბაზის ლექსები. ამჯერად მის ერთ ლექსს გაგაცნობთ... მთქმელს ეს ლექსი ჯარისკაცის ქვრივზე წარმოუთქვამს. ვერაფერს იტყვი, ქალის სატკივარ-საწუხარი ქალს უგრძვნია პირველად და არც თუ ურიგოდ:

შვირყა ზეცა და მიწა,  
მოწყდა ვარსკვლავი ცაშია.  
სტირიან ჯარის მქვრივები,  
ქმარებს ელიან სახლშია.  
მზე ამოდის და კვლავ ჩადის,  
არ უთენდება მქვრივსაო.  
იტანჯებიან დღე-ჟამით,  
ხელი არ აცდეს შვილსაო.  
მშვიდობის ზარსა უსმენენ,  
მუდამ უგდებენ ყურსაო.  
იბრძვიან, ხეტიალობენ.  
ეძებენ ლუკმა პურსაო.  
როგორ ატირდა დედები,  
ჩამოგავს წვიმის დვარსაო.  
შებოვლან შავს მაზარებში,  
კაბით იწმენდენ თვალსაო.

ვინ მოიგონა ეს ჯახი,  
რომ დრო დაეცეს ძირსაო,  
მოისპოს ჩვენში სიმართლე,  
ძალა მოაკლდეს შვილსაო.  
მკვლავ დაგვიბრუნდა მშვიდობა,  
ზოგისთვის ისევ ბნელაო.  
შინ მოუსვლელთა მქვრივები  
ისევ სტირიან ყველაო.  
ზოგმა ვაჟები დაზარდენ,  
ზოგმა კი კარგი ქალები.  
ვაჟკაცურ გამოიტირეს  
ოქში ნაბრძოლი ქმარები.  
დეილოცოს მათი მარჯვენი,  
ვინც არ დაკეტა კარები.  
და მაინც გზისკენ უქირავთ  
შავი ლამაზი თვალები.

და ბოლოს, მინდა აჭირის სახალხო მელექსე-მთქმელთა პატრიოტულ ლექს-სიმ-  
ღერებზე ეს ჩემი მოკლე საუბარი ისევ მემედ ჭყონიას ერთი შესანიშნავი ლექსით  
დავასრულო:

„მამულო!“ — ასე ჰქვია ამ ლექსს:  
საოცნებო ჩემო მხარევ,  
ბრძოლით, შრომით განაზარდო.  
თვალწარმტაცო მთა და ველო,  
საბადნარო იავ-ვარდო.  
ფიროსმანის ფუნჯის წვერით  
დახატულო ცა-ლაჟვარდო.  
ნათელ აზრთა და გონების  
საფრენო და სანავარდო.  
შემართულო ბასრო ხმალო,  
გმირ მამულის ამაგდარო.  
გორო, ქართველის მეთაურო,  
ქართველის გავშნად გამომდგარო.  
კავკასიის მწვერვალებო.  
არწივების საბუღარო.  
სასახელო ასულებო,  
ვაჟკაცებო, ლომის დარო.

ბედნიერო სიმოხუცევ,  
და ბავშვობავ, ნაცისკრალო.  
მილიონთა წრფელ გულეებში  
ნაშობო და ნაფიქრალო.  
**ბედნიერო მომავლო,**  
და ბუნებავ, ეშხით მთვრალო.  
საყვარელო საქართველოვ,  
მარგალიტო, ნატვრისთვალო.  
შენ გიმღერი, ეს სიმღერა  
ისე არ უღერს, როგორც მინდა.  
მას ის სიტბო ვერ მივეცი,  
როგორც მაქვს გული წმინდა.  
შენის სიტურფ-სილამაზით  
წრფელი გული გამიბრწყინდა.  
მე სიცოცხლე და სიმღერა  
საქართველოვ, შენთვის მინდა.



# კონსერტივი მომრეზისათვის



1941 წელი. აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლის სა-  
მხატვრო ხელმძღვანელი იყო კომპოზიტორი ა. ფარცხალაძე, ხალხური სიმღერების  
ხელმძღვანელები ა. ერქომაიშვილი და ჯ. რურუა, ქორეოგრაფი ე. დოლიძე, ხოლო  
დირექტორი ა. მიწელთაძე, სავსტროლოდ ემზადებოდა საქართველოს რაიონებში,  
აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. მისის შუა რიცხვებში ვიყავით კი-  
დევაც აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფ-  
ლებში. ქუთაისიდან 19 ივნისს ჩავედით თბილისში. 20 ივნისს კონცერტი გავმართეთ  
ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. კონცერტს წარ-  
მატება ხვდა.

22 ივნისს ომი დაიწყო... ანსამბლი იძულებული გახდა სავსტროლო მოგზაუ-  
რობა შეეწყვიტა და ბათუმში დაბრუნებულიყო. კოლექტივის ბევრი წევრი მაშინვე  
გამოცხადდა გასაწვევ პუნქტში. და ფრონტზე წავიდა.

თვენახვერის შემდეგ აჭარის ხელოვნების სამმართველოს დაავლებით შეიქმნა სი-  
მღერისა და ცეკვის მინიატურული საესტრადო ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელი  
ა. ჯიჯეიშვილი იყო. წევრებად მიიწვიეს ე. ხაბაძე, თ. მიქელაძე, ნ. ნანადირაძე, ა. სე-  
რბერიაკოვა, ლ. ლუკაშვილი, ნ. დოლიძე, გ. ჩიხლაძე, ე. დერკაჩი, ა. ქუთათელაძე, ტ.  
სტეპანიანი, ა. ბოლქვაძე, ლ. მაკალათია, ე. რეზელიანი, კ. კემინჭიანი, ბ. მაგროვი,  
ამ წერილის ავტორი და სხვები. რეჟისორ გ. მრავლაძის ინიციატივით მომზადდა მრავ-  
ალფეროვანი საკონცერტო პროგრამა — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები და  
ცეკვები, რომლებიც სრულდებოდა ხალხურ საკრავებზე, რა თქმა უნდა, პროგრამა  
სამამულო ომის თემას ეძღვნებოდა. პირველი კონცერტი გავმართეთ ბათუმში, ჩვენს  
გამოსვლას წარმატება ხვდა. ანსამბლის წევრებიდან გამოირჩეოდა მოცეკვავეთა  
ჯგუფი ა. ჯიჯეიშვილის, ე. ხაბაძის, თ. მიქელაძის, გ. ჩიხლაძის შემადგენლობით. პრო-  
გრამის დიდი ნაწილი დაეთმო ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომელიც სრულდებოდა  
ფანდურზე. სულ ანსამბლი 20-მდე მონაწილისაგან შედგებოდა. ბევრმა მათგანმა  
სწორედ მაშინ, სამამულო ომის დღეებში დაიწყო შემოქმედებითი გზა.

1942 წელს ანსამბლი საშეფო კონცერტებს მართავდა ბათუმის გარნიზონის მე-  
ბრძოლეებისათვის, არმიისა და ფლოტის მოქმედი სამხედრო ნაწილებისათვის. კო-  
ლექტივმა იმოგზაურა აჭარის რაიონებშიც. საშეფო კონცერტებში მონაწილეობდნენ  
პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორები, იდეოლოგიური ფრონტის მუშა-  
კები, რომლებიც ეწეოდნენ დიდ და საჭირო მუშაობას მშრომელ მოსახლეობაში.

1942 წელს ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“ სამხედრო ჰოსპიტალად გადაკეთდა.  
იმ დღეებში აქ ბათუმელები მოდიოდნენ, დაჭრილი მებრძოლეებისათვის მოჰქონდათ  
ყვავილები, ხილი, სურსათი, ზოგი მათგანი თავისიანს ეძებდა — მამას, ძმას, ქმარს,  
ჩვენი ანსამბლი კონცერტებს მართავდა დაჭრილი მებრძოლეებისათვის. მათ ხომ  
სხვებივით ესაჭიროებოდათ მუსიკა, სიმღერა, ცეკვა... დაჭრილებს ძალიან მოსწონდათ  
ქართული ცეკვები, განსაკუთრებით „მძური“, „ფარიაობა“. რომელთა დადგმა გან-  
ხორციელა ე. ხაბაძემ. უნდა გენახათ, როგორი აღფრთოვანებული ხვდებოდნენ თი-  
თოეულ ნომერს დაჭრილი მეომრები.

მაგონდება ერთი ეპიზოდი; ჩემს რეპერტუარში შედიოდა სიმღერები: „საღამო  
რეიდზე“, „მიწური“, „მელოდე“ და სხვა. როცა „მიწურს“ ვმღეროდით, ტექსტში იმ-

დენი სიობო და სინაზე იყო, მსმენელებს თვალები უნებლიედ ცრემლით ევსებოდათ, ოვაცია ამართებოდა. თუ ერთი დაჯრილი იატაკს ყავარჯინებს ურტყამდა, მეორე მხოლოდ სახით გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას, რადგან უხელო იყო. მძიმე იყო ამ სურათის ცქერა, მაგრამ მსახიობები ყველაფერს ვაკეთებდით დაჯრილი მებრძოლებს ბის გასამხნეველად, სიცოცხლის სიყვარულის დასაბრუნებლად.

ანეთივე სურათი იყო ქობულეთშიც. ვმდებოდით აკორდიონისა და ქართული ინსტრუმენტების თანხლებით, ზოგჯერ დაჯრილი მებრძოლების საწოლზე ჩამომჯდარი.


ჩვენი ანსამბლი ხშირად კონცერტებს მართავდა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებზე, მუშაობა ძნელი, მაგრამ საინტერესო იყო, თითქმის ყოველ დღე ორ-სამ კონცერტს ვმართავდით გემებზე.

ერთხელ ნაღმოსან „ხარკოვზე“ გავგავზავნეს, ხომალდზე დანიშნულ დროზე გამოვცხადდით, მაგრამ ავადმყოფობის გამო არ გვახლდა აკორდიონზე დამკვრელი. სასწრაფოდ ბათუმის სახელმწიფო ცირკიდან პიანინო გემბანზე გადავიტანეთ. კონცერტი საათნახევარს გაგრძელდა. შემდეგ კაპიტნის თანაშემწემ მადლობა გადაგვიხადა და მიგვიწვია სადილზე. როცა ნაპირზე აღმოვედით, პიანინო გემბანზე დარჩა. რადგან ვერ მოასწრეს მისი გადმოტანა რადგან, როგორც შემდეგ გვითხრეს, სასწრაფოდ დავალების შესასრულებლად წასულან. დაახლოებით ოცი დღე სახელმწიფო ცირკის პიანინო შავ ზღვაში „ასრულებდა“ სამხედრო ოპერაციებს, პიანინო არაერთხელ ზღვაში კინალამ გადავარდინია, როცა „ნაღმოსანმა“ წარმატებით დაამთავრა საბრძოლო დავალება და ბათუმში დაბრუნდა, კვლავ მიგვიწვიეს კონცერტის გასამართავად და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა პიანინო ცირკს.

დიდი ოქტომბრის 25-ე წლისთავზე ჩვენი ანსამბლის სამი კონცერტი დაიგეგმა სამხედრო სატრანსპორტო გემ „ლვოვზე“, კრეისერ „კრასნი კავკასზე“ და სახაზო ხომალდ „სევასტოპოლზე“, 8 ნოემბერს დილით ზღვის ნაპირზე შევიკრიბეთ, იქედან კატერით გავემართეთ. გემ „ლვოვზე“ კონცერტი დაიწყო. მებრძოლებსა და ანსამბლის თითოეულ წევრს შორის სუფევდა საზეიმო განწყობილება, გამარჯვების მტკიცე რწმენა. მეორე კონცერტი კრეისერ „კრასნი კავკასზე“ გაიმართა, რომლის ეკიპაჟი ძალზე გულითადად შეგვხდა. თითოეულ ნომერს გვამეორებინებდნენ. კონცერტის შემდეგ კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ მ. ზინჭარაძემ მადლობა გამოგვიცხადა და გვისურვა წარმატებები შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

სახაზო ხომალდ „სევასტოპოლზე“ კატერით გავემგზავრეთ. აქ დაგვხდნენ რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ამ საზეიმო დღეებში მეზღვაურებთან შესახვედრად მოსულიყვნენ. გემზე გადასვლისას სასცენო ტანსაცმელი არ გამრგვიცლია და კონცერტი მაშინვე დაიწყო. წარმატება დიდი იყო. განსაკუთრებით მოსწონდათ ცეკვა „ქართული“ ე. ხაბაძის და ლ. ლუკაშვილის შესრულებით. შემდეგ ხომალდის მეთაურმა მსახიობები კაიუტკომპანიაში მიგვიწვია. ეს შეხვედრა თითოეული ჩვენგანისათვის დაუფიწყარი გახდა. იგი გადაიქცა ხალხთა ძმობის და მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად.

შავი ზღვის ფლოტის მფრინავებისათვის კონცერტის გასამართავად რომ გავემგზავრეთ, ჩვენს კოლექტივს შემოუერთდა ქ. არმავირის ევაკუირებული თეატრის მსახიობები გ. ბელეცკაია და გ. გოლდინა. კონცერტს რომელსაც წარმატება ხვდა დაესწრო უფროს და უმცროს ოფიცერთა შემადგენლობა. აქვე დაისვა საკითხი — ჩვენს ანსამბლს მომსახურება გაეწია შავი ზღვის აუზის მფრინავებისათვის. ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდა. გამგზავრების დღეს სამხედრო ტანსაცმელი ჩავიცვით, გამოგვიყვეს გადახურული სატვირთო ავტომანქანა, მოგვამაგრეს შავი ზღვის ფლოტის პოლიტიკანყოფილების წარმომადგენელი და გასტროლები დაიწყო.



სოხუმის გზაზე, ერთ-ერთ აეროდრომზე, გაიმართა იმპროვიზებული სცენა ორი სატირითო ავტომანქანის ძარაზე. კონცერტის დროს საპაერო განგაში გამოცხადდა. ცაში გამოჩნდა გერმანელების თვითმფრინავები, ჩვენი მფრინავები მყისვე შალდა და დაიშრნენ, მომხდურები გარეკეს და ჩვენი გამოსვლა წარმატებით დაგამთავრეთ. ის ღამე აეროდრომზე გავათიეთ. დილით კვლავ გზა განვაგრძეთ. სოხუმში გვთხოვეს, ერთი კონცერტი მოსახლეობისათვის გაგვემართა. დაეთანხმდით, ლ. ლუკაშვილი და ე. ხაბაძე — ასრულებდნენ ცეკვა „ქართულს“. ა. ჯიჯიშვილი, თ. მიქელაძე და ე. ხაბაძე — „ძმურს“, „ფარკაობას“, რომელთა ე. ხაბაძისეულ დადგმას მაყურებელი დიდი მოწონებით ხვდებოდა. სხვა სიმღერებთან ერთად შეეასრულეთ აგრეთვე „დავლური“, „სვანური“, „აფხაზური“ და სხვა. შემდეგ გვთხოვეს საშეფო კონცერტი გაგვემართა სოხუმის გარნიზონის მებრძოლებისათვის.

ღამით დაიბეჭდა აფიშა, მეორე დღეს, 12 საათზე, ფილარმონიის საზაფხულო თეატრი გაივსო მებრძოლებითა და მეთაურთა შემადგენლობით. კონცერტს აქაც დიდი წარმატება ხვდა. მიუხედავად ჩვენი დაღლილობისა, მაყურებელი თითოეულ ნომერს მოწონებით ლებულობდა. საღამოს მეორე კონცერტი გავმართეთ სოხუმის მშრომელებისათვის. ადრე დილით კი კვლავ გზა განვაგრძეთ.

საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ნაუმოვის სახელობის სამხედრო ნაწილში მსახურობდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, შავი ზღვის ფლოტის მფრინავი კაპიტანი ე. რიჟოვი. ამ კონცერტისათვის მთელი კოლექტივი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოემზადა. მსახიობმა ქალებმა მოამზადეს საჩუქარი — აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოქარგული ინიციალებით. მომზადდა აგრეთვე ე. რიჟოვისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომერი, რომელსაც ნ. სანადირაძე და მე ვმღეროდით. კონცერტი ამ სიმღერით დავიწყეთ. ხანგრძლივი ოვაცია გაგვიმართეს. სცენაზე ამოვიდა თვით კაპიტანი ე. რიჟოვი, ტაშის გრიალში თითოეულ ჩვენგანს გადაგვებვია და მადლობა გადაგვიხადა. ასე დამთავრდა კონცერტის პირველი განყოფილება.

შევსვენებისას ისევ საპაერო განგაში გამოცხადდა და, ცხადია, მაყურებელმა დარბაზი დატოვა. ორი საათი ვაგრძელდა ანტრაქტი. საბჭოთა მფრინავებმა მტრის ორი თვითმფრინავი ჩამოავდეს, ამ ბრძოლას ე. რიჟოვი ხელმძღვანელობდა. ის იყო, კონცერტი უნდა დაგვეწყო, მაგრამ კაპიტანი ე. რიჟოვი არ ჩანდა. გავგაფრთხილეს, მის მოსვლამდე არ დაგვეწყო. ჩვენც ველოდით. ე. რიჟოვი დარბაზში შეხვეული ხელით შემოვიდა, თურმე პირადად მას ჩამოუგდია მტრის ორი თვითმფრინავი და თავად მკლავში მსუბუქად დაჭრილა. კონცერტის დასასრულს ჩვენმა მსახიობმა ქალებმა ვ. რიჟოვს გადასცეს მისი ინიციალებით ამოქარგული აბრეშუმის ცხვირსახოცი.

დილით კვლავ გზაში ვიყავით — ტუაფსეს მიმართულებით გავემგზავრეთ, აქაც მოვემსახურეთ სამხედრო ნაწილებს, საერთოდ ჩვენი საგასტროლო კონცერტები ომის დღეებში წარმატებით გრძელდებოდა.

საქართველოს რაიონებში მოგზაურობის დროს, გარდა ზემოდაღნიშნული რეპერტუარისა, პროგრამაში გვექონდა აჯიბეკოვის ობერეტა „არშინ-მალალანი“, რომელიც ი. კობალაძემ დადგა, 1944 წელს კი ბათუმის სახელმწიფო ფილარმონიაში რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა განახორციელა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“.

დიდი სამამულო ომის დროს ნაყოფიერი საშეფო მოღვაწეობისათვის ანსამბლის წევრები ა. ჯიჯიშვილი, ე. ხაბაძე, ა. შალაძე, ნ. სანადირაძე ლ. ლუკაშვილი. თ. მიქელაძე და სხვები დაჯილდოვდნენ მედლებით.

**ალექსანდრე შალაძე,**

აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი



დამოუკიდებლობა, დამარცხეს ჰიტლერული ფაშიზმი, კაცობრიობის პროგრესის უბოროტესი მტერი. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თავისუფლება მოუტანეს ევროპის ხალხებს, იხსნეს მსოფლიო ცივილიზაცია. მაღლიერი შთამომავლობის გულში მარად ცოცხლობს მტერთან ბრძოლაში დაღუპული მეომრების ხსოვნა. სწორედ მათი გამბრძოლის უკვდავსაყოფად აღმართულია ბათუმში დიდების ობელისკი. მის ძირში ანთია მარადიული ცეცხლი, როგორც სიმბოლო შინმოუსვლელთა უკვდავებისა.

ასობით ადამიანმა თავი მოიყარა დიდების ობელისკთან. აქვე არიან ქალაქის სკოლების მოსწავლეები, საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტები. საპატიო ყარაულში დგანან პიონერები. კვარცხლობკთან მიაქვთ ცოცხალი ყვავილები. მიტინგზე გამოვიდნენ № 8 სკოლის დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში მ. ვართანიანი, ამავე სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი გადამდგარი II რანგის კაპიტანი ვ. ხომიაკოვი, ამ სკოლის 1941 წლის კურსდამთავრებული ვ. ნუნუკიანი და მისი თანაკლასელების, შინმოუსვლელი ნიკოლოზ ჩერნიშოვის დედა გ. ჩერნიშოვა, პედაგოგი ფ. კაკაბაძე.

ხალხმრავლობა იყო 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა საძმო საფლავთან. გრანიტის ძეგლთან პიონერთა საპატიო ყარაული დგას. წუთიერი დუმილით შეკრებილებმა პატივი მიაგეს მებრძოლთა ხსოვნას, მათ საფლავებზე მიიტანეს ყვავილები.

სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა მესაზღვრეთა საფლავებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვისას დაიღუპნენ. აქ მოვიდნენ ბათუმის № 24 სკოლის პიონერები. მიტინგზე გამოვიდნენ სკოლის დირექტორი ვ. მისტაკოპულო, სამხედრო ხელმძღვანელი ა. ბოიარსკი, ჯარისკაცი -

ბირიუკოვი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს კომპოზიცია „არავინ და არაფერი არაა დავიწყებული“.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

\* \* \*

აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლ მხატვართა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა-დათვალიერება, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა. იგი მოაწყო დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების აჭარის საოლქო საორგანიზაციო კომიტეტმა, გამოფენის გახსნაზე მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენ, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენა გახსნა აჭარის პროფსაბჭოს მდივანმა გ. კიკნაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების აჭარის საოლქო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ლლონტი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი შ. აბაშიძე.

გამოფენილი ნამუშევრები მიმოიხილა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შარაშიძემ.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის; მხატვრული ქსოვილის, ქედურობის, ხეზე კვეთილობის, გამოყენებითი ხელოვნების 220 ნიმუში. ამ ექსპონატების ავტორები არიან ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონების საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსა-

სურები, კოლმეურნეები, სტუდენტები, მოსწავლეები...

დამთავლიერებელთა ყურადღებ ა ს იპრობს თვითნასწავლი მხატვრების — ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტის ნ. სურგულაძის, აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს მუშის ს. ბერიძის, პენსიონერ ა. ბელიაკოვის, ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების მუშის ლ. იუ. ხნომენკოს, ბათუმის სანებილსადგურის ექთანის ც. დიასამიძის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ბუღალტრის ს. ზა. ზიკინასა და სხვათა ნამუშევრები.

\* \* \*

„ცხაკაიას რაიონის თეკლათის სასოფლო საბჭოს დებუტატები შესანიშნავი თაოსნობით გამოვიდნენ. მათ გადაწყვიტეს შექმნან შინმოსუცვლელთა ხელნაწერი მათიანე და მოუწოდეს საქართველოს ყველა რაიონის მშრომელებს, სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, დებუტატებს, მიკროუბუნების საბჭოებს, სოფლის აქტივს, რათა შეიქმნას შინმოსუცვლელთა ხელნაწერი წიგნი, რომელიც გადასცემს შთამომავლობას სამშობლოსათვის თავდადების მაგალითებს. ეს წიგნი პატრიოტული აღზრდის კარგი ხანელმძღვანელო იქნება. ამაში თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა.

ასეთივე მათიანე უკვე იქმნება ქობულეთის რაიონში, ხელნაწერ კრებულში შევა არა მარტო ომში დაღუპული მებრძოლების, არამედ დიდი სამამულო ომის ვეტერანების მოგონებებიც. აისანება ზურგში დარჩენილი ოჯახების წვლილი დიად გამარჯვებაში.

მაღე თბილისში გამოიცემა ნაბეჭდი წიგნი, რომელშიც სამამულო ომში საქართველოს წარგზავნილი შვიდას ათასამდე მოწაწილის გვარი იქნება მოთავსებული. ბუნებრივია, ერთ წიგნში შეუძლებელია თხრობა თითოეული მათგანის

საბრძოლო წვლილზე. ამიტომაც მეტად საშურია ხელნაწერი მათიანის შექმნა.

გმირების ხელნაწერი მათიანეც მათი უკვლავების დასტური იქნება.

\* \* \*

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ მკითხველს მიაწოდა ცნობილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის რომანი „მთისკაცი“.

ამ ნაწარმოებში ომისდროინდელი ამბებია აღწერილი. ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს, მკითხველის თვალწინ უფრო ცხოველმყოფლად წარმოჩნდება ლეო ქიაჩელის გახმაურებული რომანის „მთისკაცის“ გმირები. ერთი პატარა მთიანი, მივარდნილი სოფლის სოუს საბრძოლო ცხოვრებაში უღიდესი მხატვრული ძალით არის განზოგადებული საბჭოთა ადამიანის ხასიათი, სამშობლოსათვის თავგანწირვის უზადო გრძნობა, საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენა.

მოხუცი მეგობე ბათუ ქარდუა, მისი ვაჟი გოტო, ფრონტისა და ზურგის სხვ. მრავალი გმირი, რომლებიც ასე შესანიშნავად დაგვისხატა მწერალმა, დღესაც მწყობრში არიან და იცავენ მშვიდობას, სანუკვარ სამშობლოს, რომანის პერსონაჟების — ახლგაზრდა მამაცი ადამიანების კდემამოხილი სიყვარული, მათი სულის სიღიადე გვაღელვებს. გვასპეტაკებს, გვამაღლებს.

წიგნის რედაქტორია ა. შონია.

\* \* \*

ბათუმის ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის კულტურის სახლში გაიმართა ბათუმის ინდუსტრიული და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმების „მხიარულთა და საზრიანთა“ გუნდების ვიქტორინა-კონკურსი, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა. იგი მოე-

წერს საქართველოს წარმომადგენელი და  
საშუალო სპეციალური განათლების სა-  
მინისტროს იდეურ-პოლიტიკური მუშა-  
ობის სამმართველოს ინიციატივით.

მოსწავლე-ახალგაზრდებმა წარმოადგი-  
ნეს მაღალ მხატვრულ დონეზე შესრუ-  
ლებული კედლის გაზეთები, მათ შორის  
ოთხი სახეობის ამოსაცნობი გაზეთი სა-

მამულო ომის თემასა და მხატვრულ შე-  
მოქმედებაზე. დიდი ინტერესი გამოიწვია  
გუნდების კაპიტანთა პაექრობამ.

პროგრამით გათვალისწინებული სიმ-  
ღერების შესრულებასა და მხატვრულ  
კითხვაში თავი გამოიჩინეს ორივე ტექ-  
ნიკუმის წარმომადგენლებმა.



გარეკანის 1-ლ გვერდზე — დიდების მემორიალი ზედა აჭყვავში (ქო-  
ბულეთის რ.).

ნომერი გააფორმა ავთანდილ ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

Handwritten signature: *Шумишвили*  
*Г. Г. Шумишвили*

04036320  
00275101033

533.

67/62

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118